

**GEORGIA**  
**IP**  
საქართველო

აპრილი – ივნისი  
2012  
APRIL – JUNE

ინტელექტუალური საკუთრების  
მსოფლიო დღე  
World Intellectual Property Day



მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა  
– ქართველი ხელვის ინოვატორები

Movement and Only Movement  
– Georgian Visionary Innovators



[www.sakpatenti.org.ge](http://www.sakpatenti.org.ge)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების  
ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“  
პერიოდული გამოცემა

# IP საქართველო

გამოდის სამ თვეში ერთხელ

© საქპატენტი, 2012



PERIODICAL PUBLICATION  
OF NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY  
CENTER OF GEORGIA "SAKPATENTI"

# IP GEORGIA

PUBLISHED QUARTERLY

© SAKPATENTI, 2012



**ირაკლი ღვალაძე**  
საკპატენტის თავმჯდომარე  
**IRAKLI GHVALADZE**  
SAKPATENTI CHAIRMAN

Dear Reader,

As you may agree, it is a great responsibility to lead the agency that protects intellectual property – the most valuable asset for any country from the point of view of past, present and future. The fact that this country is Georgia makes my job even more responsible; the country where protection of all objects of intellectual property is equally important; the country with the greatest historical intellectual asset and a constant strive for novelty and innovation.

It has been confirmed by intellectual experts that intellectual assets (patents, trademarks, know-how and etc.) as opposed to material ones make up 60-70% of property of major companies in the contemporary world. It is a common knowledge that in today's toughly competitive world economy, companies based on innovative technologies are the ones that achieve particular success (Apple, Microsoft, etc.). All fields of intellectual property are part of our everyday lives. Some create an object of intellectual property – a product, while others consume it. It is our obligation to ensure that the process is conducted in a legal manner and in compliance of international rules.

Protection of intellectual property rights in independent Georgia already dates back to almost 20 years ago. Throughout the period there have been many changes and improvements. This has been a great learning experience both for us and the society but still, there is a lot of work to be done.

*IP Georgia* periodical magazine offered by us should help us achieve our goal. Some may view it as yet another magazine but for us this is a place where we publicly present and discuss one of the most valuable assets of our country – intellectual property.

Its readers will learn about recent developments in the field of intellectual property and will realize once more that protection of invention, trade mark, copyrights, or any other object of intellectual property, keeping public informed about their intellectual property rights and the development of intellectual property in general is a necessary precondition for a complete integration in a civilized world. This is a magazine where you can remember and be proud, yet again, of our historic intellectual wealth. In different rubrics of the magazine you will meet famous people, read their opinions about recent developments in the field of intellectual property and current issues; you will also find answers to frequently asked questions about intellectual property.

The date of publication of the first issue of *IP Georgia* is April 26, the World Intellectual Property Day. Therefore, this issue focuses on the World Intellectual Property Day as the main theme.

**ძვირფასო მკითხველო,**

დამეთანხმებით, მეტად საპასუხისმგებლოა სათავეში ედგე იმ უწყებას, რომელიც იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას – ქვეყნისთვის ყველაზე ღირებულ აქტივს წარსულში, აწმყოსა და მომავალში. კიდევ უფრო საპასუხისმგებლოა, როცა ეს ქვეყანა საქართველოა – სახელმწიფო, რომლისთვისაც ინტელექტუალური საკუთრების ყველა ობიექტის დაცვა თანაბარ მნიშვნელობას ატარებს; ქვეყანა, რომელსაც ისტორიულად აქვს უდიდესი ინტელექტუალური აქტივი და მუდმივი სწრაფვა სიახლისა და ინოვაციისაკენ.

საერთაშორისო ექსპერტები ადასტურებენ, რომ დღევანდელ მსოფლიოში მსხვილი კომპანიების ქონების 60-70%-ს არა მატერიალური, არამედ ინტელექტუალური აქტივები (პატენტები, სასაქონლო ნიშნები, ნოუ-ჰაუ და სხვ.) შეადგენს. არც ის არის სიახლე, რომ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში, მკაცრი კონკურენციის პირობებში, განსაკუთრებულ წარმატებას აღწევენ ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კომპანიები (Microsoft, Apple და ა.შ.). ინტელექტუალური საკუთრების სფერო ყველა ჩვენგანის ცხოვრების ნაწილია. ზოგი ქმნის ინტელექტუალურ საკუთრების ობიექტს – „პროდუქტს“, ზოგი კი მოიხმარს მას. ჩვენი მოვალეობაა ამ პროცესის კანონიერად და საერთაშორისოდ მიღებული წესებით წარმართვის უზრუნველყოფა.

დამოუკიდებელ საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვას უკვე 20-წლიანი ისტორია აქვს. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, გაუმჯობესდა, ბევრი რამ ვისწავლეთ ჩვენც და საზოგადოებამაც, თუმცა სამუშაო კიდევ ძალიან ბევრია.

პერიოდული ჟურნალი „IP საქართველო“, რომელსაც ჩვენ ახლა გთავაზობთ, მიზნის მიღწევაში უნდა დაგვეხმაროს. შესაძლოა ვინმესთვის ეს იყოს კიდევ ერთი ახალი ჟურნალი, ჩვენთვის კი ეს არის ჩვენი ქვეყნის ყველაზე ღირებულ აქტივის – ინტელექტუალური საკუთრების, საზოგადოებისთვის წარდგენისა და მასზე საჯარო დისკუსიის საშუალება.

ჟურნალში მკითხველი გაეცნობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მიმდინარე სიახლეებს და კიდევ ერთხელ გაითავისებს, რომ გამოგონების, სასაქონლო ნიშნის, საავტორო უფლებისა თუ ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი სხვა ობიექტის დაცვა, საზოგადოებისათვის ამ სფეროში მათი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და, ზოგადად, სფეროს განვითარება აუცილებელი წინაპირობაა ცივილიზებულ მსოფლიოში ქვეყნის სრულყოფილი ინტეგრაციისათვის. ეს არის ჟურნალი, სადაც გაიხსენებთ და კიდევ ერთხელ იმამაყებთ ჩვენი ისტორიული ინტელექტუალური სიმდიდრით. სხვადასხვა რუბრიკაში შეხვდებით საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს, გაეცნობით მათ მოსაზრებებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მიმდინარე სიახლეებისა და არსებული პრობლემების შესახებ, მიიღებთ პასუხებს ამ სფეროში ხშირად დასმულ კითხვებზე.

ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლის თარიღი – 26 აპრილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღეა. „IP საქართველოს“ პირველი ნომერი და მისი მთავარი თემაც სწორედ ამ დღეს ეძღვნება.

*ირ. ღვალაძე*



**მთავარი რედაქტორი**

ქეთევან ბოჯგუა

**EDITOR-IN-CHIEF**

Ketevan Bojgua

**ალმასრულებელი რედაქტორი**

ელენე ქემაშვილი

**EXECUTIVE EDITOR**

Elene Kemashvili

**ნომერზე მუშაობდნენ**

ელისო ჯარიასვილი, ლიკა ბერაია,  
სოფო კვინტრადე, ზვიად მათიასვილი

**AUTHORS**

Eliso Jariashvili, Lika Beraia,  
Sophie Kvintradze, Zviad Matiasvili

**მონვეული ავტორები**

ლადო გურგენიძე, გიგი თევზაძე, დავით დეფი,  
რუსუდან ფეტვიაშვილი, კოტე ჯანდიერი,  
დავით საყვარელიძე, ზურაბ ბუბუტეიშვილი,  
ზაზა შენგელია, ნოდარ დავითური,  
ვირჯინი კოსული, ალექსანდრე კვიტაშვილი,  
დავით ლორთქიფანიძე, ნესტან კვინიკაძე

**GUEST AUTHORS**

Lado Gurgenidze, Gigi Tevzadze, David Dephy,  
Rusudan Petviashvili, Kote Jandieri,  
David Sakvarelidze, Zurab Bubuteishvili,  
Zaza Shengelia, Nodar Davituri,  
Virginie Cossoul, Aleksandre Kvitashvili,  
David Lortkipanidze, Nestan Kvinikadze

**თარგმანი**

ანა მეტრეველი

**TRANSLATION**

Ana Metreveli

**ფოტო**

ვანო ფიცხელაური

**PHOTO**

Vano Pitskhelauri

**ღვინის ფოტოსესია**

ანა ქავთარაძე

**WINE SESSION**

Ana Kavtaradze

**ტექნიკური რედაქტორები**

ნინო ცუხიშვილი, ნინო ბებრიშვილი

**TECHNICAL EDITING**

Nino Tsukhishvili, Nino Bebrishvili

**კორექტორი**

ლალი ჭანტურია

**CORRECTOR**

Lali Chanturia

**დიზაინი და დაკაბადონება**

თეონა კერესელიძე

**DESIGN AND LAYOUT**

Teona Kereselidze

**პოლიგრაფიული აგეზი**

მიხეილ მეჩტიშვილი, არსენ ლომიძე, ლალი დოლიძე

**POLYGRAPHY TEAM**

Mikheil Mechtishvili, Arsen Lomidze, Lali Dolidze

**ბანსაკუთრებული მადლობა**

საარქივო ფოტოების მონოდებისთვის:  
ეროვნულ არქივს, საქართველოს თეატრის, მუსიკის,  
კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს,  
ტენგიზ აბულაძის ოჯახს, ნინო სუხიშვილს,  
კომპანია „ლალიდის წყლებს“, კომპანია „სარაჯიშვილს“  
თანამშრომლობისთვის: იუესეიდს, ევროკავშირის  
წარმომადგენლობას საქართველოში,  
„თბილღვინოს“, „თელიანი ველს“

**SPECIAL THANKS TO**

For providing archival photos: The National Archive of  
Georgia, Georgian State Museum of Theatre, Music,  
Cinema and Choreography, Family of Tengiz Abuladze,  
Nino Sukhishvili, Companies: "Lagidze", "Sarajishvili"

For cooperation: USAID, EU delegation in Georgia,  
"Tbilvino", "Teliani Valley"

ISSN 2298-0121

UDK (უაა) 347.771+347.78+7.078+7.067](47922)

I-83

ქართველი ხედვის ინოვატორები

GEORGIAN VISIONARY INNOVATORS

ხედვის ინოვატორები – საზღვრებს მიღმა და დინების წინააღმდეგ  
VISIONARY INNOVATORS – BEYOND BORDERS AND AGAINST THE FLOW **4**

ილია ჭავჭავაძე **6**  
ILIA CHAVCHAVADZE

თენგიზ აბულაძე **16**  
TENGIZ ABULADZE

ივანე ჯავახიშვილი **30**  
IVANE JAVAKHISHVILI

დამზადებული საქართველოში – დაცული ევროპაში  
PRODUCED IN GEORGIA – PROTECTED IN EUROPE **10**

ინტერნეტ ცენზურა თუ საავტორო უფლების დაცვა?  
INTERNET CENSORSHIP OR COPYRIGHTS PROTECTION? **20**

მეცნიერება და პატენტი  
SCIENCE AND PATENT **25**

20 წელი გუდავ „კოკა-კოლა“-სთან ერთად  
ALWAYS „COCA-COLA“ FOR 20 YEARS **34**

ქართული საფონდო ბაზრის სათავეებთან  
AT THE ORIGINS OF THE GEORGIAN STOCK MARKET **46**

დავიდ კომა – მოდის სამყაროს ქართველი ვუნდერკინდი  
DAVID KOMA – GEORGIAN WUNDERKIND OF FASHION WORLD **50**

ჩემი უფლება  
MY RIGHT **60**

**42** დავით სარაჯიშვილი  
DAVID SARAJISHVILI

**56** ნიკო ფიროსმანი  
NIKO PIROSMANI

**72** ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი  
NINO RAMISHVILI AND ILIKO SUKHISHVILI

**78** მელიტონ ბალანჩივაძე  
MELITON BALANCHIVADZE

**65** ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვები პატენტის შესახებ  
FAQ – FREQUENTLY ASKED QUESTIONS ABOUT PATENT

**68** უნიკალური სამხედრო ხიდი  
THE UNIQUE MILITARY BRIDGE

**76** აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო პროექტ „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ საშუალებით საქართველოში ინოვაციების მხარდაჭერას ახორციელებს  
USAID PROMOTES INNOVATION THROUGH ITS EPI PROJECT IN GEORGIA

**82** ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობა ევროკავშირისათვის  
IMPORTANCE OF INTELLECTUAL PROPERTY RIGHTS ISSUES FOR THE EUROPEAN UNION (EU)

**84** მიტროფანე ლალიძის ნოუ-ჰაუ  
KNOW-HOW OF MITROPHANE LAGIDZE

10

50

65

84





# ხედვის ინოვატორები – საზღვრებს მიღმა და დინების წინააღმდეგ



ნებისმიერი გამოგონების, აღმოჩენისა თუ ინოვაციის უკან, რომელმაც მილიონების ცხოვრება შეცვალა, ერთი ადამიანის ისტორია დგას – ნიჭის, ამბიციის, ინტუიციის, საკუთარი თავის რწმენის, ახლის ძიებისა და დინების წინააღმდეგ მოქმედების ისტორია. ამ ადამიანებს არ ეშინიათ ოცნების, გამოწვევას უცხადებენ სტატუს-კვოს, არ კმაყოფილდებიან სხვის მიერ მიღწეული ანმყოთი და თვითონ ქმნიან მომავალს. ისინი ხედვის ინოვატორები არიან.

წელს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღე სწორედ ამ ადამიანებს ეძღვნება. ამ თარიღს მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (WIPO), 2001 წლიდან, ყოველი წლის 26 აპრილს აღნიშნავს. ეს იმ კონვენციის ძალაში შესვლის დღეა, რომლითაც ისმო დაარსდა, მისი აღნიშვნის მთავარ მიზანს კი ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაზე ინტელექტუალური საკუთრების გავლენის ხაზგასმა წარმოადგენს. წელს ამ დღის გმირები ინტელექტუალური საკუთრების ყველაზე ინოვაციური მესაკუთრეები, ხედვის ინოვატორები არიან.

პიკასო და სტივ ჯობსი, მაილს დევისი და თომას ედისონი, შექსპირი და ალბერტ აინშტაინი – იმ ადამიანების სია, რომლებმაც შემოქმედების თუ ტექნოლოგიის სფეროში მსოფლიო მასშტაბის გარღვევა მოახდინეს, ძალიან გრძელია, თუმცა ისმო-მ რამდენიმე მათგანი მაინც დაასახელა. ამის გაკეთება სცადა „IP საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიამაც საქართველოს მასშტაბით.

ინტელექტუალური საკუთრების ყველა სფეროში (გამოგონება, დიზაინი, საავტორო უფლება, სასაქონლო ნიშანი) სპეციალისტებისა და ექსპერტების დახმარებით ჩვენ ქართველი ხედვის ინოვატორების ალბომი შევადგინეთ. ალბომში გთავაზობთ არა მხოლოდ 7 ქართველი ხედვის ინოვატორის ისტორიას, არამედ მათთვის ამ სტატუსის მინიჭების არგუმენტებს თანამედროვე ექსპერტების ავტორობით. მისი პირველი გმირი კი ის ადამიანია, რომლის გენიალური ციტატის მიხედვით ალბომის სახელწოდება შევარჩიეთ. „IP საქართველოს“ წარმოგიდგინთ ალბომს – „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა – ქართველი ხედვის ინოვატორები“, რომლის პირველი გმირი ილია ჭავჭავაძეა.


## VISIONARY INNOVATORS – BEYOND BORDERS AND AGAINST THE FLOW

Behind every invention, discovery and/or innovation that changed lives of millions of people, there is a story of one person; a story of a talent, ambition, intuition, self-confidence, search for something new and going against the flow. These people are not afraid to dream, they challenge the status quo, they are never satisfied with the present that someone else has created and create the future by themselves. These people are visionary innovators.

These people are celebrated by the World Intellectual Property Day, annually observed on April 26 by the World Intellectual Property Organization (WIPO) since 2001. April 26 is the day when the founding Convention of came into force. The coming into force of the Convention is celebrated to highlight the impact of intellectual property on lives of individuals. The theme for 2012 World Intellectual Property Day focuses on the most innovative owners of intellectual property – visionary innovators.

Picasso, Steve Jobs, Miles Davis and Thomas Edison, Shakespeare and Albert Einstein – although the list of individuals who have made breakthroughs of global importance in the field of creativity or technology is quite long, WIPO distinguished several names. IP Georgia's Editorial Board tried to do the same, only throughout Georgia.

With the help of specialist and experts in all spheres of intellectual property (invention, design, copyright, trademark), we created an album of Georgian visionary innovators, featuring not only stories of seven Georgian visionary innovators but also contemporary experts arguing in favor of giving them the status of visionary innovators. The first visionary innovator featured in the album is the person whose genius quote we chose as the album title. Thus, IP Georgia presents an album entitled "Movement and Only Movement – Georgian Visionary Innovators", featuring Iliia Chavchavadze.

A sepia-toned oval portrait of Ilya Chavchavadze, a man with a full, dark beard and mustache, wearing a dark, high-collared coat. The portrait is set against a light, textured background.

**ილია ჭავჭავაძე**  
პოეტი, პროზაიკოსი,  
პუბლიცისტი, პოლი-  
ტიკური და საზოგადო  
მოღვაწე, საქართველოს  
ეროვნულ-გან-  
მათავისუფლებელი  
მოძრაობის ლიდერი.

**Ilya Chavchavadze**  
a poet, prose-writer,  
publicist, political and  
public figure, leader  
of national libertarian  
movement.

# ილია ჭავჭავაძე ILIA CHAVCHAVADZE

**ილია ჭავჭავაძე** – პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი.

**დაიბადა** 1837 წელს, სოფელ ყვარელში.

**განათლება მიიღო** ჯერ თბილისის გიმნაზიაში, 1857 წლიდან სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. რუსეთის მაშინდელ დედაქალაქში გარშემო შემოიკრიბა ქართველი სტუდენტები, რომლებმაც შექმნეს „თერგდალეულითა“ ტრადიციები.

**საქართველოში დაბრუნების შემდეგ** ახალი თაობის, მათ შორის „თერგდალეული“ სტუდენტების ლიდერი გახდა და საფუძველი ჩაუყარა პირველი დასის სახელით ცნობილ საზოგადოებრივ დაჯგუფებას. გამოაქვეყნა პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი „**ორიოდე სიტყვა**“, რომელიც ახალი თაობის ლიტერატურულ მანიფესტად და „მამებისა და შვილების“ ბრძოლის საწყისად იქცა. ამავე პერიოდში იწყებს „კაცია ადამიანზე“ მუშაობას.

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა** 1863 წელს „საქართველოს მოამბის“ დაარსებით დაიწყო, რომელიც ცენზურის მიუხედავად, ეროვნული მოძრაობის ტრიბუნად იქცა. 1864 წელს ჟურნალი დახურეს და დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ დანიშნეს. ამ პერიოდში დაიწერა „ქართლის დედა“, „აჩრდილი“, „მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“, „ბედნიერი ერი“, „გამოცანები“ და „პასუხის პასუხი“.

**სახელმწიფო სამსახურის დატოვების შემდეგ**, დიმიტრი ყიფიანთან ერთად მუშაობდა საადგილმამულო ბანკის დაარსებაზე, რომელიც 1875 წლიდან ამოქმედდა და ფაქტობრივად, საქართველოს ეროვნულ ბანკად იქცა და რომელსაც 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.


**„ივერია“** – ჟურნალი, რომელმაც ეროვნული ფასეულობებისა და იდეების გამავრცელებლის ფუნქცია იტვირთა, 1877 წელს გამოსცა და 1901 წლამდე პირადად ხელმძღვანელობდა. 1879 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებასაც მიაღწია. 1881 წლიდან კი ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე გახდა.

**Ilia Chavchavadze** – a poet, prose-writer, publicist, political and public figure, leader of national libertarian movement.

**Born** in the village of Kvareli, in 1837.

He went to Tbilisi Gymnasium and studied law at St. Petersburg University since 1857. Together with Georgian students who studied in the capital of Russia at that time, he spearheaded creation of the *Tergdaleulebi* traditions.

**Upon his return to Georgia**, he became the leader of the new generation, including the *Tergdaleulebi* and founded the social group *Pirveli Dasi*. He published the first work of literary criticism *Couple of Words*, which be-




ილია ჭავჭავაძე თბილისში  
Ilia Chavchavadze in Tbilisi



**ეროვნული მოძრაობა** ილია ჭავჭავაძის მთელი მოღვაწეობის ლოგიკური გაგრძელება იყო. 1905 წელს შეადგინა პროგრამა, რომლის საფუძველზეც, მოგვიანებით, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაარსდა. გამოვიდა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით. 1906 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს.

**ილიას მკვლელობა** 1907 წლის 28 აგვისტოს წინამურთან მოხდა. კამათის საგანია, ვინ იყო დამკვეთი – სოციალ-დემოკრატები და ბოლშევიკები თუ რუსეთის ჟანდარმერია. არ კამათობენ მკვლელობის მოტივზე. მას ყველაზე კარგად ის დიალოგი ასახავს, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, ილიასა და მის მკვლელებს შორის გასროლამდე შედგა: „არ მესროლოთ, ილია ვარ!“ „ილია რომ ხარ, სწორედ იმიტომ უნდა გესროლოთ!“

**დაკრძალულია** თბილისში, მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.



ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი „Sakartvelos Moambe“ – first edition



ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში სწავლის პერიოდში

Iliya chavchavadze during his studies in St.Petersburg

came the literary manifesto of the new generation and triggered the generation gap. This is when he started working on his notable literary work *Is a Man a Human?!*

**His public and political work** started in 1863 by founding the Georgian periodical *Sakartvelos Moambe* that became the tribune of the national movement despite the censorship. After the magazine was shut down in 1864, he was appointed as a justice of the peace in Dusheti. This is when he wrote *The Mother of Kartli, The Shadow, Traveler's Letters, The Story of a Beggar, Happy Nation, Puzzles, and In Response to the Response.*

**Having left the public office**, he started working with Dimitry Kipiani to found the Bank of the Nobility which started operating in 1875 and basically turned into the national bank of Georgia. Iliya Chavchavadze managed the bank for 30 years.

**Iveria periodical**, which undertook the function of spreading national values and ideas, was published in 1877 and personally managed by Iliya Chavchavadze until 1901. In 1879 he managed to found the Society for Spreading Literacy. He was serving as the chairperson of the Georgian Drama Society since 1881.

**The national movement** was a logical continuation of Iliya Chavchavadze's work. In 1905 he created the program that later served as the basis for founding the National Democratic Party of Georgia. He voiced the demand of political autonomy of Georgia. In 1906 he was elected as a member of the State Council.

**Iliya was murdered** by Tsitsamuri on August 28, 1907. It is still a subject of debate whether his murder was commissioned by the Social Democrats and Bolsheviks or the Russian gendarmerie. One thing is clear – motive of the murder, which is best reflected in the dialogue that the legend says occurred between Iliya and his murderer before the shot was fired: "Don't shoot me. This is me, Iliya!". "We have to shoot you exactly because you are Iliya!"

**Buried** in Mtatsminda Pantheon of Public Figures in Tbilisi. Georgian Orthodox Church has canonized him.



# ილია ჭავჭავაძე – წარმატებული ცხოვრება ინოვაციებით და ინოვაციებში

## ILIA CHAVCHAVADZE – SUCCESSFUL LIVING WITH AND IN INNOVATIONS

გიგი თევზაძე  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი  
GIGI TEVZADZE  
RECTOR OF ILIA STATE UNIVERSITY

ბევრი რამ, რაც დღეს ჩვეულებრივი, ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი, ლამის მარადიული ელემენტი და თავისთავად ცხადი გვგონია, ილია ჭავჭავაძის შემოტანილი და დანერგილია. ქვემოთ მოკლედ ჩამოვთვლი იმ ინოვაციებს, რომელსაც საფუძველი ილიამ ჩაუყარა:

1. დღეს ჩვენ თავისთავად ცხადად მიგვაჩნია, რომ ვართ ქართველები, ქართული ერის წარმომადგენლები, რომ საქართველო რიკოთს იქითაც საქართველოა და რომ ქართველები ერთ ჰომოგენულ ერთობას წარმოვადგენთ. თუმცა, ილიას დროს ასე არ იყო: საქართველო გაყოფილი იყო ორ გუბერნიად, სიტყვა „საქართველო“ მივიწყებული იყო, ძალიან ცოტა ადამიანი თუ აღიქვამდა თავს ერთიანი ქართველი ერის ნაწილად. ილიამ შემოატრიალა ქართველების მსოფლალქმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებით, ჟურნალებითა და ისტორიის ახალი ხედვით. ილიამ ჩვენს სინამდვილეში შემოიტანა და გაავრცელა ყველა ის პროცესი, რომელიც აყალიბებს თანამედროვე ერს – ბეჭდური მედია, განათლება მშობლიურ ენაზე და ერთიანი ისტორიის გაგება. ეს სამი რამ არის ის, რაც თანამედროვე ადამიანს გარდაუვალად აგრძნობინებს თავს წარმოსახვითი საზოგადოების, ერის განუყოფელ ნაწილად.

A lot of what we view as ordinary and almost eternal parts of our everyday lives and hold them to be self-evident, were in fact introduced and practiced by Ilia Chavchavadze. Below is the list of innovations founded by him.

1. Today we hold it to be self-evident that we are Georgians, representatives of the Georgian nation; that the other side of Rikoti<sup>1</sup> is also Georgia, and that Georgians make up one homogeneous unity. However, back in the time of Ilia Chavchavadze the situation was completely different: Georgia was divided into two provinces; the word “Georgia” had been forgotten and only very few people saw themselves as parts of the Georgian nation. Ilia completely changed the way Georgians perceived the world – by founding the Society for Spreading Literacy, publishing newspapers, and offering a new vision of history, Ilia introduced and spread all the processes necessary for forming a contemporary society: print media, education in native language and shared historical awareness – these are the three important factors that make individuals feel like

1. Rikoti pass – a mountain pass in the southern part of the Likhi Range, a spur of the Greater Caucasus dividing Georgia into its western and eastern parts.

2. თანამედროვე ქართული ანბანი და სალიტერატურო ენა: იმისათვის, რომ წერა-კითხვა ადვილი ყოფილიყო, ანუ, ქართველების უმრავლესობას შესძლებოდა კომუნიკაციის საშუალებების ადვილად ათვისება, ილიამ გაამარტივა ანბანი (ამოავდო ასოები, რომლებსაც მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ) და ლიტერატურული ენა დაუახლოვა ყოველდღიურ მეტყველებას.

**ილიამ ჩვენს სინამდვილეში შემოიტანა და გაავრცელა ყველა ის პროცესი, რომლის აყალიბებაც თანამედროვე ერს – ბაჭდური მდგომარეობა განათლება მშობლიურ ენაზე და ერთიანი ისტორიის გაგება. ეს სამი რამ არის ის, რაც თანამედროვე ადამიანს გარდაუვლად აზრდნობინებს თავს წარმოსახვითი საზოგადოების, ერის განუყოფელ ნაწილად.**

3. ლიტერატურის გათანამედროვეება – სოციალური თემების შემოტანა: ქართულ ლიტერატურაში თანამედროვე ევროპული ლიტერატურული თემების შემოტანა ილიამ დაიწყო. ის არა მხოლოდ თვითონ წერდა სოციალურ ლიტერატურას, ყველანაირად ხელს უწყობდა სხვა მწერლებსა და პოეტებს ეწერათ სოციალურ თემებზე და არა მხოლოდ სიყვარულზე, ქეიფსა და სახელოვან ისტორიაზე.
4. საბანკო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას – საადგილმამულო ბანკი, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და მმართველი იყო ილია, არა მხოლოდ ფინანსურ აქტივებს ზრდიდა, არამედ ეხმარებოდა განათლების და კულტურის ინსტიტუტებს შემოეტანათ და დაენერგათ ევროპული იდეები და მიმდინარეობები, აგრეთვე, გაეგზავნათ ქართველები ევროპაში განათლების მისაღებად.

გარდა ამისა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ილიას გასაგებად, ის წარმატებული ადამიანი იყო როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ სფეროშიც. ამ წარმატების საფუძველი იყო ის ინოვაციები, რომლებსაც ის წერგავდა და ავითარებდა: ის წარმატებით მუშაობდა, როგორც სახელმწიფო თანამდებობაზე (მომრიგებელი მოსამართლე), ასევე, კერძო ბიზნესსა (საადგილმამულო ბანკი) და პოლიტიკაში – ის იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი და აქტიურად მუშაობდა საქართველოს, როგორც ქვეყნის, ავტონომიის მოპოვებისათვის.

დღევანდელი გადმოსახედიდან, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე საქართველოს იდეა და პირველი ნაბიჯები მისი განხორციელებისათვის ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

integral parts of an imagined communities, a nation.

2. Contemporary Georgian alphabet and literary language: to simplify acquisition of literacy, i.e. to allow most Georgians to acquire means of communication easily, Ilia simplified the alphabet (removed letters of only historic importance) and harmonized the literary language with colloquial speech.
3. Making contemporary literature – it was Ilia who introduced issues of contemporary European literature in the Georgian one –not only he was writing a social literature but was also encouraging other writers and poets to write about social issues as opposed to only love, feasts and a celebrated history.
4. Banking system that promotes economic development of the country – the Bank of the Nobility, co-founded and managed by Ilia Chavchavadze, not only boosted financial assets but also helped educational and cultural institutions introduce and practice European ideas and currents and send Georgians to study in Europe.

**ILIA INTRODUCED AND SPREAD ALL THE PROCESSES NECESSARY FOR FORMING A CONTEMPORARY SOCIETY: PRINT MEDIA, EDUCATION IN NATIVE LANGUAGE AND SHARED HISTORICAL AWARENESS – THESE ARE THE THREE IMPORTANT FACTORS THAT MAKE INDIVIDUALS FEEL LIKE INTEGRAL PARTS OF AN IMAGINED COMMUNITIES, A NATION.**

To understand Ilia it is equally important to know that he was a successful person both in social and political spheres. His success was founded on the innovations that he introduced and practiced: he was a successful state official (justice of the peace), businessman (the Bank of the Nobility) and politician – he was a member of the State Council and was actively engaged in gaining autonomy for the country of Georgia.

From today's perspective it is safe to say that Ilia Chavchavadze is the author of the idea of a contemporary Georgia and the very first steps for realization of the idea have been made by him.

# დაზღადავებული საქართველოში -დაცული ევროპაში PRODUCED IN GEORGIA - PROTECTED IN EUROPE

ლიტვა, ვილნიუსის ერთ-ერთი სუპერმარკეტი, ბულგარული ღვინის სექცია, ესპანეთში ჩამოსხმული „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“. ალბათ ლაბორატორიული კვლევა სულაც არ სჭირდებოდა იმის დადგენას, რომ ეს უმაღლესი კლასის ფალსიფიკაცია იყო. თუმცა, ბალტიისპირეთიდან საქართველოში ჩამოტანილ სითხეს ანალიზი მაინც ჩაუტარდა, – ესპანურ „ხვანჭკარასა“ და „ქინძმარაულს“ ბუნებრივია, ამ დასახელების ღვინოებთან საერთო არაფერი ჰქონდა და მხოლოდ მცირედით წააგავდა ღვინოს. სითხეებს ფასიც კი არაადეკვატური ჰქონდა – 3 ევრო. სასმელები ვილნიუსიდან ფალსიფიკაციის ქრესტომათიულ მაგალითად გამოდგება. ალბათ, სწორედ ამიტომ არის, რომ საქპატენტის ხელმძღვანელი ლაბორატორია გამოვლილ ბოთლებს კაბინეტში ინახავს, იმის სანიმუშოდ და გასახსენებლად, რომ ეს მხოლოდ წარსული იყო.

ქართული დასახელების ღვინოს სრულიად სხვა-ნაირი მომავალი აქვს...

მომავალზე ცოტა მოგვიანებით. კიდევ ერთი მოგონება უახლესი წარსულიდან, – ჟურნალისტებს კარგად გვახსოვს მთავრობის ის სხდომა, რომელზეც პირველად გავიგეთ, რომ თურმე შეიძლება საქართველოს საზღვრებს გარეთ იყიდებოდეს ქართული ღვინო სახელწოდებით: „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა“, „ხვანჯვარა“. ეს 2006 წელი იყო. მას შემდეგ ქართული ღვინის ხარისხი, რეპუტაცია და მისი დაცვის მექანიზმებიც საგრძნობლად შეიცვალა. მართალია, ეს ბატონ გენადის, ონიშჩენკოს ვგულისხმობ, არ სჯერა, თუმცა ჩვენი მეღვინეებისთვის რუსული სკეპტიციზმი დამატებით სტიმულად იქცა. ალტერნატივის სახით, დასავლური ბაზრების ათვისება დაიწყო, ჩრდილოელი მეზობელი კი ქართული ღვინის გარეშე და ამ ღვინის ნოსტალგიით დარჩა.

პოლიტიკის გარეშე ღვინოზე წერა მაინც არ გამოდის. სხვანაირად ვერც გამოვიდოდა, ვინაიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთალიარების შეთანხმება, პირველ რიგში, სწორედ პოლიტიკური განაცხადია.

ევროკავშირმა საქართველოსთან გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ შეთანხმება გააფორმა და, ამით, საქართველო პირველი გახდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებიდან (ალჟირი, აზერბაიჯანი, სირია, ბელორუსი, ეგვიპტე, ისრაელი, იორ-

Lithuania, a supermarket in Vilnius, Bulgarian Wine section, *Khvanchkara* and *Kindzmarauli* bottled in Spain – I didn't think any lab tests were necessary to detect that these were excellent counterfeits but the liquid brought from the Baltics to Georgia was analyzed anyways. Clearly, Spanish *Khvanchkara* and *Kindzmarauli* had nothing to do with these wines and had very little to do with wine in general. Even their price was inadequate – 3 EUR. The wines from Vilnius may serve as a textbook example of counterfeiting, which is probably why the head of Sakpatenti<sup>1</sup> keeps the bottles that have been tested in the lab in his office, as an illustration and reminder of the past. The future of Georgian wines is completely different.



Before discussing the future of Georgian wines, I'd like to focus on yet another episode from the recent past. Journalists may very well remember the session of the government where we learned that Georgian wines could be sold abroad, carrying the names of *Kingmarauli*, *Svanchkara*, *Khvanjvara*. It was back in 2006. Since then quality of Georgian wine has improved significantly, so

## THE AGREEMENT SIGNED BETWEEN GEORGIA AND THE EUROPEAN UNION ON THE PROTECTION OF GEOGRAPHICAL INDICATIONS OF AGRICULTURAL PRODUCTS AND FOODSTUFFS IS A POLITICAL STATEMENT IN THE FIRST PLACE.

have its reputation and mechanisms for protection but Mr. Gennadiy Onishchenko remains to be a non-believer. But the truth is that Russian skepticism has served as an additional impetus for Georgian wine-makers, as they started accessing Western markets instead. The northern neighbor was left with nothing but the nostalgias about without Georgian wine.

It is hard to avoid politics when writing about wine. It can't be otherwise, as the agreement signed between Georgia and the European Union on protection of geo-

1. T.N.: National Intellectual Property Center of Georgia.

დანია, ლიბანი, ლიბია, მაროკო, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა).

„საქართველო გახლავთ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პირველი ქვეყანა, რომელმაც დაასრულა მოლაპარაკებები ევროკავშირთან და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და პოპულარიზაციის კუთხით. გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენება, გარკვეულწილად, წარმოადგენს პროდუქციის ხარისხის გარანტიას და ადასტურებს მის წარმოშობას კონკრეტული რეგიონიდან. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდგომ, გეოგრაფიული აღნიშვნები დაცული იქნება ნებისმიერი არასწორი გამოყენებისაგან, მათ შორის, აიკრძალება გეოგრაფიული აღნიშვნის რეპუტაციით სარგებლობა, იმიტაცია ან მიბაძვა, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი პროდუქციის ნამდვილ წარმოშობასთან დაკავშირებით“ – ნათქვამია ევროგაერთიანების საქართველოს წარმომადგენლობის განცხადებაში.

ქვეყნის პირველი დიპლომატი ფიქრობს, რომ გაფორმებული შეთანხმებით საქართველო ევროკავშირს უფრო უახლოვდება, ევროკავშირის ერთ-ერთი წინაპირობა, „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების“ გაფორმებისთვის, სწორედ, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაა. „ქართული მხარისთვის საკმაოდ პრობლემატურია ის სასაქონ-

graphical indications of agricultural products and food-stuffs is a political statement in the first place.

Georgia was the first one among the European Neighborhood Policy countries (Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova, Ukraine, Algeria, Egypt, Israel, Jordan Lebanon, Morocco, Syria and Tunisia) to sign an agreement on protection of geographical indications with EU.

According to the official statement of the EU mission to Georgia, *“Georgia is the first ENP country to complete negotiations with EU and has made significant steps for promotion and improvement of quality of its agricultural products. The use of geographical indications guarantees quality of a product to a certain extent and confirms its origin from a concrete region. After the agreement enters into force, the geographical indications will be protected from misuse. This includes using the reputation of a geographical indication, or imitating it and thus misleading consumers about the genuine origin of a product.”*

The number one diplomat of Georgia believes that the agreement will bring Georgia another step closer to EU. One of EU’s preconditions for concluding the Deep and Comprehensive Free Trade Agreement is harmonization of Georgia’s intellectual property legislation with the legislation of EU. *Trademarks that are registered in EU member states and are similar to or the same as geographical indications protected in Georgia is rather problematic for the Georgian side. After the agreement enters into force, legal grounds for registration of Georgian geographical indications will be created and an*



**TVISHI** - ადგილწარმოშობის დასახელების, თეთრი ნახევრადტკბილი ღვინო. მევენახეობის სპეციფიკური ზონა: ლეჩხუმი, ცაგერის ადმინისტრაციული რაიონი, მდ. რიონის მარჯვენა სანაპირო ზოლი.

**TVISHI** - controlled premium-quality, white semi-sweet wine of appellation of origin. The specific zone is located in Lechkhumi, administrative region of Tsageri, in the right shoreline of the river Lechkhumi.



**ხვანჭკარა** – ადგილწარმოშობის დასახელების, ნითელი, ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო. მევენახეობის ზონა: რაჭა, ამბროლაურის ადმინისტრაციული რაიონი.

**KHVANCHKARA** – controlled premium-quality, red naturally semi-sweet wine of appellation of origin. The micro-zone is located in Racha, administrative region of Ambrolauri.

ლო ნიშნები, რომლებიც რეგისტრირებულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და მსგავსია ან ემთხვევა საქართველოში დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნებს. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, შეიქმნება სამართლებრივი საფუძველი ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების დასაცავად და დაინტერესებული მხარე ვალდებული იქნება დაარეგისტროს ქართული დასახელების გეოგრაფიული აღნიშვნები საერთაშორისოდ მიღებული ნორმების თანახმად. შესაბამისად, ქართული პროდუქცია დაცული იქნება გაყალბებისაგან, რაც ხელს შეუწყობს ქართული ბრენდების პოპულარიზაციას საზღვარგარეთის ქვეყნებში და უზრუნველყოფს პროდუქციის მაღალ ხარისხს – აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე.

ევროკავშირთან შეთანხმებულ ნუსხაში შესულია 18 დასახელების გეოგრაფიული აღნიშვნა - 18 დასახელების ღვინო. ეს დასახელებებია: „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“, „წინანდალი“, „გურჯაანი“, „მანავი“, „კახეთი“, „კარდენახი“, „მუკუზანი“, „თელიანი“, „ატენი“, „ნაფარეული“, „სვირი“, „ტვიში“, „ახაშენი“, „კოტეხი“, „ყვარელი“, „ვაზისუბანი“ და „ტიბაანი“.

თავის მხრივ ევროკავშირმა 3000-ზე მეტი დასახელება წარმოადგინა ქართული ბაზრისთვის, მათ შორისაა: „მოცარელა“, „კონიაკი“ და „შამპანური“.

შეთანხმება, რომლის ირგვლივ მოლაპარაკებები 2008 წლიდან დაიწყო, ძალაში შევიდა 2012 წლის 1 აპრილს. გამოიცა სპეციალური ბიულეტენიც, სადაც ქართული დასახელებებია შესული. ამიერიდან 18 ქართული ღვინის დასახელებას ვერავინ გამოიყენებს, თუ ღვინო არ იქნება საქართველოში წარმოებული.

კონკრეტულად, რა მექანიზმები შეიძინა საქართველომ, ამ შეთანხმების შემდეგ, ქართული ღვინოების გაყალბებისგან დასაცავად? – „შეთანხმების

*interested party will be obligated to register Georgian geographical indications in compliance with internationally recognized norms. Thus, Georgian products will be protected from counterfeiting, which will promote popularization of Georgian brands abroad and ensure high quality of products* – Georgian Foreign Minister Grigol Vashadze has said.

The agreement with EU covers the following 18 geographical indications, 18 Georgian wines: *Khvanchkara, Kindzmarauli, Tsinandali, Gurjaani, Manavi, Kakheti (Kakhuri), Kardenakhi, Mukuzani, Teliani, Ateni, Napareuli, Sviri, Tvishi, Akhasheni, Kotekhi, Kvareli, Vazisubani and Tibaani.*

The EU in its turn submitted up to 3 000 names for the Georgian market, including mozzarella, cognac, Champaign, etc.

Negotiations for the agreement were launched in 2008 and the agreement entered into force on April 1, 2012. A special bulletin containing Georgian geographical indications was published. The eighteen Georgian geographical indications can no longer be used to denote wines that have not been produced in Georgia.

What is the specific mechanism for protection of Georgian wine from counterfeiting that Georgia acquired after it concluded the agreement with EU? – *“Before conclusion of the agreement, we had to pursue individual litigation for each case of counterfeit production. As there was not applicable legal base, the proceedings continued for years. There was this case in Germany where a company owned three trademarks – Tsinandali, Kindzmarauli, Khvanchkara. We had no efficient legal mechanism for disputes and proceedings were quite costly. We had to hire lawyers locally but legal outcomes were never guaranteed. Coming into force of the agreement basically means that the EU recognizes the 18 geographical indications; it recognizes that they should originate only from Georgia, thus protecting them from misuse both on its border as well as*

გაფორმებამდე, ფალსიფიკაციის კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით, გვიხდებოდა ინდივიდუალური დავების წარმოება, სამართლებრივი ბაზა ჩამოყალიბებული არ იყო და პროცესი გრძელდებოდა წლები. იყო ასეთი შემთხვევა გერმანიაში, სადაც კომპანია ფლობდა სამ სასაქონლო ნიშანს – „წინანდალს“, „ქინძმარაულს“ და „ხვანჭკარას“. არ არსებობდა გამართული სამართლებრივი მექანიზმი ამ დავებისთვის, პროცედურა ძალიან დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ადგილზე გვინევდა ადვოკატების დაქირავება და გარანტირებული სამართლებრივი შედეგი მაინც არ იყო. ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, ფაქტობრივად, ევროკავშირი აღიარებს ამ 18 დასახელებას, აღიარებს, რომ ეს დასახელებები უნდა იყოს მხოლოდ საქართველოდან წამოსული, შესაბამისად დაიცავს მათ უკანონო გამოყენებისგან, როგორც საზღვარზე, ასევე, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების შიგნითაც. ფალსიფიკაციის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ჩვენ ვაცნობებთ შესაბამის ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, იქნება ეს გაყალბებული ღვინის ამოღება, თუ ფინანსური სანქცია მწარმოებლისა და რეალიზატორის მიმართ“ – აცხადებს ირაკლი ღვალაძე.

*within its member-states. After an individual practice of counterfeiting is revealed, we inform corresponding agency that are authorized to implement measures envisaged by the law, whether seizure of counterfeit wine or imposition of financial sanction on a producer and a seller” – says Irakli Ghvaladze.*

Georgian diplomatic missions abroad as well as Diaspora have received special instructions – if violation has been detected, they should contact Sakpatenti. Sakpatenti is already getting frequent phone calls from Georgians who care about Georgian wines.

The Ministry of Agriculture of Georgia was actively involved in negotiations with EU. The Ministry officials state that Georgian wine will be protected equally for Georgian and European consumers: – “by concluding the agreement on protection of geographical indications of agricultural products and foodstuffs, the EU and Georgia recognized each other’s geographical indication products and committed themselves to protecting these products from indirect or direct commercial

**MUKUZANI** – controlled high-quality, red dry wine of appellation of origin. Micro-zone of Mukuzani is located in Inner Kakheti, the eastern Georgia.

**TSINANDALI** – controlled high-quality dry white wine of appellation of origin. The micro-zone of wine Tsinandali is located on the right bank of the river Alazani, in the administrative region of Telavi.

**მუკუზანი** – ადგილწარმოშობის დასახელების მშრალი წითელი ღვინო. მევენახეობის სპეციფიკური ზონა: აღმოსავლეთ საქართველო, შიდა კახეთი, გურჯაანის რაიონი.

**წინანდალი** – ადგილწარმოშობის დასახელების, თეთრი, მშრალი ღვინო. მევენახეობის სპეციფიკური ზონა: თელავის ადმინისტრაციული რაიონი, მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო.





კონკრეტული ინსტრუქციები აქვთ მიღებული საქართველოს დიპლომატიურ მისიებს საზღვარგარეთ და დიასპორების წარმომადგენლებს, რომლებიც, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, უნდა დაუკავშირდნენ საქპატენტს. უწყებაში ქართული ღვინის ბედით დაინტერესებული თანამემამულეების ზარები ისედაც ხშირია.

ევროკავშირთან ინტენსიურ მოლაპარაკებებში ჩართული იყო სოფლის მეურნეობის სამინისტრო. უწყებაში აცხადებენ, რომ ქართული ღვინო, ქართველ და ევროპულ მომხმარებელთან ერთად თანაბრად დაცული იქნება: – „სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ შეთანხმებით, ევროკავშირმა და საქართველომ აღიარეს ერთმანეთის გეოგრაფიული აღნიშვნის პროდუქტები და აიღეს ვალდებულება დაიცვან ეს პროდუქტები სახელის ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით კომერციული გამოყენებისაგან ისეთ მსგავს პროდუქტებთან მიმართებაში, რომელიც არ შეესაბამება დაცული სახელის მქონე პროდუქტის მონაცემებს, ან თუ ამგვარი გამოყენებით ხდება გეოგრაფიული აღნიშვნის რეპუტაციით სარგებლობა. შეთანხმება ხელს შეუწყობს ევროკავშირის ბაზარზე ქართული დასახელებების ბოროტად გამოყენების, პროდუქციის ფალსიფიცი-

**ქინძმარაული** – ადგილწარმოშობის დასახელების წითელი, ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო. მზადდება საფერავის ჯიშის ყურძნისაგან. მევენახეობის ზონა: აღმოსავლეთი საქართველო, შიდა კახეთი, ყვარლის ადმინისტრაციული რაიონი.

**KINDZMARAU LI** – controlled premium-quality, red natural semi-sweet wine of appellation of origin. The micro-zone is located in the eastern Georgia, in Inner Kakheti, in the administrative region of Kvareli.

*use of these names for similar products that fall short of characteristics of products with protected names, and from abuse of reputation of geographical indications. The agreement will promote the fight against misuse of Georgian geographical indications, counterfeit products and have a positive effect on reputation of Georgian products and boost sales”, – notes Deputy Minister of Agriculture Eter Kamarauli.*

Protection of reputation and prompt response to counterfeiting will promote accession of European markets by Georgian wine-makers. The General Director of Tbilvino, Giorgi Margvelashvili says: – “after it’s publicized and target audience becomes aware that EU is



რების აღმოფხვრას და, შესაბამისად, დადებითად აისახება ქართული პროდუქციის რეპუტაციასა და გაყიდვებზე“ – აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ეთერ ყამარაული.

რეპუტაციის დაცვა და ფალსიფიკაციაზე სწრაფი რეაგირება ქართველი ღვინის მწარმოებლებისთვის ევროპულ ბაზრებზე დამკვიდრების საქმეში ხელშეწყობას ნიშნავს. კომპანია „თბილღვინოს“ გენერალური დირექტორი გიორგი მარგველაშვილი ფიქრობს: – „როდესაც ეს გახმაურდება და მიზნობრივი აუდიტორიისთვის გახდება ცნობილი, რომ ევროკავშირი იცავს ქართულ ღვინოს გაყალბებისგან, პირველ რიგში, ეს გაზრდის ნდობას ქართული ღვინის ხარისხის მიმართ და, ამასთანავე, ეს შეთანხმება არის საკმაოდ ეფექტიანი ინსტრუმენტი ფალსიფიკაციასთან ბრძოლის წინააღმდეგ.“

უფრო დაცული და უფრო პოპულარული, – ასეთი გახდება ქართული ღვინო ევროპელი მომხმარებლისთვის, ამაში დარწმუნებულია კომპანია „თელიანი ველის“ გენერალური დირექტორი შოთა ხობელია. „შეთანხმება მოგვცემს საშუალებას ვიყოთ უფრო დაცულები ევროკავშირის ბაზრებზე იმ ფალსიფიკაციებისაგან, რომლებიც ინარმოებოდა სხვადასხვა ქვეყანაში და ჩნდებოდა ბაზარზე პროდუქტი ქართული ადგილწარმოების დასახელებით ან მასთან მიმსგავსებული დასახელებით. ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს, ქართული ღვინის პოპულარიზაციასაც, რადგანაც მომხმარებელს აღარ შეხვდება ფალსიფიცირებული, დაბალხარისხიანი პროდუქტი და საშუალება ექნება დააგემოვნოს მხოლოდ საქართველოში წარმოებული მაღალხარისხიანი პროდუქცია, რომელიც შეესაბამება ევროსტანდარტებს. ეს კი მომხმარებელს შეუქმნის სწორ წარმოდგენას ქართული ღვინის ხარისხსა და ტრადიციაზე“.

ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმება ევროპულ ბაზრებზე ქართული პროდუქციის დაცვის მხოლოდ წარმატებული სტარტია. მათთვის, ვისაც ღვინის გარდა გული შესტკივა ყველაფერზე, რასაც თამამად ეთქმის – „დამზადებულია საქართველოში“, კიდევ ერთი კარგი ამბავი არსებობს. აღნიშნული შეთანხმება დაცული პროდუქციის სიის გაზრდის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. შესაბამისად, საქპატენტში აცხადებენ, რომ ევროკავშირთან უკვე დანყებებულია პროცედურა სხვა ქართული დასახელებების აღიარებაზეც. მათ შორისაა: რძის 14 პროდუქტი, სამი მინერალური წყალი (ბორჯომი, საირმე, ნაბეღლავი), ჭაჭა და ჩურჩხელა.

### ელისო ჯარიაშვილი


*protecting Georgian wines from counterfeiting, it will first and foremost increase confidence in quality of Georgian wine; furthermore, this agreement is a very effective instrument in fight against counterfeiting“.*

Georgian wine will become more protected and more popular among European consumers. Shota Khobelia, the General Director of Telliiani Valley believes in it and says: *“the agreement will allow us to be more protected on markets of EU against counterfeit production produced in various countries and sold under the names same as or similar to the Georgian Appellation of Origins. It will certainly promote Georgian wine, as consumers will no longer face counterfeit, low-quality products. Instead, they will be able to taste high-quality products that are produced in Georgia in compliance with European standards. It will give them the right impression about quality and tradition of Georgian wine.“*

The agreement concluded with EU is just a successful start of protection of Georgian products on European markets. Those who also root for rest of the products *made in Georgia* will be glad to know that the agreement envisages an opportunity to broaden the list of protected products. According to Sakpamenti, procedure for recognition of other Georgian names has already been commenced with EU, including 14 dairy products, three mineral waters (Borjomi, Sairme, Nabeghlavi), Chacha<sup>2</sup> and Churchkhela<sup>3</sup>.

**Eliso Jariashvili**

2. T.N.: Chacha – traditional Georgian strong drink distilled from the grape pomace.
3. T.N.: Churchkhela – a confection, string of walnut halves dipped in a grape juice concentrate and hung to dry.



თენგიზ აბულაძე  
კინორეჟისორი  
**Tengiz Abuladze**  
film director



# თენგიზ აბულაძე

## TENGIZ ABULADZE

**თენგიზ აბულაძე** – კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, პოლონეთის საპატიო მოქალაქე, ევროპის კინოაკადემიის წევრი.

**დაიბადა** 1924 წელს, ქუთაისში.

**განათლება** მიიღო 1943-1946 წლებში საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე. 1953 წელს დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (ს. იუტკევიჩის სახელოსნო).

**შემოქმედების** ადრეულ წლებში კინორეჟისორ რეზო ჩხეიძესთან ერთად გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები „ჩვენი სასახლე“ (1953), „ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ (1954) და მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“ (1955), რომელმაც 1956 წელს კანის IX საერთაშორისო კინოფესტივალზე მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში მიიღო „გრან-პრი“, ხოლო 1956 წელს – ედინბურგის საერთაშორისო კინოფესტივალის საპატიო დიპლომი.

**პირველი დამოუკიდებელი ფილმი** „სხვისი შვილები“ (1958), რომელმაც 1958 წელს მოიპოვა დიპლომი ტამპენტიის აზიისა და აფრიკის ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალზე, 1959 წელს – ფინეთის ჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების დიპლომები ჰელსინკის საერთაშორისო ფესტივალზე, ხოლო 1960 წელს – დიპლომი ლონდონის პრემირებული ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე, ამავე წელს – მეორე პრემია „ვერცხლის ნეადა“ პორეტა-ტერმეს (იტალია) საერთაშორისო კინოფესტივალზე.

**შემდეგი დამოუკიდებელი ნაბიჯი** იყო 1962 წელს ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომელმაც ბრატისლავაში, საერთაშორისო კინოფესტივალზე პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვა

**გენიალური ტრილოგია** დაიწყო 1967 წელს ფილმით „ვედრება“, რომელმაც სან-რემოს (იტალია) საავტორო ფილმების XVII საერთაშორისო კინოფესტივალზე „გრან-პრი“ მოუტანა.

**„ნატურის ხე“** ტრილოგიის მეორე ფილმი, რომელიც შეიქმნა 1976 წელს და მიიღო უამრავი პრიზი: 1977 წელს – დიპლომი რიგის X საკავშირო კინოფესტივალზე, „ოქროს ჯიხვი“ – თეირანის VI საერთაშორისო კინოფესტივალზე, 1978 წელს – პრიზი კარლოვ-ვარის XXI საერთაშორისო კინოფესტივალზე, 1979 წელს – იტალიის აკადემიის პრიზი – დონატელოს „დავითი“ საუკეთესო უცხოური ფილმისათვის, ამავე წელს – შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

**„მონანიება“** ტრილოგიის ბოლო ფილმი, რომელიც რეჟისორმა 1984 წელს გადაიღო და კანის მე-40 საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო სამი ჯილდო: მთავარი ჟიურის სპეციალური პრიზი, კათოლიკური ეკლესიის ჟიურის პრიზი ჰუმანიზმისათვის და კინოპრესის საერთაშორისო ფედერაციის პრემია „ფიპრესი“. ფილმმა 1988 წელს მიიღო „ანდრეას პრიზი“ ოსლოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, 1987 წელს – „ოქროს ჰიუგო“ ჩიკაგოს XXIII საერთაშორისო კინოფესტივალზე, 1989 წელს – მთავარი პრიზი მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალზე რიმინიში (იტალია).

საბჭოთა ხელისუფლებამ 1988 წელს თენგიზ აბულაძეს ანტისაბჭოთა პროტესტით გაჯერებული ტრილოგიისთვის, ლენინური პრემია მიანიჭა.

**გარდაიცვალა** 1994 წლის 6 მარტს, თბილისში.

**Tengiz Abuladze** – film director, national artist of Georgia, honorary citizen of Poland, member of European Cinema Academy.

**Born** in Kutaisi in 1924.

**Studied** film directing at Georgian Rustaveli State Institute of Theatre in 1943-1946. He graduated from the faculty of film directing at the All-Union State Institute of Cinematography (S. Yutkevich's workshop) in 1953.

**In early years of his work** he co-directed documentary films together with director Rezo Chkheidze, such as *Our Palace* (1953), *The State Ensemble of Georgian Folk Dance* (1954) and a fictional film *Magdana's Lurja* (1955) that won Golden Palm, the highest prize of the 9th Cannes Film Festival and the first prize of the Tenth Edinburgh International Film Festival.

**His first independent film** *Someone Else's Children* (1958) won the first prize of the First International Film Festival of Asian and African Countries in Tashkent, diplomas of Finish unions of journalists and cinematographers at Helsinki Film Festival, a diploma of London International Film Festival of award winning films, and the prize "Silver Neadia" of International Film Festival of Porretta Terme (Italy).

**His next independent project** was the film *I, Grandmother, Iliko and Ilarioni* in 1962 that won the first degree diploma at the International Film Festival of Bratislava.

**The genius trilogy** started in 1967 with the film *Plea* that won the Grand Prize at the 17<sup>th</sup> International School Movie Festival in Sanremo.

**The Wishing Tree** is the second movie of the trilogy that was made in 1976 and won a number of awards: In 1977 a diploma at the Tenth All-Union Film Festival in Riga, Golden Aurochs Plate for at the Sixth International Film Festival of Tehran, in 1978 prize at the twenty-first Karlovy Vary International Film Festival, in 1979 the David di Donatello Award in Italy for the best foreign film. Shota Rustaveli prize the same year.

**The Repentance** is the last film of the trilogy produced in 1984. It won three awards at the 40<sup>th</sup> International Film Festival of Cannes: the Grand Prize of the Jury, the prize of Prize of the Ecumenical Jury for humanism and the International Film Critics' award (the FIPRESCI Prize). It also won award "Golden Hugo" of Chicago 23rd international film festival, first award of international film festival in Rimini (Italy).

In 1988 the Soviet authorities awarded Tengiz Abuladze with the Lenin Prize for the trilogy soaked with anti-Soviet protest.

**Died** on March 6, 1994 in Tbilisi.

# კინო ბაღის ქვეშ და კანის ფესტივალზე

## A FILM UNDER THE PILLOW AND AT THE CANNES FESTIVAL

ნესტან ნენე კვინიკაძე  
NESTAN NENE KVINIKADZE



იმ შვიდი კინოსურათიდან მხოლოდ ერთიც რომ გადაეღო, მას მაინც ექნებოდა ნოვატორის სახელი. ეს მარტივი მათემატიკაა!

რადგან: თენგიზ აბულაძის „მაგდანას ლურჯას“ კანის კინოფესტივალზე საპატიო ჯილდო ერგო, „ვედრებას“ – კინოპოეზიის სტატუსი, „სხვისი შვილები“ პირველი ქართული ნეორეალისტური სურათია, „ნატურის ხეში“ ნანახი ლიკა ქავჭარაძე კი მუზა და სიზმარია.

თუმცა უდარდელი 1970-იანები ამ დროისთვის, მეტაფორულად და პირდაპირი მნიშვნელობითაც, სულს ლაფავდა და მიწურულს უახლოვდებოდა, რელიგიურ-პოლიტიკური დისიდენტობა ძლიერდებოდა, და მნიფდებოდა რაღაც ძვირფასი, – თავისუფლების სურვილს რომ ჰგავდა შორიდან რაღაცით.

ამბობენ, ადგილობრივი პოლიტიკური ისტებლიშ-



Even if he had made only one of his seven films, he'd still have been an innovator. It's a simple math!

Because: Tengiz Abuladze's *Magdana's Lurja* won an honorary award at Cannes Film Festival, *The Supplication* won the status of a poetic film, *Children of Others* is the first Georgian neorealist film and Lika Kavzharadze as seen in *The Wishing Tree* is a muse and a dream.

Although the care-free 1970s was coming to its end and struggled to breathe literally and metaphorically, religious and political dissident activity was gaining a stronger foothold and maturing into something precious – something that seemed like a desire of freedom from afar.

They say that to a certain extent the local political establishment did give permission for an anti-Soviet screenplay, which was probably caused by the fact that their good sense of smell allowed them to anticipate the looming overthrow, feeling that cinema would promote a smooth transition. When needed, they would proudly



მენტი ნაწილობრივ ნებართვასაც იძლეოდა ანტისაბჭოთა კინოს ცენარისტისთვის, – იქნებ იმიტომ, რომ კარგი ყნოსვით გრძნობდა, ძველი მალე დაემხოვოდა და ახალთან შესაგებებლად ორიგინალური ფორმა – კინო ეფექტურად იმუშავებდა. როცა საქმეს დაჭირდებოდა, ის ამაყად განაცხადებდა: ეს თქვენ, რეგიონის ყველაზე სენსუალური და სხარტი უზნიდან, საქართველოდან.

მაგრამ არავინ ელოდა, რომ პირველ ანტისაბჭოთა ფილმს წინ პირველი ანტისაბჭოთა ტერორისტული პერფორმანსი გაუხსნებდა: „მონანიების“ მთავარი როლის შემსრულებელი გადასაღები მოედნიდან გაიქცეოდა და მეგობრებთან ერთად თვითმფრინავს გაიტაცებდა. 1983 წლის 18 ნოემბერს, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გალაშქრებული ურჩი თინეიჯერი გეგა კობახიძე (ფილმში თორნიკეს გმირი), მეგობრებთან ერთად, სასჯელის უმაღლესი ზომით – სიკვდილით დასაჯეს.

ამის შემდეგ, „მონანიების“ ბათუმში გადაღებული მასალა – 5 000 მეტრი ფირი გამოუსადეგარი აღმოჩნდა. გადაღებები შეჩერდა, მერე ისევ გაგრძელდა და, საბოლოოდ, უკვე დასრულებული ფილმის კინოფირი სამი წლით თაროზე შემოდეს.

ამბობენ, ერთ ასლს თენგიზ აბულაძე ბალიშის ქვეშ ინახავდაო.

მერე მოხდა ის, რაც ყველამ გაიგო და ნახა: პერესტროიკა და „მონანიება“ უნიკალური კინოსაფესტივალო CV-ით. მათ შორს ყველაზე პრესტიჟული, – 1987 წლის კანის კინოფესტივალის ჯილდოები: გრან-პრი და კინოპრესის საერთაშორისო ფედერაციის პრემია „ფიპრესი“.

ათობით სხვა კინოფესტივალის საპატიო წოდება, ჯილდო სამსახიბო ოსტატობისთვის, მხატვრობისთვის, მეტაფორებისთვის, ალეგორიისთვის და სიმართლისთვის, დაგეროტიკებისთვის, ნანამები და ქვრივი ქალების ცოცხლად ჩანერილი, ნამდვილი ისტორიებისთვის; ჯილდო გადასახლებული და მკერდიდან აცლილი შვილებისთვის, უმამობასა და შიშში გაზრდილი ადამიანებისთვის და ჯილდო იმისთვის, რომ ეს აღარასოდეს განმეორდეს.

თენგიზ აბულაძე 1994 წლის 6 მარტს გარდაიცვალა. სამოქალაქო ომი უკვე მომხდარია, აფხაზეთი – დაკარგული. წინ კი მთელი ცხოვრებაა.

declare: this is for you from Georgia, the most sensual and smart part of the region.

However, no one expected that the first anti-Soviet film would be preceded by the first anti-Soviet terroristic performance: that the lead in *Monanieba* would flee from the scene of the movie to hijack a plane with his friends. On November 18, 1983, rebellious teenager Gega Kobakhidze (playing Tornike in the movie), who resisted the Soviet regime, was sentenced to capital punishment together with his friends.

The footage of “Monanieba” shot in Batumi – more than 5 000 frames – became useless afterwards. The movie production stopped and later continued but the tape of the finished film was stored on a shelf for three years. They say that Tengiz Abuladze kept a copy of the tape under his pillow.

Everyone witnessed and heard about what happened afterwards: perestroika and *The Repentance* with an exceptional record of success at film festivals, including winning the most prestigious awards of Cannes Festival in 1987 – the Grand Prize of the Jury and the International Federation of Film Critics (FIPRESCI) Prize.

Honorary titles from dozens of other film festivals, awards for best actor, best art direction, metaphors, allegory, truth and daguerreotypes, and for the true stories of widows and tortured women recorded live; for children torn away from parent’s chest and exiled, for people who grew up fatherless, and the award for it to never happen again.

Tengiz Abuladze died on March 6, 1994. The civil war had already ended and Abkhazia had already been lost. There’s a whole life ahead.



თენგიზ აბულაძე და ფედერიკო ფელინი  
Tengiz Abuladze and Federico Fellini



## ინტერნეტ ცენზურა თუ საავტორო უფლების დაცვა?

SOPA (Stop Online Piracy Act) ამერიკელი კონგრესმენის, ლამარ სმიტის, საკანონმდებლო ინიციატივაა. მისი მთავარი მისია ინტერნეტში საავტორო უფლებების დაცვა უნდა ყოფილიყო, თუმცა მილიონობით ინტერნეტმომხმარებელმა ეს ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვად და ცენზურად შეაფასა. SOPA-ს ძალაში შესვლის შემთხვევაში, მკაცრდებოდა რეგულაციები, როგორც ინტერნეტში, საავტორო უფლებების დამრღვევი კონკრეტული პირების (მაგ., იმ მოქალაქის მიმართ, რომელიც ფილმს, მუსიკას, ფოტოს საავტორო უფლებების დარღვევით გადმოწერდა ან გაავრცელებდა), ასევე, იმ ვებგვერდების მიმართ, რომლებიც ასეთი ტიპის კონტენტს განათავსებდნენ. მაქსიმალური სასჯელის სახით კანონდამრღვევ პირს რამდენიმეწლიანი პატიმრობა, ვებგვერდს კი დაჯარიმება და გაუქმებაც კი დაემუქრებოდა. SOPA-ს წინააღმდეგ პროტესტი რადიკალური ფორმით გამოთქვა მსოფლიოს ყველაზე პოპულარულმა ვებგვერდებმა „google.com“, „wikipedia.org“ და ა.შ. ამ უკანასკნელმა ერთი დღით საიტიც კი გათიშა.

პროტესტმა შედეგი გამოიღო და იანვრის თვიდან SOPA თაროზეა შემოდებული, თუმცა მას შოუბიზნესსა და კინოინდუსტრიაში ძალიან ბევრი მომხრე და ლობისტი ჰყავს. არსებობს, აგრეთვე, მსგავსი კანონპროექტი ACTA (Anti-Counterfeiting Trade Agreement).

ასე რომ, ინტერნეტრეგულაციების თემას აქტუალობა არ დაუკარგავს. SOPA-ს მომხრეები და მოწინააღმდეგეები საქართველოშიც ჰყავს. ჩვენი ჟურნალის ფურცლები დღეს ორ მათგანს დავეთმეთ.

## INTERNET CENSORSHIP OR COPYRIGHTS PROTECTION?

SOPA (stop online piracy act) is an initiative of US Representative Lamar Smith. Its main mission was to protect copyrights on the Internet. However, millions of Internet users assessed it as a restriction on freedom of information and censorship. Coming into force of SOPA would have tightened regulations against individual infringers of copyrights on the Internet (e.g. an ordinary citizen who downloaded or distributed a film, a piece of music or a photo by infringing copyrights) as well as websites that posted such type of content. The law provided several years of imprisonment, fining and even abolishment of a website as a maximum punishment. The most popular websites of the world google.com, Wikipedia.org, etc. protested SOPA by resorting to radical measures. Wikipedia.org went ofline for a day.

The protest turned out to be successful and since January 2012 SOPA has been stored on a shelf. However, there are a number of supporters and lobbyists of SOPA in show-business and film industry. Furthermore, there is a similar draft law ACTA (Anti-Counterfeiting Trade Agreement).

Thus, internet regulations remains to be a hot topic. SOPA has its supporters and opponents in Georgia as well. Two of them are featured in our magazine.

# საავტორო უფლება COPYRIGHT

ზაზა შენგელია - სტუდია "ბრაუო რეკორდსის" დირექტორი  
ZAZA SHENGELIA - DIRECTOR OF "BRAVO RECORDS" STUDIO

როდესაც სოპა-ს, პიპა-ს, აქტა-ს და მსგავსი ტიპის რეგულაციებს განვიხილავთ, მთავარი პრინციპებზე შეთანხმებაა – რას წარმოადგენს ის პროდუქცია, რომელიც ინტერნეტში დევს და ძალიან ბევრი ჩვენგანი თავისუფლად მოიხმარს.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია კამათი იმაზე, თუ რა კატეგორიაში გადის, მაგალითად, ინტერნეტში განთავსებული კინოფილმი, ფოტო ან მუსიკა.

ადამიანების დიდი ნაწილი ამას არქმევს ინფორმაციას და, შესაბამისად, აპელირებს ინფორმაციის თავისუფლებაზე, ამბობს, რომ ინტერნეტსივრცეში ინფორმაცია უნდა არსებობდეს შეუზღუდავად და მასზე წვდომა უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ ეს ძალიან მცდარი დამოკიდებულებაა. მაშინ, იგივე უნდა ვთქვათ წიგნებზეც და თავისუფლად მიგვიწვდებოდეს ხელი იმ პროდუქციაზე, რომელსაც ახლა ქინდლისთვის და ელექტრონული რიდეებისთვის ვყიდულობთ. სინამდვილეში ეს არის პროდუქტი, ინტელექტუალური პროდუქტი და, ამდენად, მასში ჩადებულია ძალიან დიდი შრომა. თანაც, ეს არის არა მხოლოდ ერთი ადამიანის შრომა, არამედ რამდენიმე პროფესიონალის – კომპოზიტორის, არანჟირების ავტორისა და თავად შემსრულებლის.

ცოტა ხნის წინ საფრანგეთში, პრეზიდენტ სარკოზის ინიციატივით, ჩატარდა დიდი კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ხმის ჩამწერი კომპანიების წარმომადგენლები, ასევე, მსხვილი ინტერნეტ-პროვაიდერები, ამ საქმეში ჩართული მთავარი მოთამაშეები. იქ ითქვა ასეთი რამ, რასაც მეც აბსოლუტურად ვეთანხმები: ჩვენ ყველა ინტერნეტის მომხმარებლები ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო ამ სივრცეში ჯუნგლების კანონი უნდა მოქმედებდეს. რა თქმა უნდა, ინტერნეტი არის ტექნოლოგიური პროგრესის გამოხატულება, საშუალებას აძლევს ადამიანებს, რომ ხელი მიუწვდებოდეთ სხვადასხვა მრავალფეროვან კონტენტზე, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა იყოს რეგულირების საგანი იმიტომ, რომ თითოეულ ფოტოში, სიმღერაში თუ სხვა პროდუქტში ჩადებულია ადამიანების შრომა, რომლებიც აბსოლუტურად სამართლიანად ითხოვენ ამ შრომის ანაზღაურებას.

გასაგებია მეორე მხარის არგუმენტებიც – რა თქმა უნდა, ყველა საიტი, რომელმაც ეს გააპროტესტა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. მესმის „ვიკიპედიის“ დამფუძნებლების, რომლებიც ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომის გარეშე ძალიან



When discussing regulations like SOPA, PIPA and ACTA, the important thing is to agree on the principles of what is the production available on the Internet and easily used by many of us.

Today the category that movies, photos or music available on the Internet fall under is frequently argued about.

Most people call it information and refer to the principle of freedom of information, arguing that information should be unlimited and easily available on the Internet. This approach is rather wrongful. If we apply the same approach to books, production that we buy for Kindle and electronic readers should be available for free. In reality, this is a product, an intellectual product and therefore, great amount of labor has been invested in it. Furthermore, it's not the labor of just one individual but rather, of several professionals – a composer, an arranger and a performer.

A conference held recently in France under the initiative of President Sarkozy was attended by representatives of recording studios, as well as major Internet-providers and key players in the business. The conference concluded and I absolutely agree that all of us are Internet users but it does not mean that this field should be governed by the law of the jungle. It goes without saying that Internet is an expression of technological progress, facilitating people's access to a variety of content; however, it should necessarily be regulated due to the labor that certain people have invested in each photo, song or any other product, who are rightfully demanding compensation of their work.

The other side of arguments is also understandable – all web-sites that have protested were acting in best interest of themselves. I understand Wikipedia founders as without unlimited access to information they may find themselves in a harsh situation. I understand that Google, YouTube and Facebook will all suffer damage but

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. მესმის, რომ დაზარალებულნი „გუგლი“, „იუთუბი“, „ფეისბუქი“. მაგრამ, რა დააშავეს იმ კომპანიებმა ან თუნდაც ინდივიდუალურმა შემოქმედებმა, რომლებიც დღეს მილიარდობით ადამიანის მიერ მათი საავტორო უფლებების დარღვევის გამო ზარალებიან? მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ინტერნეტში აუცილებლად უნდა მოქმედდეს უფლებების დაცვის იგივე პრინციპი, რაც მოქმედებს ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში ინტერნეტს გარეთ: ჩემი უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება შენი უფლებები.

თუ უფლებების დაცვასა და ზიანზე ვისაუბრებთ, პირველ რიგში ძალიან ზარალებიან ხმის ჩამწერი კომპანიები. ისინი ვეღარ ახერხებენ ხარისხიანი მუსიკის დაფინანსებას და ეს სარკისებურად აისახება ამ დარგის განვითარებაზე. თქვენ ალბათ შეამჩნევდით, რომ ბოლო დროს მსოფლიო მუსიკალურ ინდუსტრიაში ხარისხის კრიზისია, წამოვიდა ძალიან დაბალი ხარისხის მუსიკა. ეს იმიტომ ხდება, რომ რეკორდ ლეიბლებს ანუ ხმის ჩამწერ მსხვილ კომპანიებს ფინანსები აღარ გააჩნიათ, რომ ფული ჩადონ გემოვნებიან მუსიკაში. ჩანაწერების რეალიზაციის შემცირების გამო, ავტორებს რეალიზაციის შემოსავლებიც, რეალიზაციის შემცირების მიზეზი კი არის ის, რომ მომხმარებელი არ ყიდულობს პროდუქტს, რომელსაც უფასოდ იღებს ინტერნეტიდან. იგივე პრობლემა დგას საქართველოში – მუსიკალური ინდუსტრია აქაც მეკობრეობის გამო ვერ ვითარდება.

**ინტერნეტში აუცილებლად უნდა მოქმედდეს უფლებაების დაცვის იგივე პრინციპი, რაც მოქმედებს ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში ინტერნეტს გარეთ: ჩემი უფლებაები მთავრდება იქ, სადაც იწყება შენი უფლებაები.**

კიდევ ერთხელ მომყავს წიგნის მაგალითი – თუ ყველა წიგნს ინტერნეტში უფასოდ განვითავსებთ, ავტორები აღარ დაწერენ, მათთვის ეს იქნება არა ბიზნესი, არამედ ქველმოქმედება. დამეთანხმეთ, შემოქმედს ვერ მოვთხოვთ ქველმოქმედი იყოს მხოლოდ იმისთვის, რომ ინტერნეტმომხმარებლებს ცხოვრება გაუმარტივდეთ.

შესაბამისად, მე მხარს ვუჭერ რეგულაციებს ინტერნეტში, რადგან ყველგან, ვირტუალურ სივრცეში თუ მის გარეთ, სამართლიანობა დაცული უნდა იყოს – პროდუქტის მოხმარებისთვის მომხმარებელმა კონკრეტული ფასი უნდა გადაიხადოს, შემქმნელმა კი კუთვნილი ანაზღაურება მიიღოს.



what about the companies or individual authors who have become victims of copyright infringement by billions of people? I am strongly convinced that principle of individual's rights protection that are applied in all democratic societies outside Internet should also apply to the Internet: your rights end where another's begin.

When discussing protection of rights and damages inflicted, record labels are the ones that suffer the most damage. They are no longer able to subsidize quality music which is reflected on the development of the field. You may have noticed the recent quality crisis in the world music industry and the very low quality of music produced. It is caused by the fact that record labels or major recording studios lack funds to invest in tasteful music. Reduced volume of sales automatically reduces profits. Decrease in sales is caused by the fact that consumers no longer buy product that is available for free on the Internet. Georgia is facing the same problem – piracy hinders the development of music industry.


Here's another example about a book – if we make books available for free on the Internet, authors will refuse to write as writing will no longer be a business for them but rather, a charity work. We can't demand charity from authors only to make life of Internet users easier.

Therefore, I support Internet regulations as justice should be observed both within and outside the virtual space – consumers should pay concrete price for consuming a product, and authors should receive due remuneration for their work.



# საავტორო უფლება COPYRIGHT

ნოდარ დავითური - ბლოგერი, ვებ დეველოპერი  
NODAR DAVITURI - WEP DEVELOPER, BLOGGER



დღეს უკვე ცოტა თუ დარჩა ისეთი, ვისაც ჯერ კიდევ არ ესმის ინტერნეტში საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობა. სრულებით გასაგებია დიდი კომპანიების, ლეიბლებისა და კონტენტ-პროდიუსერების მოთხოვნა, მათ მფლობელობაში მყოფი ნაწარმოებები გავრცელდეს მხოლოდ მათი კონტროლის ქვეშ და მიიღონ მაქსიმალური შემოსავალი – ესეც ხომ ჩვეულებრივი ბიზნესია.

თუმცა, არის ერთი დიდი პრობლემა – ამ კომპანიებს არ სურთ შეეფუონ იმ ფაქტს, რომ ინტერნეტი სხვა სამყაროა, სადაც ათწლეულების წინ შექმნილი პრინციპები ვერ იმუშავებს. აქ ვერ იქნება ყველაფერი 100%-ით კონტროლირებადი და ზუსტად ეს ნაწილობრივი უკონტროლობა ქმნის ინტერნეტს იმად, რაც არის. კომპანიების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ თვალს ხუჭავს იმ ცხადზე ცხად ფაქტზე, რომ დღეს არსებული შემსრულებლების, სერიალების, ფილმების, მწერლებისა თუ სხვათა პოპულარობაში უდიდესი წვლილი სწორედ ინტერნეტს და მის „უკონტროლო“ მომხმარებლებს აქვთ შეტანილი და გაყიდვების უზარმაზარი პროცენტიც ციფრული დისტრიბუციითაა. არალეგალური ჩამოტვირთვები კი ის „ფასია“, რომელსაც ინტერნეტი ამ ყველაფრისთვის „მოითხოვს“.

მაგრამ, მოდით ჩავთვალოთ, რომ სახელმწიფომ უნდა მისცეს ბიზნესს რალაც ბერკეტი, რომლითაც ამ უკანასკნელს შეეძლება საკუთარი პროდუქციის მაქსიმალური დაცვა – რატომაც არა? თუმცა, ამ შემთხვევაში, ძალიან ზუსტ ადგილზეა გასავლები ის ხაზი, სადაც მთავრდება ბიზნესის ინტერესები და იწყება ინტერნეტის თავისუფლება.

SOPA-ს შემთხვევაში კი, ყოველგვარი უტრირების გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტი განწირული იყო:

1. ამ კანონპროექტის მიხედვით, სასამართლოს ეძლეოდა უფლება, მოეთხოვა ამერიკის ინტერნეტ-პროვაიდერებისთვის ნებისმიერი დომენის DNS-ის დონეზე დაბლოკვა, თუ მის ქვეშ განთავსებულ რომელიმე გვერდზე აღმოჩნდებოდა საავტორო უფლებების დამრღვევი კონტენტი ან ბმული ასეთ კონტენტზე. მარტივად რომ ვთქვათ, თუ, მაგალითად, მე ჩემს ბლოგზე, რომელიც განთავსებული მაქვს

There are hardly any people who are still unaware of the importance of protection of copyright and intellectual property on the Internet. Demand of major companies, labels and content-producers to distribute products that they own strictly within their control in order to receive maximum profits is perfectly understandable, as this is business as usual.

However, there is one major issue there – these companies refuse to accept the fact that Internet is a whole different world, where principles created decades ago do not work. It cannot be 100% controlled and the lack of control makes the Internet what it is today. Majority of companies still turn a blind eye to what's obvious – Internet and its "uncontrolled" users are the ones who have greatly contributed to popularity of current performers, TV shows, movies, writers and others, and that digital distribution makes up a significant share of sales. Illegal downloads are the "price" required by the Internet for it all.

Let's assume that the government should provide business with some kind of leverage for protecting its production as much as possible. Why not? However, if this is the case, a sharp line should be drawn between interests of business and freedom of Internet.

In case of SOPA, it is safe to simply say that Internet was doomed.

1. The draft law delegated court with the authority to demand blocking of any DNS (Domain Name System) from US internet-providers, if any of the web-pages within the internet-provider hosted copyright-protected content or a link to such content. To put it simply, if I posted as much as a link to an MP3 file of any song on my blog, which is hosted by WordPress, court could have block the domain wordpress.com throughout the U.S. together with millions of blogs hosted by it!
2. According to SOPA, any content-publishing service that fails to verify compatibility of UGC (User Generated Content) with copyrights prior to publishing will be considered to be a website "facilitating infringement".  
I.e. any website declaring that it refused to verify or

wordpress-ის სერვისზე, დაედებდი თუნდაც ბმულს რომელიმე სიმღერის mp3-ფაილზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მთელი ამერიკის მასშტაბით დაიბლოკებოდა დომენი wordpress.com და მასზე მოთავსებული მილიონობით ბლოგი!

2. SOPA-ს მიხედვით, „დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ საიტად“ ითვლება ნებისმიერი კონტენტ-გამოქვეყნების სერვისი, რომელიც გამოქვეყნებამდე არ ამონიშნებს UGC-ს (User Generated Content) საავტორო უფლებებთან შესაბამისობაზე. ანუ, ნებისმიერი საიტი, რომელიც განაცხადებდა, რომ არ სურდა გადაემონებინა, ან მისთვის უბრალოდ შეუძლებელი იყო გადაემონებინა დარღვევებზე მომხმარებლების მიერ დაწერილი მასალის 100%, ავტომატურად ითვლებოდა „დანაშაულის პოტენციურ ხელშემწყობად“ და გენერალურ პროკურორს დარღვევის აღმოჩენამდეც კი შეეძლო მისი გათიშვის მოთხოვნა!

3. მოქალაქე ითვლება დამნაშავედ, თუ მან გაავრცელა საავტორო უფლებებით დაცული 1 ან მეტი ნამუშევარი ჯამური ღირებულებით 2,500 აშშ \$ ან მეტი. ეს ნიშნავს, რომ თუ მაგალითად, YouTube-ზე ატვირთავდით თქვენს მიერ შესრულებულ რომელიმე პოპულარულ სიმღერას, რომელიც iTunes-ში 99 ცენტი ღირს და ეს ვიდეო დააგროვებდა 2,500 ნახვას, სიმღერის მფლობელის საჩივრის საფუძველზე, თქვენთვის შეეძლოთ მოესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე!

მხოლოდ ამ მარტივი მაგალითებითაა ცხადზე ცხადი, რომ SOPA-ს დონის აბსურდის დაშვება დანაშაული იყო კაცობრიობის წინაშე. რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ სახელმწიფო ბიზნესის გვერდში იყოს და მაქსიმალურად დაიცვას ზარალისაგან, თუმცა არა ასეთი ფორმით. საუბარია არა მხოლოდ იმაზე, რომ ამ კანონპროექტით ფაქტიურად დასრულდებოდა facebook-ის, twitter-ის, youtube-ის და ბლოგოსფეროს არსებობა ინტერნეტში – იმ ინსტრუმენტების, რომელთაც ბოლო 10 წლის მანძილზე ალბათ უფრო მეტი გააკეთეს სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლაში, ვიდრე ყველა სხვა მედიასაშუალებამ ბოლო ასწლეულში; მთავარი საშიშროება იყო ის, რომ სახელმწიფოს SOPA-თი ინტერნეტის კონტროლის ყველაზე ძლიერი ბერკეტი ეძლეოდა. მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში განთავსებული ნებისმიერი საიტის დაბლოკვა ამ კანონით უმარტივესი სპეკულაციით გახდებოდა შესაძლებელი. და, რადგანაც საკანონმდებლო სფეროში აშშ ერთ-ერთი „ტრენდსეტერია“, მსგავსი კანონპროექტები ელვის სისწრაფით მოედებოდა მსოფლიოს სახელმწიფოებს.

და მაინც, არცერთი კომპანია არ გაკოტრებულა მეკობრეობისა და არალეგალური გავრცელების გამო. ყოველდღიურად მაინც იყიდება მილიონობით კონტენტ-ელემენტი iTunes-ზე, Amazon-ზე, Netflix-ზე და უამრავ სხვა ონლაინ-მაღაზიაში. ხალხი მაინც ყიდულობს დისკებს და მაინც იხდის ფულს პრემიუმ-საკაბელო არხებში. მაინც დადიან კონცერტებზე და მაინც ყიდულობენ ბრენდირებულ მერჩენდაიზს. რა თქმა უნდა, ამ სამყაროს გვერდით ე.წ. „მეკობრეთა სცენაც“ არსებობს, სადაც ასეთი კონტენტი არალეგალურად ვრცელდება, თუმცა, რაღაც დოზით ის ყოველთვის იარსებებს. იარსებებს მანამ, სანამ ინტერნეტი იქნება ის, რაც არის – ღია და თავისუფალი სივრცე, ცენზურისა და სახელმწიფო კონტროლის გარეშე.



was simply unable to verify 100% of material written by its users for any copyright infringements was automatically considered to be a “potential facilitator of infringement” and attorney general could have motioned for blocking the entire website even before any infringements were found!

- 3. A person will be considered to be a felon if he/she distributed one or more pieces of a copyrighted material with total cost of \$2,500 or more. It means that if you performed a popular song worth 99 cents on iTunes and upload it on YouTube, and the video collected more than 2,500 views, you could have been sentenced to up to 3 years of imprisonment if owner of the song pressed charges!

**INTERNET IS A WHOLE DIFFERENT WORLD, WHERE PRINCIPLES CREATED DECADES AGO DO NOT WORK. IT CANNOT BE 100% CONTROLLED AND THE LACK OF CONTROL MAKES THE INTERNET WHAT IT IS TODAY.**

These simple examples illustrate that enacting an absurd like SOPA would have been a crime against humanity. It is certainly necessary for the government to support business and protect it from losses as much as possible but not by resorting to such means. The draft law would not only have brought the existence of Facebook, twitter, YouTube and blogosphere on the Internet to an end – instruments that have contributed to the fight for freedom of speech and democracy possibly more than any other media throughout the last millennium – but it would also have provided the government with the most effective leverage for controlling the Internet, which was the greatest danger that the law could have posed. The law would have allowed blocking of any web-site located anywhere in the world by means of a simplest speculation. As the US is one of the trendsetters in the legislative sphere, similar legal drafts would have rapidly spread throughout the world.

And yet, none of the companies have gone bankrupt due to piracy and illegal distribution. Millions of content-elements are sold on iTunes, Amazon, Netflix and a number of online-stores on a daily basis. People still buy CDs and pay for premium cable channels; they still go to concerts and buy branded merchandize. This world exists side-by-side with the so-called “piracy scene”, where such content is illegally distributed and that will always exist to a certain extent. It will exist until the Internet continues to be what it is now – an open and a free space, without any censorship or government control.

## მეცნიერება და პატენტი SCIENCE AND PATENT

ალექსანდრა კვიციანიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ALEKSANDRE KVITASHVILI – RECTOR OF TBILISI STATE UNIVERSITY



### კვლევითი უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის ზრდის პერსპექტივა

2011 წლის მაისში, მსოფლიო ბანკის „InfoDev“-ის მიერ ჩატარებულ კონკურსში, რომელშიც 750 პროექტი მონაწილეობდა, ქართველ მეცნიერთა მიერ შექმნილი მზის ახალი კონცენტრატორი გამარჯვებულ 50 პროექტს შორის მოხვდა; ასევე, 2011 წელსვე, ჰელსინკის ინოვაციისა და საწარმოო ტექნიკის მეოთხე საერთაშორისო ფორუმზე – საუკეთესო ოცეულში.

ქართველი მეცნიერების მიერ 2009-2011 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგად, მიღებულია მაღალი მდგრადობით გამორჩეული ბეტონი და, ასევე, ნაერთები, რომელთა საშუალებითაც ხის, ტყავისა და პლასტმასის ზედაპირების, აგრეთვე, სამუზეუმო ექსპონატებისა და არქეოლოგიური ნიმუშების ბაქტერიებისა და მიკრობების ზემოქმედებისგან დაცვაა შესაძლებელი.

მეცნიერთა კიდევ ერთ ჯგუფს, უკვე რამდენიმე წელია, გამოგონებული აქვს ციტრუსის შენახვის ეკოლოგიურად სუფთა და ეფექტიანი მეთოდი, რომელიც პრაქტიკაშიც გამოცდილია. მეცნიერები, ასევე, მუშაობენ სამშენებლო მასალების ეკოლოგიურად სუფთა წებოების წარმოებაზე.

ქართველი მეცნიერის მიერ შექმნილია პრეპარატი „ბიორაგი“, რომელიც უხვი მოსავლიანობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებში შაქრის შემცველობის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა, რაც, ასევე, მრავალწლიანი კვლევებითაა დადასტურებული.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები საქართველოში, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მხოლოდ ნაწილია (ამჟამად, თსუ-ში 200-ზე მეტი სამეცნიერო პროექტი ხორციელდება, მათ შორის – 148 ეროვნული, 85 – საერთაშორისო; „ISI Web of Knowledge“-ის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 2011 წელს იმპაქტ-ფაქტორის მქონე 541 სტატია გამოქვეყნდა); კვლევათა დიდ ნაწილს პრაქტიკული გამოყენების პოტენციალი გააჩნია. თუმცა, ამისთვის აუცილებელია შეიკრას

### PROSPECTS FOR BOOSTING THE SCIENCE POTENTIAL OF A RESEARCH UNIVERSITY

In the competition held by InfoDev program of the World Bank Group in May 2011, where 750 projects participated, solar concentrators created by Georgian scientists was selected as one of the Top 50 Winners. The same project was picked as one of the Top 20 Winners of the Global Forum on Innovation & Technology Entrepreneurship in Helsinki in 2011.

The result of the research held by Georgian scientists in 2009-2011 was high-solidity concrete as well as mixtures that are used to protect wood, leather, plastic surface as well as museum exhibits and archaeological remains against bacteria and microbes.

**IT IS NECESSARY TO TIE THE CHAIN (IDEA-RESEARCH-PATENT-LICENSE-TECHNOLOGICAL PRODUCT) IN THE FIRST PLACE, ALLOWING A UNIVERSITY AND A SCIENTIST TO REAP THE BENEFITS OF THEIR SCIENTIFIC WORK AND COMMERCIALIZE THE RESEARCH.**

Another group of scientists has already invented eco-friendly and effective method for preservation of citrus, which has already been tested in practice. Scientists are also working on production of eco-friendly construction adhesives.

Preparation *Bio-rag* used to boost agricultural productivity and increase sugar in agricultural products was also invented by a Georgian scientist. Long-term studies have validated its effectiveness.

These are only couple of examples from scientific and research work ongoing in Georgia, more specifically, at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. (Currently more than 200 projects are implemented at TSU, including 148 national and 85 international projects. According to ISI Web of Knowledge, in 2011 Tbilisi State University published total of 541 articles with impact-factor). Most

ის ჯაჭვი (იდეა – კვლევა – პატენტი – ლიცენზია – ტექნოლოგიური პროდუქტი), რაც უნივერსიტეტსა და მეცნიერებს სამეცნიერო კვლევების შედეგებით სარგებლობისა და მათი ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციის საშუალებას მისცემს.

2012 წლის მარტში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ, საერთაშორისო კოოპერაციის შესახებ შეთანხმების (PCT) შესაბამისად, წარდგენილი საპატენტო განაცხადების წინასწარი სტატისტიკა გამოაქვეყნა. საპატენტო განაცხადების წარმდგენთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უნივერსიტეტებს უკავიათ. ტრადიციისამებრ, 2011 წელს უნივერსიტეტებს შორის ლიდერის პოზიციას არ თმობენ აშშ-ს უმაღლესი სასწავლებლები, კერძოდ: კალიფორნიის უნივერსიტეტი (277 განაცხადი), მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი „MIT“ (179 განაცხადი), ტეხასის სისტემის უნივერსიტეტი „The University of Texas System“ (127 განაცხადი), ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი (111 განაცხადი); ზოგადად, განაცხადების წარმდგენთა 50-ეულში, უმეტესად, სწორედ, აშშ-ს უნივერსიტეტები არიან. თუმცა, ასევე, ათეულში შედის უნივერსიტეტი სამხრეთ კორეის რესპუბლიკიდან, სიაში არიან უნივერსიტეტები იაპონიიდან, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოდან და ისრაელიდან.

სიმპტომატურია, რომ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ჩამონათვალში არ გვხვდება პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნების უნივერსიტეტები. ნაწილობრივ ამის მიზეზი ფინანსებია, ნაწილობრივ კი – ის, რომ ისინი მხოლოდ ადგილობრივ საპატენტო ორგანიზაციებში ახერხებენ განაცხადის წარდგენას. თუმცა, გაცილებით მნიშვნელოვანია ის ტრადიცია, უფრო სწორად – ტრადიციის არქონა, რომელიც ამ ქვეყნებში საუნივერსიტეტო მეცნიერებისა და პრაქტიკის, ბიზნესთან ახლო კავშირზე არ მიგვანიშნებს.

თანამედროვე მსოფლიოში პოსტსაბჭოთა მეცნიერებს ხშირად „ოცნების კოშკში გამოკეტილებს“ უწოდებენ. მეცნიერები იკვლევენ, ზოგ შემთხვევაში, საბოლოო სახითაც ქმნიან მნიშვნელოვან სამეცნიერო პროდუქტს და შემდეგ პასიურად ელოდებიან „პრინცს“ ბიზნესის სახით, რომელიც მათ ამ ოცნების კოშკში მიაკითხავს. მეორე მხრივ, ასეთ ქვეყნებში, თავად ადგილობრივი ბიზნესის მხრიდანაც დაბალია მოთხოვნა და ნდობა ადგილობრივი სამეცნიერო მიღწევებისადმი.

მსოფლიო გამოცდილება კი ბიზნესს, სამეცნიერო ცენტრებს, უნივერსიტეტებსა და მეცნიერებს შორის აქტიურ თანამშრომლობაზე მიუთითებს.

დღევანდელი ტექნიკური პროგრესი სწრაფად განვითარებადი, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის შედეგია. ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკა ვერ იარსებებს გამოყენებითი და ტექნოლოგიური კვლევების, ასევე, ფუნდამენტური კვლევების განვითარების გარეშე. ამ სიტუაციაში განსაკუთრებულია უნივერსიტეტების როლი – თანამედროვე კვლევითი უნივერსიტეტი ქმნის ახალ ცოდნას, ინტელექტუალურ საკუთრებასა და ტექნოლოგიებს, რაც, თავის მხრივ, ახალი

of the researches can be applied in practice but in order to do that, it is necessary to tie the chain (idea-research-patent-license-technological product) in the first place, allowing a university and a scientist to reap the benefits of their scientific work and commercialize the research.

In 2012 the World Intellectual Property Organization (WIPO) published preliminary statistics of patent applications submitted under the Patent Cooperation Treaty (PCT). Significant share of applications have been submitted by universities, with lead positions traditionally held by US higher institutions such as University of California (277 applications), Massachusetts Institute of Technology (179), University of Texas System (127 applications), John Hopkins University (111 applications). The list of Top 50 applicants is mostly made up of US universities but it also includes a South Korean university. Universities from Japan, UK and Israel also made the list.

It is only symptomatic that universities from post-Soviet and post-socialist countries could not make the list published by WIPO. To a certain extent, this is caused by a lack of finances, the fact that they are able to submit their applications patent organizations other than local ones, and most importantly, by their lack of traditional ties between a business and university sciences.

In a contemporary world, post-Soviet scientists are frequently referred to as “captives of castle of dreams”. These scientists do research and in some cases also create subsequent important scientific products but they are waiting for their prince – business entrepreneurs – to come. There is also a lack of demand or confidence in

**SCIENTIFIC AND INDUSTRIAL CHAIN CAN ALSO BE TIED BY MEANS OF CREATING AN INNOVATION WITHIN A UNIVERSITY (OFFICE OF TECHNOLOGY TRANSFER, FOR INSTANCE). THE AGENCY EXAMINES AND PATENTS SCIENTIFIC PRODUCT, IF NEEDED. AFTERWARDS, IT FINDS A LICENSE BUYER – AN ENTREPRENEUR.**

local scientific achievements on part of local businesses in post-Soviet countries, whereas universal experience is that there is an active cooperation between businesses and scientific centers, universities, scientists:

Current technological progress is the result of rapidly developing, technology-based economy. Technology-based economy can not exist without the development of applied and technical research, as well as fundamental researches. Universities are playing a particular role in this regard, as a contemporary research university gives way to new knowledge, intellectual property and technologies, which in its turn give way to new technological companies and new products on market. Universities attract and produce highly-qualified professionals that high-tech companies are in need of. On the other hand, companies try to establish themselves close to universities, scientific parks. This is how the Start-Up companies

ტექნოლოგიური კომპანიისა და ბაზარზე ახალი პროდუქტის გამოჩენის სანინდარია. უნივერსიტეტი იზიდავს და ქმნის მაღალკვალიფიციურ პერსონალს, რომელიც სჭირდება მაღალტექნოლოგიურ კომპანიას, მეორე მხრივ, კომპანია ცდილობს დამკვიდრდეს უნივერსიტეტთან ახლოს, საუნივერსიტეტო სამეცნიერო პარკში. ამგვარად, იქმნება ეგრეთწოდებული Start-Up კომპანიები, რომელთა ერთ-ერთი დამფუძნებელი ხშირად თავად უნივერსიტეტია.

ბიზნესისა და უნივერსიტეტების სამეცნიერო თანამშრომლობის საინტერესო მაგალითია მობილური ტელეფონებისა და ციფრული ტექნიკის მწარმოებელი კომპანიის „ნოკიას“ გამოცდილება. კომპანიის კვლევითი ცენტრი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მუშაობს უნივერსიტეტებთან IT მიმართულებით კვლევების განხორციელებისთვის. ცენტრს არაერთი რეგიონული განყოფილება აქვს, რომელთა ნაწილიც სწორედ უნივერსიტეტების კამპუსებთან ახლოს – მაგალითად, იმავე მასაჩუსეტის ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან, კალიფორნიის უნივერსიტეტთან, სტენფორდის უნივერსიტეტთან (აშშ), კემბრიჯის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი), ცხადია, ფინეთის, ასევე, შვეიცარიის, ჩინეთისა თუ ავსტრალიის უნივერსიტეტებთან ფუნქციონირებს. სხვათაშორის, „ნოკიას“ კვლევით ცენტრს, აღმოსავლეთ ევროპაში არსებული რეგიონული წარმომადგენლობების საშუალებით, კვლევებში ჩართული ჰყავს მეცნიერები პოსტსაბჭოთა ქვეყნების უნივერსიტეტებიდანაც. მათი მეცნიერული პროდუქტის დაპატენტება კი, სწორედ, ამ უნივერსიტეტებისა და კომპანიის ერთობლივი ინიციატივით ხდება.

ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა უნივერსიტეტებთან ე.წ. ტექნოლოგიური პარკების (ტექნოპარკები) არსებობაც, რომლებიც ბიზნესისა და მეცნიერების აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე ფუნქციონირებს. ბიზნესი თავიდანვე აფინანსებს კვლევებს, შედეგის მიღწევის შემდეგ,


are created, which are frequently co-founded by universities themselves.

An interesting example of cooperation between business and universities is the experience of Nokia, a company producing mobile cell-phones and digital technologies. Research center of the company collaborates with universities all over the world in the area of IT researches. The center has a number of regional branches with some of them located near university campuses, including campuses of Massachusetts Institute of Technology, University of California, Stanford University (in the U.S.), Cambridge University (in Great Britain) and clearly universities in Finland, Switzerland, China and Australia. By the way, by means of its regional offices in Eastern Europe, Nokia's research center has also engaged scientists from universities in post-Soviet countries in researches. Subsequent scientific product is patented under a joint initiative of universities and the company.

Technological parks (techno parks) are a common practice at universities. They function through active cooperation between business and science. Businesses initially provide funding for their researches and after the final product is developed, they are patented and introduced in practice through cooperation between business and university. Generally, such relations are pursued by well-developed businesses and credible universities.

There is also another way – scientific and industrial chain can also be tied by means of creating an innovation agency within a university (office of technology transfer, for instance). The agency examines and patents scientific product, if needed. Afterwards, it finds a license buyer – an entrepreneur. It is noteworthy that such examples are common not only in the US or Europe. IP professionals frequently cite an example of Brazilian state university Campinas which managed to sell 7 patents within the first 6 months after opening the innovation agency in 2003, gaining USD 1 million in income in 10 years. Based on license agreements signed in 2004, the university was able to generate annual income of USD 14 million starting from 2005.

An example of Mexico, a country with widely problem-



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Tbilisi State University

უნივერსიტეტთან ერთად აპატენტებს მას და ნერგავს პრაქტიკაში. როგორც წესი, ამ ტიპის ურთიერთობაში უკვე კარგად განვითარებული ბიზნესი და ნდობამოპოვებული უნივერსიტეტები ერთვებიან.

არსებობს სხვა გზაც – უნივერსიტეტის ძალისხმევით, სამეცნიერო და სამრეწველო ჯაჭვის შეკვრა უმაღლეს სასწავლებელში ინოვაციის სააგენტოს შექმნის მეშვეობითაც შეიძლება მოხდეს (მაგ., ტექნოლოგიური ტრანსფერის ოფისი); სააგენტო ექსპერტიზას უკეთებს, საჭიროების შემთხვევაში კი, აპატენტებს უნივერსიტეტში შექმნილ სამეცნიერო პროდუქტს და შემდეგ პოულობს ლიცენზიის მყიდველს – მენარმეს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მაგალითები მხოლოდ აშშ-ში ან ევროპაში არ გვხვდება. ინტელექტუალური საკუთრების თემით დაინტერესებულებს ხშირად მაგალითად მოჰყავთ ბრაზილიაში კამპინასის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც ინოვაციის სააგენტოს გახსნიდან პირველივე 6 თვეში (2003წ.) მოახერხა 7 პატენტზე ლიცენზიის გაყიდვა, რამაც 10 წლის განმავლობაში უნივერსიტეტს 1 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მოუტანა; 2004 წელს გაფორმებული ლიცენზიის ხელშეკრულებების საფუძველზე კი, უნივერსიტეტს საშუალება მიეცა 2005 წლიდან წლიურად 14 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი დაეგეგმა.

სამეცნიერო შედეგების კომერციალიზაციის საინტერესო მაგალითი გვხვდება საკმაოდ პრობლემური ეკონომიკის მქონე ქვეყანაში – მექსიკაში. ნაციონალური ავტონომიური უნივერსიტეტის სამეცნიერო მიღწევების (გამდინარე წყლის განმენდის სისტემები) დანერგვისა და კომერციალიზაციისთვის აქ, 1995 წელს, შეიქმნა დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი კომპანია „IB Tech“. სანყის ეტაპზე კომპანია უნივერსიტეტის ექსპერიმენტული პროექტის სახით არსებობდა, ხოლო 1997 წლიდან უნივერსიტეტს გამოეყო, თუმცა, მისი სამეცნიერო მიღწევების მთავარ მომხმარებლად დარჩა. რამდენიმე წლის მანძილზე ნაციონალურმა ავტონომიურმა უნივერსიტეტმა წყლის გამმენდის სისტემებზე აიღო 6 მექსიკური, ასევე, აშშ-სა და კანადის პატენტები და სამეცნიერო მიღწევების კომერციალიზაცია მოახდინა.

თუ კომპანია „IB Tech“ საკმაოდ მალე გაემიჯნა უნივერსიტეტს, მილანის ტექნიკური უნივერსიტეტის შვილობილი კომპანია „Telerilevamento Europa“ (TRE) უნივერსიტეტის წარმატებული შვილობილი კომპანიის მაგალითად დარჩა. 2000 წელს შექმნილი „Telerilevamento Europa“ უნივერსიტეტის მიერ 1999 წელს დაპატენტებული გეოდეზიური მეთოდის ექსკლუზიური ლიცენზიატია. 2007 წელს კომპანია მკანადაშიც გახსნა ფილიალი.

სამეცნიერო კვლევათა შედეგების მსგავსი კომერციალიზაცია საშუალებას იძლევა გაძლიერდეს უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი, გაიზარდოს კვლევების დაფინანსება და მოცულობა, მეცნიერების მხარდაჭერა, მიღწეული იყოს მეტი შედეგი და, შესაბამისად, ეს აისახოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

იმისათვის, რომ პროცესი შედგეს, აუცილებელია შესაბამისი სტრუქტურებისა და რეგულაციების



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივიდან

From the archive of Tbilisi State University

atic economy is worth examining. IB Tech, a company that is already quite well-known was established in 1995 for introduction and commercialization of achievements of the National Autonomous University of Mexico (UNAM) (wastewater treatment system). Initially the company was established as an experimental project of UNAM. In 1997 it was formed as a separate entity from the university but remained the main consumer of UNAM's scientific achievements. In couple of years IB Tech patented 6 water treatment systems in Mexico, as well as in the US and Canada and commercialized scientific achievements.

IB Tech is an example of a company that was soon formed as a separate entity from the university, whereas Telerilevamento Europa (TRE) – a spin-off of the Politecnico di Milano Technical University - remains to be an example of a successful spin-off company of a university. Telerilevamento Europa, created in 2000, is an exclusive licensee of the technology for ground deformation monitoring patented in 1999. In 2007 Telerilevamento Europa opened a branch in Canada.

Such commercialization of scientific research allows for boosting scientific potential of a university and funding and volume of researches, as well as for supporting science and increasing number of achievements, which will be reflected on economic development of the country.

Relevant agencies and regulations (office of technology transfer, scientific/technological park, university regulations for intellectual property and patents) are necessary to succeed in commercialization of scientific research.

As it was noted above, Georgia (TSU, for instance) has a great potential. Therefore, the department of scientific research and development at TSU is actively cooperating with legal department for developing internal regulations that will allow TSU to tie the chain. They have recently presented the draft TEMPUS, serving the noted purpose.

TSU participate in the process of consultations of the

არსებობა (ტექნოლოგიური ტრანსფერის ოფისი, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი, ინტელექტუალურ საკუთრებასთან და პატენტებთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო რეგულაციები).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ თვალსაზრისით, დიდი პოტენციალი არსებობს საქართველოში, მაგალითად, თსუ-ში. სწორედ ამიტომ, დღეს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი, თსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად, მუშაობს შიდასაუწყებო რეგულაციებზე, რომელიც ამ ჯაჭვის შეკვრის შესაძლებლობას შექმნის. დეპარტამენტების მიერ ახლახან წარდგენილ იქნა TEMPUS-ის პროექტიც, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება.

თსუ მონაწილეობას იღებდა საქართველოში პირველი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრის პროექტის საკონსულტაციო პროცესში. ცნობილია, რომ ცენტრი სულ ახლახან, 2012 წლის თებერვალში საქაპატენტისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აქტიური მხარდაჭერით შეიქმნა. ცენტრის მიზანია გამოგონებლებისა და ბიზნესის წარმომადგენლების დაკავშირება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინოვაციური გამოგონებების კომერციალიზაციას. შესაბამისად, უნივერსიტეტი ამ ცენტრთან აქტიური თანამშრომლობისთვისაც მზადაა.

გარდა ამისა, თსუ-ში რამდენიმე წელია დაინერგა მეცნიერების მენეჯმენტის სასწავლო კურსი, რომელიც მომავალ მეცნიერებს კვლევებისადმი და მათი მართვისადმი წამოყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების საკითხებსაც შეასწავლის. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა, ასევე, ჩაატარა რამდენიმე შეხვედრა ბიზნესის წარმომადგენლებთან კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე კვლევების გაცნობის მიზნით და განიხილა ე.წ. ტექნოპარკების შექმნის პერსპექტივაც. პირველმა შეხვედრებმა აჩვენა, რომ, ამ თვალსაზრისით, საქართველოში ბიზნესმენტა ინფორმირებისთვის ჯერ კიდევ სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი. ამიტომ, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა საზოგადოების ინფორმირებაზე: 2011 წელს თსუ-ში შეიქმნა სამეცნიერო პორტალი (<http://rp.tsu.ge/>), რომელიც თსუ-ს მეცნიერთათვის ერთმანეთთან და პოტენციურ კოლაბორატორებთან (უცხოელი მეცნიერები, ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები) უკეთესი ურთიერთკავშირის უზრუნველყოფას, მეცნიერების სტიმულირებასა და პოპულარიზაციას, ახალგაზრდა მეცნიერებსა და სტუდენტებში სამეცნიერო ინტერესის გაღვივებას ემსახურება; მეცნიერების მიღწევების პოპულარიზაციას ემსახურება, ასევე, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „თსუ მეცნიერება“, რომლის პირველი ნომერიც 2011 წლის დეკემბერში გამოვიდა. ჟურნალი წელიწადში ორჯერ, ორ ენაზე (ქართული და ინგლისური) ფართო საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას თსუ-ს მეცნიერთა კვლევების შესახებ.


first technology and innovation transfer center in Georgia, created in February 2012 with an active support from Sakpatenti and German Society for International Cooperation (GIZ). The Center serves the purpose of bringing together inventors and business entrepreneurs, which will promote commercialization of innovative inventions. TSU is ready to actively cooperate with the Center.

Furthermore, science management course was introduced at TSU several years ago, focusing on future scientific research and contemporary requirements for management of scientific researches, including issues pertinent to intellectual property. TSU's department of scientific research and development also held meetings with business representatives for introducing them to researches with potential of commercialization and discussing the prospects of creating a techno park. Initial meetings demonstrated that serious steps are yet to be made in Georgia for raising awareness of business entrepreneurs. Therefore, TSU focused on public awareness and created a scientific portal <http://rp.tsu.ge/> in 2011 for promoting ties among scientists themselves as well as between scientist and potential collaborators (foreign scientists, local and foreign potential investors), for stimulating and promoting science, stirring up scientific interest among young scientists and students. A popular magazine *TSU Science* also aims at promotion of scientific achievements. Its very first issue came out in December 2011. The magazine is published twice a year in Georgian and English languages, keeping public informed about scientific researches at TSU.

#### წერილში გამოყენებული წყაროები:

##### Sources used:

- ჟურნალი „თსუ მეცნიერება“, დეკემბერი, 2011 წ.
- TSU Science magazine, December 2011
- [http://www.tsu.edu.ge/data/image\\_db\\_innova/Analizi-2012.pdf](http://www.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Analizi-2012.pdf)
- <http://www.tsu.edu.ge/ge/research>
- <http://rp.tsu.ge/>
- [http://www.wipo.int/pressroom/en/articles/2012/article\\_0001.html](http://www.wipo.int/pressroom/en/articles/2012/article_0001.html)
- [http://www.wipo.int/sme/en/best\\_practices/unicamp.htm](http://www.wipo.int/sme/en/best_practices/unicamp.htm)
- <http://research.nokia.com/>
- <http://www.nokia.com/global/about-nokia/people-and-planet/emf-health/research/research-and-regulation/>
- <http://www.ibtech.com.mx/ingles/index.htm>
- <http://earsc.org/members/tele-rilevamento-europa-tre>



**ივანე ჯავახიშვილი**  
ისტორიკოსი და საზოგადო  
მოღვაწე, თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
თანადამფუძნებელი და  
რექტორი.

**Ivane Javakhishvili**  
Georgian historian, one  
of the founding fathers of  
the Tbilisi State University  
and its rector.



# ივანე ჯავახიშვილი IVANE JAVAKHISHVILI

**ივანე ჯავახიშვილი** – ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი და რექტორი, საქართველოსა და კავკასიის ისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მისმა შრომებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლაზე.

**დაიბადა** 1876 წლის 11 აპრილს, თბილისში.

**განათლება:** 1895 წელს დაამთავრა თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, 1899 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანული განყოფილება, 1899-1901 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის მაგისტრანტი, 1901-1902 წლებში მიიწვიეს ბერლინის უნივერსიტეტში.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** მისი თაოსნობით და ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით დაარსდა 1918 წელს. 1919–1926 წლებში ის უნივერსიტეტის რიგით მეორე რექტორი იყო.

**მეცნიერული მოღვაწეობის** მთავარ მიმართულებებს წარმოადგენდა: საქართველოსა და კავკასიის ისტორია, ქართული ეკონომიკისა და სამართლის ისტორია, კავკასიის ეთნოლოგია, საქართველოს ეთნოგრაფია, კავკასიური ენები, საქართველოს საისტორიო გეოგრაფია, ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორია. მიიწნევა ისტორიული წყაროთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლად. ავტორია 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის „ქართველი ერის ისტორიის“ (სრულად გამოქვეყნდა 1908–1949 წლებში), რომელიც დღემდე საქართველოს ისტორიის შესახებ ყველაზე ამომწურავ შრომად ითვლება.

**გარდაიცვალა** 1940 წლის 18 ნოემბერს, ლექციის კითხვის დროს.

**დაკრძალულია** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში. 1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი სახელი ეწოდა.

**Ivane Javakhishvili** – Georgian historian, public figure, one of the founding fathers of the Tbilisi State University and its rector. One of the founders of the modern school of Georgian and Caucasu history. His works heavily influenced the modern scholarship of the history and culture of Georgia.

**Born** in Tbilisi, April 11, 1876.

**Education:** Graduated from Tbilisi first classical gymnasium in 1895, after finishing Faculty of Oriental Studies of the St. Petersburg University in 1899, he became a private-docent of the Chair of Armenian and Georgian Philology. From 1901 to 1902, he was a visiting scholar at the University of Berlin.

**Tbilisi State University** – was founded by him and other Georgian scholars, in the year 1918. He became its second rector in 1919 - 1926.

**Scholarship and works:** The main trends of his work were related to the history and of Georgia and the Caucasus, Georgian economy and law, Caucasian languages and ethnology, Georgian ethnography, the history of Georgian musical art. He is considered to be the founder of Caucasian scientific school of historical sources. Javakhishvili authored more than 170 works including his main work, ***A History of the Georgian Nation*** (fully published between 1908 and 1949), has remained one of the most comprehensive works of pre-modern Georgian history.

**Died** In the year 1940, November 18, during giving a lecture.

**Buried** In the yard of Tbilisi State University. In 1988 University was named after Ivane Javakhishvili.

# ივანე ჯავახიშვილი – ახალი ეტაპი ქართულ მეცნიერებაში

## IVANE JAVAKHISHVILI – NEW PHASE IN GEORGIAN SCIENCE

დავით ლორთქიფანიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი

DAVID LORTKIPNADIZE

DIRECTOR GENERAL OF NATIONAL MUSEUM OF GEORGIA



„ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორია“, „ივანე ჯავახიშვილი და უნივერსიტეტი“, იმდენად მიღებული ცნებებია, რომ სინონიმებად აღიქმება ქართულ საზოგადოებაში. დიდი მეცნიერი, უნივერსიტეტის დამაარსებელი – მხოლოდ ელემენტებია ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობისა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ცხოვრება მაგალითია ურთულეს გარემოში ფართო ხედვის მქონე ლიდერის წარმატებული საქმიანობისა. მისი ცხოვრება დაფუძნებულია, როგორც უნივერსალურ, ისე ეროვნულ ღირებულებებზე. იგი არის ილია ჭავჭავაძის იდეების განმახორციელებელი.

ქართული მეცნიერების ისტორიაში ივანე ჯავახიშვილი ახალი ეტაპია. მან დააარსა ქართული უნივერსიტეტი და ახალი სახე მისცა მეცნიერულ კვლევა-ძიებას. მისი კრედიო კარგად ჩანს სიტყვებში: „ქართული კულტურის კვლევა მოგვცემდა საშუალებას იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო, მკვდრეთით აღმდგარიყო ძველი ქართული მეცნიერება, ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული“.

ივანე ჯავახიშვილმა შექმნა საქართველოს ისტორიისა და კულტურის კვლევის სრულიად ახალი, ფუნდამენტური სისტემა. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის ინტერდისციპლინურ კვლევას. მისმა კვლევითმა საქმიანობამ აჩვენა, რომ ნამდვილი მეცნიერება სხვადასხვა დარგის სინთეზია. საქართველოს ისტორიის ის იკვლევა მთლიანობაში, დანყებული ქართველი ერის, მისი დამწერლობის წარმოშობიდან ქართული პოლიფონიისა და სოფლის მეურნეობის ისტორიის ჩათვლით.

Ivane Javakhishvili and the history of Georgia, Ivane Javakhishvili and the University are widespread notions that are viewed synonyms by Georgian society. A great scientist, the founder of the university – these are just elements of the many-sided life of Ivane Javakhishvili. It is safe to say that his life illustrates an example of a successful work of a visionary leader in the most difficult environment. His life was based on universal as well as national values. He is the implementer of Ilia Chavchavadze's ideas.

Ivan Javakhishvili epitomizes a new phase in Georgian science: he founded Georgian university and upgraded scientific work and research in Georgia. His credo is well-illustrated in the following words: “research of Georgian culture would have allowed us to utilize the old reserve that should have revived and given rise to the Georgian science that used to be rich before it fell into decay.”

Ivane Javakhishvili created a completely new, fundamental system of research of Georgian history and culture. He founded interdisciplinary research of Georgian history. His research activities demonstrated that a genuine science is a synthesis of different fields. He researched Georgian history as a whole – starting from the Georgian nation, origination of its writing system, Georgian polyphony and history of agriculture.

Ivane Javakhishvili has initiated a number of expeditions and archeological excavations. He took theoretical as well as field research to a whole new level.

His works constitute not only a scientific research

ივანე ჯავახიშვილი იყო მრავალი ექსპედიციისა და არქეოლოგიური გათხრის ინიციატორი. მან შეძლო როგორც თეორიული, ისე საველე კვლევების ახალ საფეხურზე აყვანა.

მისი ნაშრომები არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი ხასიათისაა, არამედ მათში ჩანს სტრატეგიული ხედვა სხვადასხვა დარგის განვითარებისა. ამის მაგალითია „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, რომელში დასმული საკითხების აქტუალურობა განსაკუთრებით გამოჩნდა XX საუკუნის ბოლოს, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. იგივე შეიძლება ითქვას მის მოსაზრებებზე საქართველოში იურისპრუდენციის განვითარების შესახებ.

ივანე ჯავახიშვილს, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის აქტიურ მებრძოლს, კარგად ესმოდა მეცნიერების, უმაღლესი განათლებისა და ფართო საზოგადოებაში ცოდნის გავრცელების ერთიანი ხედვის აუცილებლობა. მის სახელთანაა დაკავშირებული ეროვნული ინსტიტუციების ჩამოყალიბება და მათი ერთმანეთთან დაკავშირება. ამის მაგალითია უნივერსიტეტსა და საქართველოს მუზეუმში მისი საქმიანობა.

როგორც აღიარებულ ლიდერს ახასიათებს, მან შეძლო თანამოაზრეების – ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის გაერთიანება.

მისი ნაშრომების აქტუალურობა ოდნავაც არ იკლებს, რადგანაც ისინი მაღალ სამეცნიერო სტანდარტსა და ჭეშმარიტ ღირებულებებს ეფუძნება.

but they also contain a strategic view of the development of different fields, which is illustrated by the Economic History of Georgia, for instance, featuring issues that turned out to be particularly pressing around the late twentieth century, after the restoration of Georgia's independence. Same is true for his opinions about the development of jurisprudence in Georgia.

As someone who fought for restoration of Georgia's independence, Ivane Javakhishvili had an excellent understanding of science, higher education and a unified vision for spreading education among the broader public. His name is associated with formation of national institutes and their linkage. It is most vividly illustrated by his work at the University and the Museum of Georgia.

As a recognized leader, he managed to unify people holding the same views as he – the intellectual potential of the country.

His works are equally relevant today as they are based on high scientific standard and true values.

ივანე ჯავახიშვილი არმაზის არქეოლოგიურ გათხრებზე

Ivane Javakhishvili during archeological excavations at Armazi (historical place near Tbilisi)



20 წელი  
მუდამ  
ALWAYS

Coca-Cola - სთან ერთად  
FOR 20 YEARS

სოფო კვინტრადე  
SOPHIE KVINTRADZE

„ძვირფასო, მისტერ კოო!...“

ეს ამბავი დიდი ხნის წინ, ინგლისურ ენაზე ხელით დანერილი წერილით დაიწყო, რომელიც თბილისიდან ატლანტაში „ზე კოკა-კოლა კომპანის“ პრეზიდენტს დონალდ კეოს მისწერეს.

1992 წელი – დაშლილი საბჭოთა კავშირი, დანგრეული ეკონომიკა, სამოქალაქო არეულობა, ომი, სოციალური გაჭირვება, უმუშევრობა, მოკლედ ყველაფერი, რამაც შეიძლება ბიზნესის განვითარებას ხელი შეუშალოს. ამის მიუხედავად, „კოკა-კოლა“-დან თბილისში წერილი მოვიდა, რომელიც იტყობინებოდა, რომ მალე საქართველოში ჩამოვიდოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კურატორი მუხტარ კენტი (ამჟამად, მუხტარ კენტი „ზე კოკა-კოლა კომპანის“ პრეზიდენტია). დღეს, როცა ამ ისტორიას იხსენებს, თემურ ჭყონია ყველაფერს შემთხვევითობას უმაღლის.

მუხტარ კენტი მართლაც ჩამოვიდა და თემურ ჭყონიას შეხვდა, რომელიც მანამდე საქართველოში უალკოჰოლო სასმელების წარმოებას ხელმძღვანელობდა. ჭყონიას ლიმონათის ქარხანაში ადრეც ასხამდნენ „კოკა-კოლა“-ს და „პეპსი“-ს. ეს უცნაური ამბავი საბჭოთა კავშირის დროს ხდებოდა. 1985 წელს, ფეხბურთის ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა, რომლის სპონსორიც „ზე კოკა-კოლა კომპანი“ იყო. ჩემპიონატს მასპინძლობდნენ საბჭოთა კავშირის ქალაქები, მათ შორის თბილისიც. მოხდა ისე, რომ თბილისში ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების თამაში უნდა ჩატარებულიყო. კორპორაციის წარმომადგენლები თბილისში ჩამოვიდნენ და, სწორედ მაშინ, გაჩნდა იდეა, რომ საბჭოთა ლიმონათის ქარხანაში ცნობილი ამერიკული სასმელი ჩამოესხათ. ამ დროს ქარხანა უკვე ასხამდა „პეპსი“-ს. თუმცა, კონკურენტ კომპანიებს მაშინ ნაკლებად აღელვებდათ კონკურენცია და მარკეტინგი საბჭოთა რესპუბლიკაში.



“Dear Mr. Keough!...”

It all started a long ago, with a letter handwritten in English, addressed to the President of The Coca-Cola Company, Donald Keough, and sent from Tbilisi to Atlanta.

By the year 1992, the Soviet Union had already collapsed; the economy was in shambles; the country was facing civil unrest, war, social poverty, no electricity – all that may very well hinder the development of business. Nevertheless, a letter was sent from Coca-Cola to Tbilisi, informing that soon president of the Company's East Central Europe Division Muhtar Kent would be travelling to Georgia (he is currently holding the position of the Chairman and CEO of The Coca-Cola Company). Looking back, Temur Chkonia believes that it all happened by chance.

Muhtar Kent did arrive in Georgia and met with Temur Chkonia who was producing soft-drinks in Georgia at that time. Coca-Cola and Pepsi had been bottled in Chkonia's lemonade factory before. It was a funny story that happened during the Soviet times, when a world youth football championship sponsored by the Coca-Cola Company was held in 1985. The championship was hosted by Soviet cities, including Tbilisi. Representatives of the Corpo-





„ზე კოკა-კოლა კომპანის“  
პრეზიდენტისთვის გაგზავნილი  
წერილი

The letter sent to the  
President of  
"The Coca-Cola company"

საპასუხო წერილი „ზე კოკა-  
კოლა კომპანიდან“

The answer received from  
"The Coca-Cola company"

ration arrived in Georgia for the game of a Brazilian youth team that Tbilisi was hosting. This is when they first had an idea of bottling the famous American soft-drink in a Soviet lemonade factory. The factory was already bottling Pepsi at that time. However, the rival companies did not care much about the competition and marketing in a Soviet republic.

Following the collapse of the Soviet Union, the factory had to choose between Pepsi and Coca-Cola. Temur Chkonia chose Coca-Cola and to realize his choice he decided to ask for permission from The Coca-Cola Company.

When Muhtar Kent arrived in Georgia in 1992 to negotiate with Georgians, the first thing that he demanded was preparatory works. Later it turned out that he wasn't very hopeful about the initiative of Georgians, thinking that it would take them at least 3 years to complete the preparatory works but Georgians proved him wrong after they were able to finish the works in 7-8 months. Americans preceded by sending experts to Georgia and inviting Georgian technologists to the US for trainings.

The opening ceremony of the Coca-Cola Bottlers Georgia factory at Tsereteli Avenue in Tbilisi was held on June 30, 1993. The ceremony was attended by officials of the Corporation and covered by Western media. It was an important event, since Georgia was the first former Soviet Republic where a well-known American brand launched its production. It was followed by opening of Coca-Cola factories in Russia, Azerbaijan and Kazakhstan. Today The Coca-Cola Company prides itself in opening a factory under extremely difficult circumstances in Georgia.



როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და ქარხანა არჩევანის წინაშე დადგა – „პეპსი“ თუ „კოკა-კოლა“, თემურ ჩყონიამ „კოკა-კოლა“ აირჩია და თავისი არჩევანის განსახორციელებლად „ზე კოკა-კოლა კომპანიდან“ ნებართვა ითხოვა.

როდესაც 1992 წელს მუხტარ კენტი ქართველებთან მოსალაპარაკებლად ჩამოვიდა, პირველ რიგში მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება მოითხოვა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის ქართველების ინიციატივას უიმედოდ შეჰყურებდა. ეგონა, რომ პროცესი მინიმუმ 3 წელიწადს გაინელებოდა და მაინც ვერაფერს მოახერხებდნენ. თუმცა, ყველა სამუშაო 7-8 თვეში დასრულდა, რამაც ამერიკელების ნდობა გამოიწვია. ამის შემდეგ, კორპორაციამ საქართველოში ექსპერტები გამოაგზავნა, ქართველი ტექნოლოგების ნაწილი კი ამერიკაში მიიწვიეს ტრენინგებზე.

1993 წლის 30 ივნისს წერეთლის გამზირზე საზეიმოდ გაიხსნა „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ქარხანა. გახსნას კორპორაციის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ და დასავლური მედია საშუალებები აშუქებდნენ. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, სწორედ, საქართველო იყო პირველი, სადაც ცნობილმა ამერიკულმა ბრენდმა თავისი პროდუქტის წარმოება

დაიწყო. ამის შემდეგ, გაიხსნა კოკა-კოლას ქარხნები რუსეთში, აზერბაიჯანსა თუ ყაზახეთში. დღეს უკვე „ზე კოკა-კოლა კომპანიში“ საქართველოს მაგალითს სიამაყით ყვებიან, რადგან აქ ქარხნის გახსნა ურთულეს პირობებში მოხერხდა.

### კოკა-კოლა და 90-იანები

„კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ პრეზიდენტი თემურ ჭყონია იხსენებს, რომ, სანყის ეტაპზე, მუშაობა მართლაც ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. სასმელის წარმოება ყველა სტანდარტის მიხედვით ხდებოდა, მაგრამ დისტრიბუციის სქემის აწყობა რთული იყო. 90-იანი წლების საქართველოში სავაჭრო ობიექტებიც კი არ ფუნქციონირებდნენ, სადაც კოკა-კოლა გაიყიდებოდა. ისეთი დროც ახსოვთ, როცა მაღაზიებში დახლებზე არაფერი იდო პურისა და „კოკა-კოლას“ გარდა.

მიუხედავად ამისა, ხალხს უნდა გაეგო, რომ საქართველოში ეს ბრენდი შემოვიდა, ანუ საჭირო იყო ეფექტური და სწორად წარმართული სარეკლამო კამპანია. ქარხნის აღმასრულებელი დირექტორი ვახტანგ ლალიძე დღეს უკვე ღიმილით იხსენებს, რომ ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში წითელი საღებავიც კი ძნელი საშოვნელი იყო, ამიტომ ის თურქეთიდან შემოჰქონდათ, ხოლო „კოკა-კოლას“ სარეკლამო ბილბორდებს ხელით ხატავდნენ.

დღეისათვის ბრენდის სარეკლამო კამპანია სხვა ეტაპზეა გადასული. უკვე ყველამ იცის, რა არის „კოკა-კოლა“. ახლა, მთავარია სავაჭრო ობიექტში შესულ მყიდველს მისი შექენა არ დაავინწყდეს.

### ყველაზე ძვირადღირებული და დაცული ბრენდი

„კოკა-კოლა“ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობად სასაქონლო ნიშნად (ბრენდად) ითვლება. წითელ და თეთრ ფერებში შესრულებულ ლოგოს პლანეტის მოსახლეობის 94% ცნობს. არცაა გასაკვირი, ეს სასმელი ხომ მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაში იყიდება. ყველგან, სადაც კოკა-კოლა იყიდება, მისი სასაქონლო ნიშნების დაცვა და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა მიმდინარეობს. დღეისათვის, მსოფლიოში „ზე კოკა-კოლა კომპანი“ 500-მდე სხვადასხვა დასახელების სასმელს აწარმოებს, მათ შორის გაზიან უალკოჰოლო სასმელებს, ნატურალურ წვენებს, ყავასა და წყალსაც კი.

მხოლოდ საქართველოში „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიერ რეგისტრირებულია 170-ზე მეტი სასაქონლო ნიშანი. ნიშნების რეგისტრაცია საქართველოში „ზე კოკა-კოლა კომპანის“ პატენტრწმუნებულების მეშვეობით ხდება.

სასაქონლო ნიშნები სხვადასხვა კომბინაციებშია დაცული. მაგალითად, სიტყვიერი ან გრაფიკული ნიშანი, შავ-თეთრი ან ფერადი და ა.შ. საერთო ჯამში ისინი შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს: სლოგანები, სიტყვიერი სასაქონლო ნიშნები, გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნები (მაგ., ბოთლის გრაფიკული გამოსახულება), კომბინირებული სასაქონლო ნიშნები (სი-

### Coca-Cola and the 90s

President of Coca-Cola Bottlers Georgia Temur Chkonia recalls that initially they had to overcome lots of difficulties. Although the production in Georgia was in line with all applicable standards, setting up a network of distribution turned out to be quite difficult. There were no individual retailers in the 90s in Georgia, where Coca-Cola could be sold. There was a time when stores in Georgia had nothing but bread and Coca-Cola on their shelves.

Furthermore, people had to be informed that the brand had entered the Georgian market, i.e. effective and properly pursued ad campaign was needed. Executive director of the factory Vakhtang Lagidze recalls with a smile that as a red dye in the former Soviet country was difficult to find, they had to import it from Turkey, while commercial billboards of Coca-Cola were painted by hand.

Currently the ad campaign for the brand is at a completely different level. Everyone knows what Coca-Cola is. Now the only concern is for customers not to forget buying the product before leaving stores.

### The Most Expensive and Protected Brand

Coca-Cola is viewed as one of the most recognizable trademarks or brands in the world. The red and white logo is recognized by 94% of the population of the planet. It is hardly surprising since Coca-Cola is sold in more than 200 countries worldwide, accompanied with protection of the trademarks and fighting against counterfeiting as an important part of the process.

Currently The Coca-Cola Company produces over 500 different varieties of soft-drinks, including carbonated non-alcoholic beverage, natural juice, coffee and water.

The Coca-Cola Company has registered more than 170 trademarks only in Georgia. The trademarks have been registered by means of a patent attorney of The Coca-Cola Company.

The Coca-Cola Company has registered its trademarks in various combinations: a word or an image, black and white or colored design, etc. They fall under the following categories of trademarks: slogans, words, images (e.g. an image of the bottle), combined trademarks (words and images) and three dimensional (3D) images.



ამჟამად კომპანიაში 1250 ადამიანია დასაქმებული  
Currently the company has 1250 employees





1899-1902

1900-1916

1915

1957

1961

1991

1993

2007

ტყვიერი და გრაფიკული), მოცულობითი სასაქონლო ნიშანი (ე.წ. 3D ნიშნები).

რეგისტრაციის პროცესი დღემდე გრძელდება, რადგან ბაზარზე მუდმივად შემოდის „კოკა-კოლას“ ახალი ბრენდები. მაგალითად, ცოტა ხნის წინ საქართველოში „Coca-Cola Zero“ და „Coke Zero“ დარეგისტრირდა.

როგორც შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში“ აცხადებენ, ფალსიფიკაციის შემთხვევები ადრე უფრო ხშირი იყო. მაგალითად, 90-იან წლებში თბილისის პარალელურად კოკა-კოლას ქუთაისშიც ასხამდნენ. ზოგიერთი ინდემწარმე „კოკა-კოლას“ ბოთლებს იყენებდა და კუსტარულად მსგავსი შეფერილობის სასმელს ასხამდა.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების მიხედვით, შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ აქვს ექსკლუზიური უფლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აწარმოოს და გაყიდოს „კოკა-კოლას“ უალკოჰოლო სასმელები. ამავე ხელშეკრულების თანახმად „ბოთლერს ჯორჯია“ „ზე კოკა-კოლა კომპანისაგან“ ყიდულობს კონცენტრატს, რომლითაც მზადდება სასმელები. რაც შეეხება თავად კონცენტრატს, მისი დამზადების ტექნოლოგია კვლავაც რჩება კომერციულ საიდუმლოდ. „კოკა-კოლას“ საიდუმლო ფორმულა მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცის მსოფლიოში. თუმცა, ცნობილია ის, რომ კონცენტრატის შემადგენლობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც იგი ამერიკელმა ფარმაცევტმა ჯონ პემბერტონმა პირველად დაამზადა. 1886 წელს ეს ბლანტი და ტკბილი სითხე, ძირითადად, მცენარე კოკის ფოთლებისა და ტროპიკული ხილის კოლის ნაყოფისგან შედგებოდა. პემბერტონმა ის გამოიგონა, როგორც ნერვული აშლილობის სამკურნალო და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. სასმელი აფთიაქში, ერთი ჟიქა 5 ცენტად იყიდებოდა. ეს გენიალური ადამიანი ისე გარდაიცვალა, რომ თავისი ქმნილების თავბრუსდამხვევ ნარმატებას ვერ მოესწრო.

The process of registration is ongoing, as new brands of the Coca-Cola Company are constantly introduced to the market. For example, Coca-Cola Zero and Coke Zero were recently registered in Georgia.

According to the Coca-Cola Bottlers Georgia Ltd, cases of counterfeiting used to be more frequent. For instance, in parallel with Tbilisi, Coca-Cola was also bottled in Kutaisi in the 90s. Individual entrepreneurs used Coca-Cola bottles for handmade production of similarly colored drink.

According to the franchise agreement, Coca-Cola Bottlers Georgia Ltd. has the exclusive right to produce and sell non-alcoholic beverage of Coca Cola throughout Georgia. Under the very same agreement, Bottlers Georgia buys concentrate from The Coca-Cola Company to produce drinks. As for the concentrate, technology of its production remains a commercial secret. Secret formula of Coca-Cola is only known to several individuals throughout the world. All we know is that the composition of the concentrate has changed ever since the first time it was developed by an American pharmacist, John Pemberton. In 1886 the sticky and sweet liquid was mostly made from coca leaves and a fruit of a tropical tree cola. Pemberton invented it as a cure for neurasthenia and a painkiller. It was sold in drugstores for 5 cents a cup. The genius inventor died without witnessing the dizzying success of its creation.

It's been 125 years since and currently 1.7 billion bottles of different soft drinks produced by The Coca-Cola Company are sold per day throughout the world. 94% of the population of the planet recognizes the red and white logo of Coca-Cola and the word Coca-Cola itself is second universally understandable word after the word OK. Turnover of The Coca-Cola Company is more than \$35 billion, while the name Coca-Cola is worth \$74 billion, more than the values of Budweiser, Pepsi, Starbucks and Red Bull combined.

**“I'd Like to Buy the World a Coke”**

Success was the company is largely due to the effective ad campaign that distinguishes Coca-Cola on the



მას შემდეგ 125 წელი გავიდა და დღეს მსოფლიოში ყოველდღიურად „კოკა-კოლა“ 1,7 მილიარდ ბოთლ სხვადასხვა სასმელს ყიდის. პლანეტის მოსახლეობის 94% ცნობს „კოკა-კოლას“ თეთრ-წითელ წარწერას, სიტყვა „კოკა-კოლა“ კი ყველასათვის გასაგებ სიტყვებს შორის მეორე ადგილზეა სიტყვა „OK“-ის შემდეგ. „კოკა-კოლას“ ბრუნვა წელიწადში 35 მილიარდ დოლარზე მეტია, ხოლო სახელი „Coca-Cola“ 74 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, უფრო მეტად, ვიდრე ერთად აღებული „ბუდვაიზერი“, „პეპსი“, „სტარბაქსი“ და „რედბული“.

### „მე მინდა ვუყიდო მსოფლიოს „კოკა-კოლა“

კომპანიის წარმატება მნიშვნელოვნად განსაზღვრა იმ ეფექტურმა სარეკლამო კამპანიამ, რომლითაც ამკარად გამოირჩევა „კოკა-კოლა“ მსოფლიო ბაზარზე. კომპანიამ 2010 წელს რეკლამაში 2,9 მილიარდი დოლარი დახარჯა, უფრო მეტი ვიდრე „Microsoft“-მა და „Apple“-მა ერთად აღებული.

საინტერესოა, რომ „ზე კოკა-კოლა კომპანი“ ადგილობრივ ბაზრებზე სარეკლამო ხარჯების ნახევარს თავად ანაზღაურებს. ასე ხდება საქართველოშიც. სარეკლამო კამპანია გლობალური მასშტაბით იგეგმება, თუმცა შემდეგ მისი ადაპტაცია და ადგილობრივი ბაზრებისთვის მორგება ხდება. ისტორიას ბევრი ისეთი ვიდეორგოლი შემორჩა, რომელიც ერთნაირად მოსწონდათ აფრიკაშიც, აზიაშიც და შეერთებულ შტატებშიც. 70-იან წლებში „კოკა-კოლასთვის“ დაწერილი სიმღერა „I'd Like To Buy The World A Coke“ მსოფლიოს ხალხების სოლიდარობას და ერთიანობას ეძღვნებოდა.

### წარმატებული ბიზნესი საქართველოში

ჩვენს ქვეყანაში „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ“ აღმასვლა 1999-2000 წლებიდან დაიწყო. გაიზარდა კომპანიის პროდუქტების გაყიდვა და, შესაბამისად, შემოსავლებიც. 2007 წელს რეკორდული რაოდენობა – 120 მილიონი ბოთლი გაიყიდა. 2008 წელს ცნობილი მოვლენების შედეგად, პროდუქციის გაყიდვებმა იკლო, თუმცა შემდეგ წლებში კვლავ მოიმატა. მაგალითად, 2011 წელს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ“ 90-95 მილიონი ბოთლი „კოკა-კოლა“ გაყიდა და ბიუჯეტში 44 325 000 ლარი (44 მილიონ 325 ათასი ლარი) შეიტანა. წელს კომპანია ამ რიცხვის გაზრდას გეგმავს. ამჟამად, კომპანიაში 1250 ადამიანი მუშაობს და მათი საშუალო ხელფასი 900 ლარია. საქართველოს გარდა, აქ წარმოებული „კოკა-კოლა“ და სხვა სასმელებიც ექსპორტზე გადის და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებშიც იყიდება.

კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ფასი წლების განმავლობაში იზრდებოდა, დღეს ის 82 მილიონი დოლარი ღირს. თემურ ჩხონია ამბობს, რომ ბრენდი „კოკა-კოლა“ უკვე ნიშნავს წარმატებას. ამიტომ, როცა ამ საქმეს მოჰკიდა ხელი დარწმუნებული იყო, რომ სწორ გზას დაადგა. იცის, რომ არასოდეს



world market. In 2010 The Coca-Cola Company spent \$2.9 billion on ads, more than Microsoft and Apple combined.

The Coca-Cola Company pays half of advertising costs on local markets, including in Georgia. The ad campaign is planned globally and later adapted and tailored to local markets. Nevertheless, there are a number of commercial videos that were equally enjoyed in Africa, Asia and the US. The song “I’d Like to Buy the World a Coke” written for Coca-Cola in the 70s celebrates solidarity and unity of peoples of the world.

### Successful Business in Georgia

The rise of the Coca-Cola Bottlers Georgia started in 1999-2000. Product sales increased and so did the incomes. In 2007 the company made a record number of sales – 120 million bottles. The infamous developments in 2008 had a negative influence on sales but they improved year by year. For instance, total of 90-95 million bottles were sold in 2011, which the company plans to further increase in 2012. In 2011 the Coca-Cola Bottlers Georgia contributed GEL 44 325 000 (44 million 325 thousand) to the State budget. Currently the company has 1250 employees with an average salary of GEL 900. Georgian Coca-Cola and other drinks are also exported abroad and sold in former Soviet countries.

The value of the Coca-Cola Bottlers Georgia increases year by year. Currently it is worth \$82 million but Temur Chkhonia has no intention of selling it.

According to Temur Chkhonia, the brand of Coca-Cola

გაყიდის „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ ჰქონია მსგავსი შემოთავაზებები. თავადვე ხუმრობს – „ჩემზე ამბობენ დანა რომ დაჰკრა, სისხლის მაგივრად კოკა-კოლა გამოუვაო.“ მიაჩნია, რომ ამ ამერიკული ბრენდის შემოსვლით საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა და მისი, როგორც ბიზნესმენის, მოვალეობაა გარემო პოზიტიურად შეცვალოს.

already means a success. Therefore, when he started doing the business, he was sure that he was on the right track. He knows that he will never sell the Coca-Cola Bottlers Georgia despite the number of offers that have been made. He jokes about himself – “they say that if I get hit by a knife, I would bleed Coca-Cola”. He believes that entrance of the American brand into the Georgian market changed a lot and as a businessman, it is his obligation to positively change the environment.

## სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება საქპატენტიში.

### TRADEMARK

Trademark is a sign or combination of signs that can be represented graphically and is capable of distinguishing the goods or services or both of one undertaking from those of other undertakings. Trademark shall be registered at SAKPATENTI.





Coca-Cola

DRINK  
Coca-Cola  
5¢

*Our Favorite*

Home Office  
The Coca-Cola Co.  
Atlanta, Ga.  
Branches: Chicago,  
Philadelphia, Los Angeles,  
Dallas



**დავით სარაჯიშვილი**  
ქართული ღვინის ბრენდის  
წარმოების ფუძემდებელი,  
მეცენატი, საზოგადო მოღვაწე.

**David Sarajishvili**  
founder of Georgian brandy  
production, philanthropist,  
public figure.

# დავით სარაჯიშვილი DAVID SARAJISHVILI

**დავით სარაჯიშვილი** – ქართული ღვინის ბრენდის წარმოების ფუძემდებელი, მეცენატი და საზოგადო მოღვაწე.

**დაიბადა** 1848 წლის 28 ოქტომბერს, ქალაქ თბილისში, სახელმწიფო სოფთაბრუნვის ოჯახში.

**განათლება** მიიღო ევროპაში - 1871 წელს დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი ქიმიის დოქტორისა და ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხით. 1872-1877 წლებში ჰოენჰაიმისა და ჰალეს უნივერსიტეტებში სოფლის მეურნეობის სპეციალობას ეუფლებოდა, 1878 წელს კი საფრანგეთში გაემგზავრა მევენახეობისა და მეღვინეობის შესასწავლად.

**საფრანგეთში ყოფნისას** (1878-1879 წწ.) დავით სარაჯიშვილი ბრენდის ტექნოლოგიამ გაიტაცა. მიღებული ცოდნისა და განათლების საფუძველზე, 1884 წელს თბილისში დააარსა ღვინის ბრენდის პირველი სახდელი.

**სარაჯიშვილის ბრენდის ქარხანა** 1887 წელს შეიქმნა. იმავე წელს ამუშავდა ლიქიორის ქარხანაც. მალე სარაჯიშვილის ფორმა აერთიანებდა 5 სარეკტიფიკაციო, 1 არყის, 1 ლიქიორისა და ბრენდის 7 ქარხანას, ასევე მრავალ საწყობს თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში.

**სარაჯიშვილის კომპანია** სწრაფად გაიზარდა და გაფართოვდა რუსეთის იმპერიისა და ევროპის მასშტაბით. თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, ერევანში, კიევი, ვარშავაში, ბაქოში, რიგაში, ხარკოვში, ვლადიკავკაზში, ოდესაში განლაგდა სპირტსახდელები, სასაწყობო მეურნეობები და სარეალიზაციო ქსელი. იყიდებოდა დავით სარაჯიშვილის კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია: ბრენდი, არაყი, ღვინო, ლიქიორი, რომი, აბსენტისი.

**სარაჯიშვილის ბრენდი** ბაზარზე ცნობილი იყო „კავკასიის ნატურალური კონიაკის“ სახელწოდებით, კლდეზე შემდგარი ჯიხვის გამოსახულებიანი ეტიკეტით, რომელსაც კომპანია დღემდე იყენებს. 1889-1912 წლებში სარაჯიშვილის ბრენდმა საერთაშორისო გამოფენებზე პარიზში, ჩიკაგოში, ბრიუსელსა და სხვა ქალაქებში ოქროს მედლები მოიპოვა.

**გარდაიცვალა**, მძიმე ავადმყოფობის შედეგად, 1911 წელს.

**დაკრძალულია** თბილისში, ქაშვეთის ეკლესიის ეზოში.

**David Sarajishvili** – founder of Georgian brandy wine production, philanthropist, public figure.

**Born** on October 28, 1848 in the city of Tbilisi, in a renowned family of a merchant.

**He was educated** in Europe – he graduated from the Heidelberg University in 1871 with PhD in chemistry and the degree of the Master in Philosophy; he studied agriculture in universities of Hohenheim and Halle in 1872-77; in 1878 he traveled to France to study viticulture and winery.

**During his tenure in France** (in 1878-1879), David Sarajishvili took an interest in brandy technology. In 1884 based on the knowledge and education that he had received, he opened the first wine brandy distillery in Tbilisi.

**Sarajishvili's factory** of brandy was established in 1887. His liquor factory started operating the same year. There were 5 rectifying, 1 vodka, 1 liquor and 7 brandy factories under Sarajishvili's firm, as well as a number of storages in Tbilisi, Moscow, St. Petersburg and other cities.

**Sarajishvili's company** quickly grew and expanded throughout the Russian Empire and Europe. There were alcohol distilling factories, agricultural storages and selling networks in Tbilisi, Moscow, St. Petersburg, Erevan, Kiev, Warsaw, Baku, Riga, Kharkov, Vladikavkaz and Odessa. David Sarajishvili Company produced and sold brandy, vodka, wine, liquor, rum and absinthe.

**David Sarajishvili's** brandy were known on the market as "Natural Caucasian Cognacs" with a logo of the Caucasian goat standing on a cliff, still used by the company. In 1889-1912 Sarajishvili's brandy won golden medals at international expos in Paris, Chicago, Brussels and other cities.

**Died** from a severe decease in 1911.

**Buried** in the yard of Kashveti Church, Tbilisi.



დავით სარაჯიშვილი ბარონ დე ბაიესთან ერთად  
David Sarajishvili with Baron de Baye

# დავით სარაჯიშვილი – ევროპული ბიზნესის ფუძემდებელი საქართველოში

## DAVID SARAJISHVILI – FOUNDER OF EUROPEAN BUSINESS IN GEORGIA

ზურაბ ბუბუთეიშვილი  
ZURAB BUBUTEISHVILI



# SARAJISHVILI

ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი

დავით სარაჯიშვილზე საუბრისას პირველი, რაც ბევრს მის დასახასიათებლად ახსენდება, არის ის, რომ იგი საქართველოში ღვინის ბრენდის წარმოების ფუძემდებელია. თუმცა, თქვა მხოლოდ ეს დავით სარაჯიშვილზე ნიშნავს, რომ თქვა არაფერი.

დავით სარაჯიშვილმა საფუძველი ჩაუყარა არა მხოლოდ ქართული ღვინის ბრენდის, არამედ საქართველოში პროფესიული, ევროპული ბიზნესის წარმოებას. მეფის რუსეთის დროინდელ საქართველოში მან საკუთარი, პიროვნული მაგალითით ქვეყანაში ბიზნესის წარმოების მაღალი სტანდარტი დანერგა და განათლებული, პატიოსანი და პროფესიონალი მენარმის სახე შექმნა.

საქართველოში ღვინის ბრენდის დამზადება XIX საუკუნეში დაიწყო, მაგრამ სანარმოთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოშიც და რუსეთის იმ-

To many of us David Sarajishvili is first of all associated with founding of the production of brandy wine in Georgia. However, this is only a mere fraction of the work that he was doing.

David Sarajishvili is the founder of not only the production of Georgian brandy wine but also a pioneer of doing a professional, European business in Georgia.

The work that he pursued in Georgia under the Tsarist Russia embodied and introduced high standards of doing business in the country, creating the image of an educated, honest and professional entrepreneur.

Production of brandy wine in Georgia dates back to the 19<sup>th</sup> century; however, absolute majority of enterprises both in Georgia and the Russian Empire employed crude methods of production and technology that was based on rumors rather than knowledge about produc-



პერიაშიც კუსტარულად მუშაობდა, ტექნოლოგიები ეფუძნებოდა არა ცოდნას, არამედ მითქმა-მოთქმას ფრანგული ბრენდის დამზადების წესების შესახებ. რომ არა დავით სარაჯიშვილი, შესაძლებელია ქართული ბრენდის წარმოება ისევ დაბალ დონეზე დარჩენილიყო.

საკუთარი წარმოება დავით სარაჯიშვილმა ბრწყინვალე განათლებაზე დააფუძნა. მან გერმანიაში მიიღო ფილოსოფიის და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, საფრანგეთში კი მეღვინეობა შეისწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ გახსნა საქართველოში ღვინის ბრენდის პირველი ქარხანა, რაც მთელი ამირკავკასიისთვის ბიძგი და მაგალითი გახდა.

დავით სარაჯიშვილი არა მხოლოდ თავად იყო საკუთარი სფეროს ინოვაციორი, არამედ, ხელს უწყობდა ყველა სხვა ინოვაციორს იმდროინდელ საქართველოში. დააარსა კომიტეტი, რომელსაც ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა ევალებოდა და საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად სტიპენდიებს უნიშნავდა. მის სტიპენდიანტებს შორის ბევრი შემდგომში ცნობილი მოღვაწეა. მათ შორის არიან: მუსიკოსები – ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე; მომღერლები და მხატვრები – ვანო სარაჯიშვილი, გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე; მოქანდაკე – იაკობ ნიკოლაძე და სხვ. იგი ფულად დახმარებას უწევდა უცხოეთში მყოფ აკაკი შანიძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს, გერონტი ქიქოძეს, თედო სახოკიას და სხვებს. მას, ასევე, უდიდესი წვლილი მიუძღვის ქაშვეთის ეკლესიის მშენებლობაში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და დრამატურგიული საზოგადოებისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბებაში. გაზეთი „ზაკავკაზსკაია რეჩ“ წერდა: „მის სიცოცხლეში არ არსებობდა ხალხისთვის სასარგებლო საქმე, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღოს.“

„რას მიქვია უშვილობა, განა ყველა ბავშვი, მომავლის იმედად აღზრდილი, ქვეყნის საკეთილდღეოდ განვრთნილი, ჩემი შვილი არ არის?!“ – უშვილო ბიზნესმენის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ მიუთითებს მის მსოფლმხედველობასა და პიროვნულ თვისებებზე.

მისი სახლი, რომელსაც „სარაჯიშვილების ნომერს“ და „ევროპასაც“ კი უწოდებდნენ, ნამდვილი სალონი იყო, სადაც კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები თუ უცხოელი სტუმრები. მას ხშირად სტუმრობდა ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ვალერიან გუნია და არტურ ლაისტი.

დავით სარაჯიშვილმა საზოგადოების აღფრთოვანება სიკვდილის შემდეგაც შეძლო. მისი ანდერძის თანახმად, მრავალმილიონიანი ქონების უდიდესი ნაწილი ქართველი ერის განვითარებას უნდა მოხმარებოდა. „თავისი ანდერძით სიკვდილი დათრგუნა და ბრწყინვალე შარავანდედით შეიმოსა“ – თქვა მაშინ იაკობ გოგებაშვილმა.



სარაჯიშვილის ბრენდის პავილიონი (1889 წ)

Pavilion of Sarajishvili's brandy (1889)

tion of French brandy. If it was not David Sarajishvili, production of Georgian brandy may have never been developed any further.

David Sarajishvili's production was based on excellent knowledge. It was only after he graduated in Germany with PhD in chemistry and studied wine-making in France, that he opened the first brandy factory in Georgia, which served as a stimulus and an example throughout the Transcaucasia.

Not only he was an innovator in the field where he worked, but he also promoted all other innovators in Georgia at that time. He established a committee for recruiting talented young people and providing them with scholarships to study abroad. A number of his scholarship beneficiaries later turned into well-known figures, including musicians such as Zakaria Paliashvili, Dimitry Arakishvili, Meliton Balanchivadze; singers and painters such as Vano Sarajishvili, Gigo Gabashvili, Mose Toidze; sculptor Iakob Nikoladze. He provided financial support to those living abroad, including Akaki Shanidze, Vaktang Kotetishvili, Geronti Kikodze, Tedo Sakhokia... He made an immense contribution to the building of Kashveti Church and establishment of the historical-ethnographic and drama society, the society for spreading literacy among Georgians. According to the *Zakavkazskaia Rech* newspaper, "never in his life was a single public cause without his involvement".

"Being childless means nothing to me, as every child that has been raised with hopes for the future, trained for the good of the country is my child." These words of the childless businessman are yet another reflection of his outlook and personality.

His house dubbed as the "Sarajishvilis' Room" and "Europe" was a true saloon, where Georgian writers, public figures and foreign guests met once a week. The house was frequently guested by Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Rapiel Eristavi, Iakob Gogebashvili, Valerian Gunia, Arthur Leist.

Even posthumously he managed to thrill public by leaving most part of his multi-million property for the development of the Georgian nation. "With his last will, he managed to suppress death and put a brilliant hallow over his head" – said Iakob Gogebashvili.

**ქართული საფონდო  
ბაზრის  
სათავეებთან  
AT THE ORIGINS OF THE  
GEORGIAN  
STOCK MARKET**

**ლადო გურგენიძე, თამუნა გუნია  
LADO GURGENIDZE, TAMUNA GUNIA**



2004-2006 წლები საქართველოში საფინანსო სექტორის გამოცოცხლების წლებად ითვლება. ამ პერიოდში საქართველოს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ დაახლოებით 275 მილიონი ლარი შეადგინა. 2006 წელს, საბანკო სექტორში მიმდინარე მოდერნიზაციის კვალდაკვალ, საქართველოს ბანკმა მოახდინა საკუთარი აქციების გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების სახით ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგში განთავსება. ამავე პერიოდში საქართველოს საფონდო ბირჟაზე მოხდა რამდენიმე ქართული კომპანიის მიერ აქციების ემისია. აღსანიშნავია ისიც, რომ 2007 წელს საქართველოს ბანკმა გამოუშვა ევროობლიგაციები, რასაც მოჰყვა საქართველოს მთავრობის მიერ 2008 წელს ევროობლიგაციების ემისია. სწორედ ამ პერიოდში საქართველოს მიენიჭა სუვერენული საკრედიტო რეიტინგი სამივე წამყვანი საკრედიტო სააგენტოს მიერ. 2007-2008 წლებისათვის ყველა წამყვან ქართულ ბანკს ჰქონდა საკრედიტო რეიტინგი „FitchRatings“-გან, „Standard & poor's-gan“ ან „Moody's“-გან. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქართველოს ემიტენტების აქტივობა განახლდა 2010 წელს: საქართველოს რკინიგზამ და საქართველოს მთავრობამ მოახდინა ევროობლიგაციების გამოშვება; საქართველოს ბანკმა კი წელს საკუთარი აქციები ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში განათავსა.

2004-2006 is viewed as years of revival of the financial sector in Georgia. This is the period when the volume of trade at the Georgian stock market reached the approximate amount of GEL 275 million. Following the footsteps of the ongoing modernization in banking sector, the Bank of Georgia managed to list its shares on the London Stock Exchange as Global Depository Receipts. Around that time several Georgian companies issued shares on Georgian stock market. It is noteworthy that in 2007 the Bank of Georgia issued Eurobonds, followed by emission of Eurobonds by the Government of Georgia in 2008. This was the time when all three leading credit rating agencies granted Georgia with a sovereign credit rating. By the years 2007-2008 all Georgian banks had credit ratings either from Fitch Ratings or Standard & Poor's or Moody's. Georgian issuers renewed their activities at the securities market in 2010: the Georgian Railway and the Government of Georgia issued Eurobonds, and the Bank of Georgia placed its shares in the London Stock Exchange Premium Listing in 2012.

Many of you are probably unaware of the fact that there was an equally developed securities market in Georgia prior to 1921. In this article we tried to tell a brief story of active issuers in the late 19<sup>th</sup> and early 20<sup>th</sup> century that founded contemporary Georgian financial market.

By the late 19<sup>th</sup> century Tbilisi had been established as the trade center of the Caucasus region. Various sources



ბევრისთვის, ალბათ, უცნობია ის ფაქტი, რომ 1921 წლამდე საქართველოში არანაკლებ განვითარებული ფასიანი ქალაქების ბაზარი არსებობდა. შესაბამისად, ამ სტატიაში შევეცადეთ მოკლედ მოგვეთხრო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის არსებულ აქტიურ ემიგრენტებზე, რომლებმაც თანამედროვე ქართულ საფინანსო ბაზარს ჩაუყარეს საფუძველი.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის თბილისი კავკასიის სავაჭრო ცენტრად ჩამოყალიბდა. სხვადასხვა წყაროების ცნობით, XX საუკუნის დასაწყისში აქ, დაახლოებით 3000 სავაჭრო ცენტრი არსებობდა და ვაჭრობის მოცულობა 10-ჯერ აღემატებოდა წარმოების მოცულობას. იმდროინდელ თბილისში, აგრეთვე, არსებობდა უცხოური ფირმების სავაჭრო წარმომადგენლობები, რომელთაგანაც აღსანიშნავია ძმები გოლდლიუსტების, სიმენსისა და გალსკეს, კარლ სტუკენის სავაჭრო წარმომადგენლობები, ამერიკული სადაზღვევო კომპანიის „Equitable“ წარმომადგენლობა, ცნობილი გერმანული საკერავი მანქანების მალაზია „ზინგერი“ და ა.შ.

ასეთი აქტიური ვაჭრობისა და წარმოების პირობებში, თბილისში არსებობდა რამდენიმე ბანკი სააქციო საზოგადოების ფორმით, მათ შორის, თბილისის კომერციული ბანკი, თბილისის თავადაზნაურთა ბანკი, აგრეთვე თბილისის საერთო საკრედიტო საზოგადოება.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ხელმისაწვდომი წყაროებით, რევოლუციამდელ საქართველოში საფინანსო სექტორის გამოცოცხლება თბილისის კომერციული ბანკით (შემდგომში მას სახელი შეეცვალა და კავკასიის ბანკი დაერქვა) დაიწყო, რომელიც 1870-იან წლებში დაარსდა. იმ დროისათვის, ეს იყო ერთადერთი ადგილობრივად დაარსებული ბანკი, რომელსაც ფილიალები ჰქონდა საქართველოს თითქმის ყველა მსხვილ ქალაქში. ბანკის დაახლოებით 75%-ს თბილისელი მსხვილი მენარმე ალექსანდრე მანთაშვილი ფლობდა. წლების განმავლობაში თბილისის კომერციული ბანკი ერთადერთი ადგილობრივი ბანკის სტატუსით სარგებლობდა და განვითარების ყველა წინაპირობა ჰქონდა. მაგრამ ბანკის საკონტროლო აქციათა მფლობელს არ ჰქონდა ბანკის მართვის გამოცდილება და ის ფაქტი, რომ თავისუფალ მიმოქცევაში (free float) ბანკის აქციების 25%-ზე ნაკლები იყო, ხელს უშლიდა მის ზრდას და განვითარებას. ასეთ ვითარებაში, თბილისის კომერციული ბანკი სათანადო მომსახურებას ვეღარ უწევდა იმდროინდელ საცალო თუ კორპორატიულ ბაზარს. 1912 წელს შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომლის მიზანიც იყო ახალი სააქციო ბანკის შექმნა. საინიციატივო ჯგუფში მიიწვიეს იმდროინდელ ბიზნეს წრეებში ცნობილი პიროვნებები. 1913 წელს ახლადშექმნილი ბანკის აქციონერთა კრებამ დაამტკიცა ბანკის წესდება და ბანკს თბილისის სავაჭრო ბანკი დაერქვა. აქციონერთა კრებამვე დაამტკიცა ბანკის მმართველის და მისი ორი მოადგილის კანდიდატურა. დაარსებისთანავე თბილისის სავაჭრო ბანკმა მოახდინა 5 მილიონი რუბლის ოდენობის აქციების ემისია. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თბილისის სავაჭრო ბანკის ახლადემიტირებულ აქციებს ფართოდ ფლობდნენ



indicate that there were around 3.000 trade centers in Tbilisi in early 20<sup>th</sup> century and the volume of trade was 10 times more than the volume of production. There were a number of trade representative offices of foreign firms in Tbilisi at that time: the *Goldlust Brothers*, *Siemens and Galske*, *Karl Stücken*, U.S. insurance company *Equitable*, German sewing machine manufacturing giant *Zigner*, etc. In light of the active trade and production, there were several joint stock company banks in Tbilisi, including the *Commercial Bank of Tbilisi*, the *Bank of the Nobility* as well as the *Joint Credit Society of Tbilisi*.

Based on the sources available, revival of the financial sector in Georgia before the Revolution was spearheaded by the Commercial Bank of Tbilisi (later renamed as the Bank of the Caucasus) founded in 1870s. It was the only locally-established bank at that time, with branches in almost all major cities of Georgia. 75% of the Bank was owned by a large-scale entrepreneur Alexander Mantashev from Tbilisi. For over the years the Commercial Bank of Tbilisi remained to be the only local bank in Georgia and had all preconditions for development but the fact that the major stockholder lacked experience in bank management and the bank's free float shares were less than 25% hindered growth and development of the bank. Under the circumstances, the Commercial Bank of Tbilisi failed to provide appropriate service to the retail and corporate markets of that time. In 1912 an initiative group for establishing a new joint stock bank was created. Men prominent in the business circles of that time were invited to join the initiative group. Regulations of the newly-established bank were adopted at the shareholders' meeting in 1913, and the bank was named the Trade Bank of Tbilisi. The shareholders' meeting also approved the candidates for the positions of the bank manager and his two deputies. Upon establishment, the Trade Bank of Tbilisi issued 5 million rubles worth of shares. It is noteworthy that newly issued shares of the Trade Bank of Tbilisi were widely owned by natural persons not only in Tbilisi and Baku but other major cities of the Caucasus as well.

The basics of corporate management were also developed in the Trade Bank of Tbilisi: ten representatives out of the largest shareholders of the Bank were selected at the shareholders' meeting as members of the board of supervisors. They met once a week to hear bank managers' reports and decide on important matters. Three years after implementation of the changes, the Trade Bank of Tbilisi grew and developed to the extent that required attrac-

ფიზიკური პირები არა მარტო თბილისსა და ბაქოში, არამედ კავკასიის სხვა მსხვილ ქალაქებშიც.

თბილისის სავაჭრო ბანკში ჩამოყალიბდა კორპორატიული მართვის სანყისებიც, კერძოდ, ბანკის ყველაზე მსხვილი აქციონერებიდან აქციონერთა კრებამ აირჩია ათი წარმომადგენელი, რომლებიც ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გახდნენ. საბჭოს წევრების მოვალეობაში შედიოდა კვირაში ერთხელ შეკრება, ბანკის მმართველებისგან მოხსენებების მოსმენა და მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება. ამ განხორციელებული ცვლილებებიდან სამ წელიწადში თბილისის სავაჭრო ბანკი ისე გაიზარდა და განვითარდა, რომ აუცილებელი გახდა დამატებითი კაპიტალის მოზიდვა. ბანკმა მოახდინა კიდევ 5 მილიონი რუბლის ოდენობის ახალი აქციების ემისია.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს იმდროინდელ საქართველოში სავალო ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) სეგმენტი წარმოადგენდა. ქართული ბანკები, თბილისის მუნიციპალიტეტი და, ასევე, მსხვილი კომპანიები ობლიგაციების ემისიას დღევანდელი გადმოსახედიდან დაბალ საპროცენტო განაკვეთებში ახდენდნენ. თბილისის თავადაზნაურთა ბანკი ობლიგაციების არაერთგზის ემიტენტი იყო.

ბანკების გარდა, ობლიგაციების ემიტენტებს შორის აღსანიშნავია თბილისის მუნიციპალიტეტი, ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოება, კახეთის რკინიგზის საზოგადოება, თბილისის ტრამვაის საზოგადოება და კავკასიის მეტალურგიული და ინდუსტრიული კავშირი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ, მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ყვაოდა და, ალბათ, იმაზე უფრო მეტად დივერსიფიცირებული (ემიტენტების მიხედვით) და ლიკვიდური იყო, ვიდრე დღეს. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას – 2004 წლიდან საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დაწყებული გამოცოცხლება გასული საუკუნის დასაწყისში არსებული ვითარების აღორძინება იყო.

tion of additional capital. The bank issued 5 million rubles worth of additional shares.

The segment of securities (bonds) made up the major portion of the securities market in Georgia. From today's perspective Georgian banks, Tbilisi municipality and major companies issued bonds at low interest rates. The Bank of the Nobility of Tbilisi issued bonds a number of times.

In addition to banks, bonds were also issued by Tbilisi municipality, the Transcaucasia Railway Company, Kakheti Railway Company, Tbilisi Tramway Company and the Metallurgical and Industrial Union of the Caucasus.

All of the aforementioned illustrates that the market of securities was thriving in Georgia in early 20<sup>th</sup> century and was probably more diversified (in terms of issuers) and liquid that it is now. Therefore, it is safe to say that the revitalization of the securities market in Georgia that started in 2004 was the revival of the early 20<sup>th</sup> century situation.

თბილისის ტრამვაის საზოგადოების 1901 წლის ობლიგაცია წლიური 5% საპროცენტო განაკვეთით

Tbilisi Tramway Company bond dated 1901, with annual interest rate of 5%



ლადო გურგენიძის კოლექციიდან  
Courtesy of Lado Gurgenidze's collection

თბილისის კომერციული ბანკის აქცია


A share of the Commercial Bank of Tbilisi



ლადო გურგენიძის კოლექციიდან  
Courtesy of Lado Gurgenidze's collection

კავკასიის ბანკის აქცია


A share of the Bank of Caucasus



ლადო გურგენიძის კოლექციიდან  
Courtesy of Lado Gurgenidze's collection

თბილისის სავაჭრო ბანკის აქცია

A share of the Trade Bank of Tbilisi



თბილისის თავადაზნაურთა ბანკის  
1892 წლის ობლიგაცია წლიური 5%  
საპროცენტო განაკვეთით

Tbilisi Bank of Nobility bond dated 1892,  
with annual interest rate of 5%



ლადო გურგენიძის კოლექციიდან  
Courtesy of Lado Gurgenidze's collection

თბილისის თავადაზნაურთა ბანკის  
1898 წლის ობლიგაცია წლიური 4.5%  
საპროცენტო განაკვეთით

Tbilisi Bank of Nobility bond dated  
1898, with annual interest rate of 4.5%



თბილისის თავადაზნაურთა ბანკის  
1901 წლის ობლიგაცია წლიური 5%  
საპროცენტო განაკვეთით

Tbilisi Bank of Nobility bond dated  
1901, with annual interest rate of 5%



თბილისის თავადაზნაურთა ბანკის  
1903 წლის ობლიგაცია წლიური 5%  
საპროცენტო განაკვეთით

Tbilisi Bank of Nobility bond dated 1903,  
with annual interest rate of 5%



ლადო გურგენიძის კოლექციიდან  
Courtesy of Lado Gurgenidze's collection


თბილისის თავადაზნაურთა ბანკის  
1911 წლის ობლიგაცია წლიური 5%  
საპროცენტო განაკვეთით

Tbilisi Bank of Nobility bond dated  
1911, with annual interest rate of 5%



თბილისის თავადაზნაურთა ბანკის  
1912 წლის ობლიგაცია წლიური 5%  
საპროცენტო განაკვეთით

Tbilisi Bank of Nobility bond dated  
1912, with annual interest rate of 5%



კავკასიის მეტალურგიული და  
ინდუსტრიული კავშირის 1911 წლის აქცია

A share of the Metallurgical and Industrial  
Union of the Caucasus dated 1911



ლადო გურგენიძის კოლექციიდან  
Courtesy of Lado Gurgenidze's collection

ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოე-  
ბის 1879 წლის ობლიგაცია წლიური 3%  
საპროცენტო განაკვეთით

The Transcaucasia Railway Company  
bond dated 1879, with annual interest  
rate of 3%



ლადო გურგენიძის კოლექციიდან  
Courtesy of Lado Gurgenidze's collection

თბილისის მუნიციპალიტეტის  
1910 წლის ობლიგაცია წლიური 5%  
საპროცენტო განაკვეთით

Tbilisi municipality bond dated 1910,  
with annual interest rate of 5%



ლადო გურგენიძის კოლექციიდან  
Courtesy of Lado Gurgenidze's collection



# დევიდ კომა მოდის სამყაროს ქართველი ვუნდერკინდი

## DAVID KOMA GEORGIAN WUNDERKIND OF FASHION WORLD

ელისო ჯარიაშვილი  
ELISO JARIASHVILI

**ვინ:** დევიდ კომა (დავით კომახიძე).

**სად:** დაიბადა საქართველოში, გაიზარდა სანქტ-პეტერბურგში, ამ დრომდე ცხოვრობს და მუშაობს ლონდონში. მისი საყვარელი ადგილი შთაგონებისთვის – ტეიტის თანამედროვე ხელოვნების გალერეა.

**როდის:** 2003 წელს ჩაირიცხა პრესტიჟულ ლონდონის სენტ-მარტინის ხელოვნებისა და დიზაინის კოლეჯში, მიიღო ბაკალავრისა და მაგისტრის დიპლომი. 2007 წელს მოიპოვა ჯილდო „ქალის სამოსის საუკეთესო კოლექციისათვის“, 2009 წელს კი – ბრიტანული მოდის სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული „ჰეროდს დიზაინ ევორდი“. 2012 წლისთვის 4-ჯერ აქვს მოპოვებული „BFC NEWGEN Sponsorship“ (ახალგაზრდა დიზაინერების მხარდაჭერი პრესტიჟული სტიპენდია, რომლის მთავარი სპონსორი ამ დროისთვის არის ცნობილი სავაჭრო ქსელი „Topshop“) ბოლო კოლექცია 2 თვის წინ, ლონდონის მოდის კვირეულზე წარადგინა.

**რატომ:** ჟურნალმა „ტელეგრაფმა“ მას „მეფე კომა“ უწოდა. ამბობენ, რომ ის მოდის სამყაროს ვუნდერკინდი და თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი დიზაინერია. „დევიდ კომა“ აცვიათ: ბიონსეს, კაილი მონოუგს, ლედი გაგას, რიანას, შერილ კოულს, მაილი საირუსს, მეგან ფოქსსა და ჯენიფერ ლოპესს.

**როგორ:** საკუთარი უნიკალური სტილით, მიზანდასახულობითა და ბევრი შრომით; ეფექტური, გამოკვეთილი სილუეტებით, ქალურ და სექსუალურ ფორმებთან შერწყმული მეტალის ელემენტებითა

**Who:** David Koma (David Komakhidze).

**Where:** born in Georgia, raised in St. Petersburg, has been living and working in London. His favorite place for inspiration – Tate Modern art gallery.

**When:** in 2003 he was admitted to a prestigious Central Saint Martins College of Art and Design, where he graduated with BA and MA diploma with distinction. He won the Best Womenswear Collection award in 2007 and one of the most prestigious awards in the British fashion world Harrods Design Award in 2009. As of 2012, he has received the BFC NEWGEN Sponsorship (a prestigious scheme supporting young designers. Its key sponsor is Topshop, a famous clothes retailer) four times already. He presented his recent collection two months ago at London Fashion Week.

**Why:** Telegraph Magazine has referred to him as King Koma. They say that David Koma, a wunderkind of the fashion world, is one of the most promising contemporary designers. David Koma designs has been worn by Beyonce, Kylie Minogue, Lady Gaga, Rihanna, Megan fox, Cheryl Cole, Jennifer Lopez, Miley Cyrus.

**How:** with his unique style, determination and hard work; with effective, structured silhouettes, combination of metal details and feminine, sexual forms, and details that seem rough at first glance; by protecting his trademark; with assistance of his wife who manages his brand; and certainly by being proud of his Georgian origins.

**IP:** Can you remember the very moment when you decided you wanted to be a designer and the time you realized that you had already become a professional designer?

– I was very young when I started drawing. I was al-



2012 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციიდან  
Autumn-Winter 2012 collection



2012 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციიდან  
Autumn-Winter 2012 collection

და, ერთი შეხედვით, უხეში დეტალებით. საკუთარი სასაქონლო ნიშნის დაცვით, მეუღლის დახმარებით, რომელიც მისი მენეჯერია და, რა თქმა უნდა, სიამაყით საკუთარი ქართული წარმომავლობის გამო.

**IP:** გაიხსენე მომენტები, როცა მიხვდი, რომ დიზაინერობა გინდოდა და როცა მიხვდი, რომ უკვე პროფესიონალი დიზაინერი ხარ.

– პატარა ვიყავი, როცა ხატვა დავიწყე. ყოველთვის მაინტერესებდა ვის, რა და როგორ ეცვა. 8 წლისა უკვე ჩანახატებს ვხატავდი. შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით ამ ასაკში უკვე ვიცოდი, რომ დიზაინერობა მინდოდა. 13 წლის ვიყავი, როცა გავაკეთე პირველი კოლექცია და იმის მერე აღარ გავჩერებულვარ. აუდიტორიის ყურადღება, მთელი ეს ატმოსფერო, ისე მომეწონა, რომ სხვა აღარაფერზე მიფიქრია. ამ დროისთვის უკვე სანქტ-პეტერბურგში ვცხოვრობდით, სადაც ჩემი ატელიე გავხსენი და პარალელურად სწავლა გავაგრძელე სამხატვრო აკადემიაში. მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ ლონდონში უნდა წავსულიყავი, იქ გავხდებოდი ნამდვილი დიზაინერი. ოცნება ამიხდა, მოვხვდი სენტ-მარტინსის სკოლაში. იქ 6 წელი ვისწავლე, ბოლო 2 წელი პროფესორ ლუის უილსონთან. ის იყო ჩემი მასწავლებელი. იქ ჩამოვაყალიბე ბოლომდე ჩემი სტილი, უკვე ვიცოდი, რისი თქმაც მინდოდა. ჩემი კოლექცია აჩვენეს ლონდონის მოდის კვირეულზე და, ალბათ, სწორედ მაშინ ვიგრძენი თავი ნამდვილ დიზაინერად. აქ შედგა საერთაშორისო დებიუტიც.

**IP:** დიზაინერობა თბილისში დაისახე მიზნად და

ways interested in who was dressed in what and how. At the age of 8 I was already making sketches. I think this is when I realized I wanted to be a designer. I made my very first collection at the age of 13 and I've never stopped since. I loved the attention, the atmosphere so much that I never thought about anything else. At that time, I was already living in St. Petersburg, where I opened my atelier and continued my studies at the Academy of Arts at the same time, but I always knew that I had to go to London. My dream came true and I was admitted to Saint Martins College, where I studied for 6 years, including the last two years under the mentorship of Professor Louise Wilson. This is when I formed my own style completely and I knew what I wanted to say. My collection was showcased at London Fashion Week and this is probably when I felt like a real designer. This is when my first international debut occurred.

**IP:** You set your goal to be a designer in Tbilisi and realized it in London. There was also St. Petersburg in the middle of the way. Three countries, three cities. Which one do you belong to eventually? Which one had the most influence on you?

– All three cities have influenced the development of my personality. It is hard for me to pick one. I am a Georgian with Georgian colors and Georgian energy. St. Petersburg and its museums, architecture, culture had a great deal of influence on me. I received my education in London and formed my own independent style there, created what I do now. I became a professional. All three cities have turned me into what I am now.

**IP:** You have a distinctive style. You've been referred

ლონდონში აასრულე. თუმცა, შუალედში იყო სანქტ-პეტერბურგიც. 3 ქვეყანა, სამი ქალაქი, საბოლოოდ მაინც რომელს ეკუთვნის, რომელმა მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა შენზე?

– ყველა ქალაქმა იმოქმედა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. გამორჩევა ძალიან ძნელია. მე ქართველი ვარ და საქართველოს ფერები, ქართული ენერჯეტიკა მომეყვება. სანქტ-პეტერბურგმა და მისმა მუზეუმებმა, არქიტექტურამ, კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. ლონდონში კი განათლება მივიღე და სწორედ აქ, ამ ქალაქში ჩამოვყალიბე დამოუკიდებელი სტილი, შევქმენი ის, რასაც ვაკეთებ ახლა. გავზიდა პროფესიონალი. სამივე ქალაქმა მაქცია იმად, რაც ვარ.

**IP:** გამორჩეული სტილი გაქვს, თანამედროვე მოდის სამყაროს ვუნდერკინდიც კი გინოდეს. სად პოულობ შთაგონებას?

– ერთი ინსპირაცია არ მაქვს. გააჩნია, სეზონიდან სეზონამდე შესაძლოა სულ სხვადასხვა რამემ დამაინტერესოს. ეს შეიძლება იყოს ნაკითხული წიგნი, მხატვარი, ან, თუნდაც, გუშინწინ ქუჩაში სრულიად შემთხვევით ნანახი ფაქტი. ხშირად შთაგონების წყარო გამხდარა თანამედროვე ხელოვნების ნიმუში, არქიტექტურა, რომელიმე შენობა. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, არის ქალი და მისი ანატომია. ის, რასაც ყოველთვის შეუძლია ჩემი შთაგონება.

**IP:** სწორედ ქალებზე უნდა გკითხო. ვის დაასახელებდი შენთვის საინტერესო ქალად? რომელ ქართველ ქალს ჩააცმევი ყველაზე დიდი სიამოვნებით?

– ძალიან მომწონს კარინ როტფილდი. ფრანგული „ვოგის“ ყოფილი რედაქტორი. არაჩვეულებრივი ქალია, კარგი დედა, მასთან სიამოვნებით ვიმუშავებდი. მომწონს ძლიერი ქალები, რომლებიც საქმის, ოჯახის და თავის მოვლის შეთავსებას კარგად ახერხებენ. მართალია, დიდი ხანია საქართველოში არ ვცხოვრობ, მაგრამ ვიცი, რომ ქართველი ქალების დიდი ნაწილი სწორედ ასეთია. კონკრეტულად ვერავის გამოვყოფ, მაგრამ ნებისმიერ ასეთ ქალბატონთან ვიმუშავებდი და ვისურვებდი, რომ მათ ეცვათ „დევიდ კომა“.

**IP:** შესაძლოა ბევრ ქართველ ქალს არა, მაგრამ ბევრ ვარსკვლავს აცვია „დევიდ კომა“. ბიონსე, კაილი მინოუგი, შერილ კოული, რიანა, ლედი გაგა. როგორ გაიხსენებ პირველ შეკვეთას ვარსკვლავისგან და რომელ მათგანს გამოარჩევ?

– ძალიან სასიამოვნოა, რომ ეს საოცრად ნიჭიერი და ძლიერი ქალები ჩემს სამოსს ირჩევენ. დღეს, როცა უკვე ბევრ კინო თუ შოუ ბიზნესის ვარსკვლავს აცვია ჩემი კაბა, მათ შორის წითელ ხალიჩაზეც, ეს ჩემთვის უკვე ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ როცა ეს პირველად მოხდა, კოლეჯი სულ ახალი დამთავრებული მქონდა და არავინ მიცნობდა. რა თქმა უნდა, ემოცია დიდი იყო. ბიონსემ ნახა ჩემი ნამუშევრები და მისი სტილისტი დამიკავშირდა. დღესაც ყველა ცნობილი სახე, ვისაც ჩვენთან თანამშრომლობა სურს, ასეთი ფორმით გვეკონტაქტება. ყველაზე ახლოს და ხშირად ბიონსესთან, კაილი მინოუგთან ვმუშაობთ. ახლახან ჯენიფერ ლოპესთანაც დავინწყეთ.



ჯენიფერ ლოპესი დევიდ კომას კაბაში  
Jennifer Lopez in David Koma's dress

to as a wunderkind of the contemporary fashion world. Where do you find your inspiration?

– I don't have a single source of inspiration. It depends. I may be inspired by different things from season to season. It can be a book that I've read, a painter or a fact that I accidentally witnessed the in the street. I've been frequently inspired by a contemporary work of art, architecture, any particular building but the key inspiration is certainly a woman and her body. It always inspires me.

**IP:** While we're on the subject, let me ask you about women. Who is the woman that fascinates you the most? Which Georgian woman would you like to dress?

– I love Carine Roitfeld, former editor-in-chief of French Vogue. She is a wonderful woman and a mother. I would love to work with her. I love strong women who can successfully balance their career, family life and self-care. Although I haven't lived in Georgia for a long time, I know that this is how most of the Georgian women are. It is hard for me to pick someone in particular but I would like to work with any of such women.

**IP:** Perhaps not a lot of Georgians but many stars wear David Koma – Beyonce, Kylie Minogue, Cheryl Cole, Rihanna, Lady Gaga. What was the first order that you received from a star and which one is your favorite?

– It is a great feeling when amazingly talented strong women choose to wear my clothes. This isn't something unusual to me now that a number of movie or show business stars have worn my dresses, including on a red carpet. The first time it happened I had just graduated from college and no one knew my name. It was certainly a moment of great emotion. Beyonce saw my works and her stylist contacted me directly. This is the way it works. We cooperate most closely and frequently with Beyonce and Kylie Minogue. We've just started working with Jennifer Lopez.

**IP:** Which fashion house and famous designer would you like to collaborate with?



ლონდონის მაღაზიაში გადაღებული მაისურის ფოტო  
Photo of a t-shirt, from a shop in London



2011 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციიდან  
Autumn-Winter 2011 collection

**IP:** რომელ მოდის სახლთან და ცნობილ დიზაინერთან ითანამშრომლებდი?

– ყოველთვის მინდოდა ჩემი ბრენდი შემექმნა და დამოუკიდებლად მემუშავა, მაგრამ ძალიან ბევრი პოპულარული მოდის სახლი და სახეა, ვისთანაც მუშაობას პატივად მივიჩნევდი – „Jeffrey Beene“, „Clod Montana“, „Thierry Mugler“ და კიდევ უამრავი.

**IP:** „დევიდ კომა“ უკვე ცნობილი ბრენდია, როგორ იცავთ მას გაყალბებისა და „ინტელექტუალური“ ქურდობისგან?

– ვფიქრობ, დღეს ნებისმიერმა დიზაინერმა უნდა დაარეგისტრიროს საკუთარი სახელი და ლოგო. აქ, ევროპაში ასე იქცევიან. შესაძლოა მეტ-ნაკლებად ძვირი იყოს, მაგრამ აუცილებელია ამის გაკეთება ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მუშაობ და საკუთარ პროდუქციას წარადგენ. შეერთებულ შტატებსა და ჩინეთშიც კი უნდა დარეგისტრირდე, თუ ბიზნესის გაფართოებასა და დიდ ბაზრებზე გასვლას გეგმავ. ყველა მექანიზმი უნდა აამოქმედო და ყველაფერი გააკეთო იმისთვის, რომ დაცული იყო.

**IP:** გქონია თუ არა შეხება ასეთ პრობლემასთან? როგორია პირადი გამოცდილება?

– რა თქმა უნდა. ზუსტად 2 დღის წინ ტვიტერზე მაისურის ფოტო გამომიგზავნეს, New Look-ის მა-

– I’ve always wanted to create my own brand and work independently; however, there are a number of brands I’d be honored to work with or for – Claude Montana, Thierry Mugler, Jeffrey Beene to mention a few.

**IP:** David Koma is a famous brand now. How do you protect it from counterfeiting and intellectual theft?

– I think today all designers should register their name and logo. This is how they do it here, in Europe. It can be more or less expensive but it is necessary to do in all countries where you work and have your production. You should get registered even in the US and China if you plan



ლაზიიდან. მისი პრინტი თითქმის ზუსტად იმეორებს ჩემი 2011 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციის ერთ-ერთი კაბის პრინტს.

**IP:** ქართული მოდის სამყაროსა და დიზაინერებზე რა აზრის ხარ? როგორია, შენი აზრით, ქართული მოდის ინდუსტრიის მომავალი?

– ქართველ კოლეგებზე მყარად ჩამოყალიბებული მოსაზრებები არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ საქართველოში ბევრი ნიჭიერი ადამიანია, ბევრი დიზაინერი საზღვარგარეთ მუშაობს. ასე რომ, ქართული მოდის წარმატებული მომავლის მჯერა.

**IP:** 26 წლის ასაკში საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიე. რთულია იყო პოპულარული დიზაინერი? სტრესი უფრო მეტია ამ საქმეში თუ სიამოვნება?

– ბევრს მოდის სამყარო და დიზაინერის საქმე ადვილი და სახალისო ჰგონია, მაგრამ ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ეს არსებულთაგან ერთ-ერთი ყველაზე რთულად სამართავი ბიზნესია, დაწყებული სპონსორის პოვნით, კოლექციის შექმნითა და ჩამოყალიბებით, დამთავრებული მარკეტინგითა და ბიზნესსაქმიანობით. შემოქმედების გარდა, აუცილებელია ორგანიზატორული ნიჭი და მიზანდასახულობა. სიამოვნებასა და სტრესს რაც შეეხება, ჩემს სტუდენტებსა და ინტერნებს ყოველთვის ვეუბნები, რომ როცა ამ საქმეს იწყებთ, მილიონჯერ მაინც უნდა ჰკითხოთ საკუთარ თავს: არის თუ არა ეს ის საქმე, რომლის გარეშეც ვერ ვიცხოვრებ და რაც ამქვეყნად ყველაზე მეტად მინდა? თუ ასეა, და თავს სხვაგან ვერსად ხედავთ, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოდის ინდუსტრიაში მუშაობის დაწყება. თუ ძალიან არ გინდათ, უბრალოდ ვერ გაუძლებთ...

**IP:** ლონდონის მოდის კვირეულიც დასრულდა. რას გეგმავ უახლოესი ერთი წლის მანძილზე და უფრო შორ მომავალში?

– გაყიდვები გექონდა პარიზში, ლოს-ანჯელესში, წარმოვადგინეთ ჩვენი კოლექცია შოუ რუმებში ფართო აუდიტორიისთვის. მუშაობას მომავალ წელს და მერეც ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელებთ. მე არ ვჩქარობ, წინ მივდივარ ჩემს ბიზნესთან ერთად ნელა, მაგრამ წარმატებულად.

to expand your business and access large markets. You should use all mechanisms available and do as much as possible to be protected; however, it still can't protect your style from copying. If people want to copycat your style, they will do it anyways.

**IP:** Have you ever had to deal with this problem? Can you tell us about your personal experience?

– Oh, yes. Just 2 days ago someone send me on twitter the picture of a T-Shirt from one of the high street retailer New Look. The print of the t-shirt was almost the same as we used for 2011 collection.

**IP:** What do you think about Georgian fashion and designers? What do you think the future of the Georgian fashion industry looks like?

– I don't have any firmly established opinions about my Georgian colleagues but I know that many talented people, many designers in Georgia work abroad, so I believe in a successful future of the Georgia fashion.

**IP:** You've gained much success at the age of 26. Is it difficult to be a popular designer? Is it more stress or pleasure?

– Many people think that the fashion world and a designer's work is fun and easy but I know from my own experience that fashion is one of the most difficult businesses to manage - from finding a sponsor, creating and forming a collection to marketing and business activities. In addition to creativity, talent for organization and determination is also necessary. As for pleasure and stress, I always say to my students and interns – when starting your work as a designer, you should first ask yourself million times, whether this is something you can't live without, something that you want most in the whole world. If this is true and you don't see yourself anywhere else, then you can start working in fashion industry. If this is not something you really want, you simply won't be able to handle it.

**IP:** London Fashion Week has come to an end. What are your plans for the next year and in the more distant future?

– We had sales in Paris, in Los Angeles; we presented our collection in show-rooms for broader audience. Next year and beyond we plan to continue working the way we usually do. I'm not in a rush. My business and I move forward step by step to a success.

## ლიზაიბი

პროდუქტის გარეგანი სახე, გამოსახულება. დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალურია. დიზაინი რეგისტრირდება საქპატენტიში.

## DESIGN

An External face, appearance of the Product. Legal protection shall be granted to a design if it is new and has individual character. Design shall be registered at SAKPATENTI.



**ნიკო ფიროსმანი**  
თვითნასწავლი,  
პრიმიტივისტი მხატვარი

**Niko Pirosmani**  
self-taught,  
primitivist artist

# ნიკო ფიროსმანი

## NIKO PIROSMANI

დაიბადა 1862 წელს სოფელ მირზაანში.

თვითნასწავლი, პრიმიტივისტი მხატვრის შესახებ ცნობების დიდი ნაწილი შეგროვებულია მისი გარდაცვალების შემდეგ.

თბილისში მშობლების გარდაცვალების შემდეგ გადმოვიდა საცხოვრებლად.

**XIX საუკუნის 80-იან წლებში** გახსნა ფერწერის სახელოსნო და იღებდა შეკვეთებს და ამზადებდა აბრებს. მოგვიანებით, მუშაობდა კონდუქტორად ამიერკავკასიის რკინიგზაზე, შემდეგ ვაჭრობაშიც სცადა ბედი, გახსნა სასურსათო მაღაზია, თუმცა მისი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

**XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე** თბილისელ მეღუქნეებთან და მიკიტნებთან აფარებდა თავს, მათი შეკვეთით ხატავდა აბრებს, პორტრეტებს, სურათებს. სანაცვლოდ მეღუქნეები ლუკმაპურით უმასპინძლებოდნენ.

მხატვრის შემოქმედებას გარკვეული კვალი დაამჩნია იმ სოციალურმა გარემომ, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება. მის მხატვრულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უკავია ქეიფის სცენებს, რომელიც, არსებითად, თბილისელ ვაჭარ-ხელოსნების, მიკიტნების, ზოგჯერ თავადების ჯგუფურ პორტრეტებს წარმოადგენს. იზიდავდა სოფლის ბუნება და ცხოვრება. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ანიმალისტურ ჟანრს.

**ლეგენდის მიხედვით** ფიროსმანს შეუყვარდა ფრანგი მომღერალი მარგარიტა. მან გაყიდა საკუთარი მაღაზია, შეიძინა ძალიან ბევრი ვარდი და ურმით გაუგზავნა. მხატვრის შემოქმედებაში ერთ-ერთი ცნობილი ნახატი სწორედ მარგარიტას პორტრეტია.

**გარდაიცვალა** 1918 წელს, ადდგომა დღეს. სიცოცხლის ბოლომდე გაჭირვებას თავი ვერ დააღწია. ახალგაზრდა ქართველ მხატვართა საზოგადოება დროდადრო ცდილობდა შეემსუბუქებინა მისი ხვედრი, თუმცა ფიროსმანი მარტოობაში გარდაიცვალა და მისი საფლავიც უცნობი დარჩა.

როდესაც, მაშინ ახალგაზრდა მხატვარმა, ლადო გუდიაშვილმა ჰკითხა, თუ რა იყო მისი ოცნება, ფიროსმანმა უპასუხა: „ავაშენოთ ერთი სახლი, ვიყიდოთ სამოვარი, ვსვათ ჩაი და ვისაუბროთ ხელოვნებაზე...“

He was born in 1862 in the village of Mirzaani.

Most of the information about the **self-taught, primitivist artist** has been posthumously collected.

**Moved to Tbilisi** Following the death of his parents.

**In the 1880s** he opened a painting workshop and painted signboards for living. Later he worked as a conductor for the Transcaucas Railway, and opened a grocery store but his trading business turned out to be unsuccessful.

**At the dawn of the 20<sup>th</sup> century**, having found a shelter with shop-keepers and tavern-keepers in Tbilisi, he painted signboards, portraits and pictures in return for sustenance provided by shop-keepers.



**The work of the artist** was affected by the social environment he was living in. His artistic legacy is largely made up of feast scenes, essentially portraying merchants, artisans, tavern-keepers, with an occasional depiction of nobility. He was attracted by bucolic nature and the way of life. He largely used animal genre in his work.

**According to one of the legends**, Pirosmani fell in love with a French singer, **Margarita**. He sold his own shop to buy a lot of roses and sent her the flowers in a cart. The portrait of Margarita is one of the famous paintings of the artist.

**He died** on Easter Sunday in 1918. All his life he couldn't escape poverty. The association of young Georgian painters occasionally tried to relieve his fate but Pirosmani died alone and the location of his grave remains unknown.

When then-young painter Lado Gudishvili asked him what was his dream, Pirosmani replied: "to build a house together, buy a Samovar, drink tea and talk about art..."

# ფიროსმანი PIROSMANI

რუსუდან ფეხვიაშვილი  
RUSUDAN PHETVIASHVILI



ფიროსმანის პიროვნება და შემოქმედება განსაკუთრებულად განცალკევებით დგას ჩვენს ხელოვნებაში. ფიროსმანი მარტოსულია და კრისტალურად თავისთავადი. თვითონ სახელი „ფიროსმანი“ ჩემთვის საკრალურად ჟღერს და იმ სულიერი სიმსუბუქისა და თეთრი ნათების გამომხატველია, რაც ამ მხატვრის შემოქმედებას ახლავს.

ფიროსმანმა თავისი გენიალური, გულუბრყვილო უშუალოებით გაათავისუფლა სახვითი ხელოვნება ყველანაირი სახის ჩარჩოსაგან და, თავისდაუნებურად, სათავე დაუდო მკვეთრად ინდივიდუალურ გამომსახველობით ფორმებს.

სამყაროს პრიმიტივისტული ხედვა საგანგებოდ მიზანდასახული, თუ უნებლიე და უშუალო, მაინც, დროის იმპულსით იყო განპირობებული, რადგან ეს ერთდროული პროცესი იყო ევროპულ ხელოვნებაში და ფიროსმანის მაგალითზე.

ფიროსმანს უთქვამს: „...ორთაჭალის ტურფებს თეთრ ზენარს ცოდვათა პატიების ნიშნად ვაფარებო“. მას თითქოს განგებისაგან აქვს მინიჭებული ნათლის ფლობა და უშურველად აფრქვევს ყოველდღიურ უღიმღამობასა და სადაც ყოფას. ყოველივეს ამაღლებულ და განუმეორებელ მშვენიერებას ანიჭებს.

„ორთაჭალის ტურფას“ ფერხითი ზეანგვილი თეთრი ყვავილებია. ამ თეთრი ყვავილების დანაბარებს ჩასძახის ყვითელი ჩიტი „ტურფას“. ქალი ცდილობს არ შეიმჩნიოს, რომ ესმის ჩიტის ნათქვამი, მაგრამ ეს შეკავებული განცდა მის თვალეშია ჩაგუბებული.

განსაკუთრებულია ფიროსმანის „დათვი მთვარიან

The personality and work of Pirosmani holds a distinguished place in Georgian art. Pirosmani is a loner and crystal original. To me, the name Pirosmani itself has a sacred sound to it, expressing the spiritual lightness and the white light characteristic to the painter's work.

With his genius and naive straightforwardness, Pirosmani set the visual arts free of all sorts of limitations and effortlessly laid a foundation for visibly individual expressive forms.

Primitivist world vision, whether deliberate or unintended and straightforward, had been triggered by impulse of the time since it was a simultaneous process in European art and as illustrated in the case of Pirosmani.

Pirosmani once said: „...I cover Ortachalian beauties with a white sheet to signify forgiveness of sins“. It seems that God himself has bestowed him with the ability to possess the light that he spreads so abundantly



აქტრისა მარგარიტა  
Actress Margarita

over an average everyday life and existence, making everything sublimely and uniquely beautiful.

By the feet of the *Ortachalian Beauty*, there are white flowers with their heads pointing upwards. A bird is chirping down the message from these flowers to the Beauty. The woman tries to overlook the fact that he understands what the bird is saying but her eyes are filled with the feeling she tries to contain.



ორთაჭალის ტურფა  
Ortachalian Beauty

ლამეში“ – დათვის ადამიანურად მეტყველი პორტრეტი, მთვარიანი სივრცე ნანგრევის განათებული სარკმლიდან, მთვარის შუქში გავლებული, ცას მიბჯენილი ღონიერი ხე.

ფიროსმანის ფუნჯს შეუძლია სამუდამოდ დასამახსოვრებელი გახადოს მიმტანი ბიჭი „ვირის ხიდზე“, მხარზე რომ ხელსახოცი აქვს გადაფენილი და ისეთი თეთრი ნათებითაა დაფიქსირებული, რომ ნახატის ცენტრალურ ფიგურად ქცეულა. ამ ნახატში დაუვიწყარ განწყობას ქმნიან მეინახენი ნავში. ისინი პირდაპირ ნათელში სხედან – ქვევით თეთრი წყალი და ზევით თეთრი ცა. მათ წინ თეთრწვერა მოხუცია თეთრი თაიგულით. ყვავილები სანთლებივით ანთია მთვარის შუქზე.

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ფიროსმანის ცა. სამობლოს დიდი განცდით ნაგრძნობი, უკიდევანო, უსაზღვრო, ჰორიზონტის ქვევით რომ ჩადის და კოსმიურ უსასრულობას გვაგრძნობინებს და თეთრი ღრუბლების პარალელური რიტმი იასამნისფერ ფონზე – სიმშვიდე და მარადისობა.

არ შემიძლია არ ვახსენო „ჭირაფი“. ჭირაფი ნიკალას ცხოვრების სულიერი პორტრეტი მგონია.

ძნელად წარმოსადგენია სამუდამო ფასეულობათა ასეთი მდგრადობა და ასეთი დიდი სულიერი წონასწორობა შემოქმედისგან, რომელსაც უკიდურეს სიღუბნეობა და გულგრილობის გარემოცვაში უწევდა ცხოვრება.

რა სულიერ საგანძურს ფლობდა მირზანელი ნიკალა, რომელიც შვიდი წლის ასაკიდან ქალაქის ორომტრიალში მოხვდა და მთელი ცხოვრება დაუქნებლა და სამიკიტნოებში გაატარა? რა სულიერი საგზალი გამოჰყვა ბავშვობის შვიდი ბედნიერი წლიდან, რომ მთელი სიცოცხლე სიკეთე და სინათლე აფრქვია და ისე გაიცრა ნათელში, რომ მისი ხელშეწავლები ჭიქა არ დარჩა ქვეყანაზე? ნიკო ფიროსმანმა ისე აიკრა გულანაბადი ამ ქვეყნიდან, თითქოს გულიც არ დასწყვეტია. სევდა რომ შემოანეებოდა, ასე ღიღინებდა თურმე:

„შენ, ჩემო ძმაო ნიკალა, რად გინდა ნუთისოფელი? სახლად მოგცემ სამოთხესა, იქ მოგივა ყველაფერი...“

Pirosmani's *Bear in the Moonlight* illustrates a humanly expressive portrait of a bear, moonlit space seen from an illuminated window of the ruins and a sturdy tree resting against the sky in moonlight.

Pirosmani's brush can make a waiter on a Donkey Bridge lastingly memorable with a napkin spread on one of his shoulders and embedded with white shining, which makes him the center of the painting. The table companions in the boat create an unforgettable mood in the painting. They are sitting directly in the light, with white water below them and a white sky above. There is a white-bearded old man holding a white bouquet of flowers. Flowers lit up like candles against the moonlight.

I am particularly moved by the sky in Pirosmani's paintings. Painted with a great sense of homeland, the vast sky without any boundaries that reaches beyond the horizon, has us experience a cosmic infinity; a parallel rhythm of white clouds against a lilac background – peace and eternity.

I can't help but note *Giraffe*. I think of it as a spiritual portrait of Nikala's life.

It is hard for me to imagine similar sustainability of eternal values or comparable spiritual balance coming from a creator who had to endure the life in extreme poverty and indifference.

What was the spiritual treasure kept by Nikala of Mirzaani, who found himself in a city ordeal from the age of 7 and spent all his life at diners and drinking houses? What was the spiritual food he'd taken from his seven years of happy childhood, which he'd been feeding on to spread kindness and light throughout his life? He disappeared in light without leaving behind a single glass he had touched. It seems like Niko Pirosmani packed up and left this world without being heartbroken about it. Whenever he felt sad, he would hum these words: *“you, my friend, Nikala, what do you need this world for? I'll give you the heaven to be your home and you'll have everything there...”*



ჭირაფი  
Giraffe

## ჩემი უფლება MY RIGHT

დავით დეფი  
DAVID DEPHY



**ინტელექტი** – ლათ. *Intellectus* – გაგება, შემეცნება, გონება; პიროვნების თვისება, რომელიც აზროვნების უნარის, აზროვნების ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს.

**საკუთრება** – „რასაცა გასცემ შენია...“ – შოთა რუსთაველი.

ინტელექტუალური საკუთრება ჩემთვის ღირსების საკითხია და მას, ყოველთვის, ადამიანის თანდაყოლილ თვისებად და სამოქალაქო უფლებად მივიჩნევ. აზროვნების თავისუფლება ხომ ყოველი ჩვენგანის ხელუხლებელი უფლებაა და ის სიცოცხლისათვის და თავისუფლებისათვის, სისხლის მიმოქცევასა და სუნთქვასავით აუცილებელი ფუნქციაა. არავის აქვს ამ ფუნქციის დარღვევის და მისაკუთრების უფლება.

როცა პოეტი თავის სიტყვებს სამყაროს ჩუქნის, ის მთელი თავისი არსობით ყოველი სიტყვის ასობგერაშია განფენილი და მას სამყარო ისევე ითავსებს, როგორც თავსდება მასშიც თავად სამყარო. ვფიქრობ, დიდი უნამუსობაა იდეის ან უკვე განხორციელებული და ფორმამოქმენილი აზრის, უკვე არსებულის მოპარვა, ნამდვილი ავტორის ნაცვლად საკუთარი თავის წარდგინება და ასე უნამუსოდ მატერიალური დოვლათის მოპოვება. უნამუსოდ? დიახ, უნამუსოდ. აბა, სხვა რაღაა ქურდობა თუ არა უნამუსობა? ბერნარ შოუმ ერთხელ თქვა, – „საკუთრება ქურდობაა, ამბობს პრუდონი, ეს არის ბანალობა ჭეშმარიტებისა, რომელიც საკუთრებაზე ითქვა.“ – მძიმე სიტყვებია. ვინ ისურვებდა ასეთ სამყაროში ყოფნას? სადაა სამართლიანობა? ნეტარი ავგუსტინე კი სამართლიანობას ისეთ სათნოებად მიიჩნევს, რომელიც თითოეულს იმას აძლევს, რაც მას ეკუთვნის. ამიტომ, სიტყვები – „რასაცა გასცემ შენია...“ მე საკუთრების უზუსტეს ხატებად მესახება. მეც და, იმედი მაქვს, ყოველ ჩვენგანს სჯერა ამ სიტყვების, მაგრამ როცა კაცი უნამუსოა ის წესებს არღვევს და არა თუ ჩემს იდეას მპარავს და ისაკუთრებს, არამედ მპარავს და თავისად ასაღებს ჩემს უფლებას ვიყო უკეთესი და შემეძლოს გაცემა, ის მპარავს იმას, რაც მას

**Intellect** – Lat. *Intellectus*. Understanding, perception, a particular mind; a capacity of an individual that gives way to the ability to think, a psychological ground for thinking.

**Property** – “What you give away remains your own” - Shota Rustaveli

To me, intellectual property is a matter of dignity and I have always viewed it as one's inborn quality and a civil right. Right to think is a universal and inalienable right and a function as vital for life and freedom as circulation of blood or breathing. No one has the right to infringe upon or take over the function.

When a poet bestows his words to the whole world, every letter in every word is drenched with his essence that the world embraces just like it embraces the world. I believe that it is rather dishonest to steal an idea or a thought that has already been realized and translated into a certain form, something that already exists; it is rather dishonest to pretend to be the author and to gain material wealth deceitfully. Yes, deceitfully, as stealing is deceitful indeed. Bernard Shaw has once said: “Property, said Proudhon, is theft. This is the only perfect truism that has been uttered on the subject.” These words are rather harsh. Who would want to live in such world? Where is justice? Blissful Augustine considered justice to be the kind of virtue that allows everyone to get what they deserve. Therefore, I believe that the saying “what you give away remains your own” represents the notion of property in the most precise manner. I hope that all of you believe in these words as much as I do but when a dishonest person violates the rules, he steals and takes over not only my idea but also my right to be the best and be able to “give away”. He strips me of something that he does not have an ownership of, not without me “giving it away”. The “giving away” and my wish to “give away” are protected by law. Therefore, I view intellectual property as one's inborn quality and a civil right, because it is underpinned by law.

A flower “gives away” its smell but asks for nothing in return. It would have been unfair to have a flower stripped of its right to “give away” its smell and to steal the amazing idea from it. None of the stones lying around a fragrant flower do this; none of them take credit for the fragrance and pretend that it's theirs. It is safe for me to say that even stones protect the law on property as they are content with their own natural qualities, without trying to take over other's. How much more important is a human?

In the epoch ruled by the Internet, contemporary lit-

არ ეკუთვნის, რადგან ეკუთვნის მხოლოდ მაშინ თუ მას მე გავცემ. ამ გაცემას და გაცემის ჩემ სურვილს კანონი იცავს. ინტელექტუალურ საკუთრებას ამიტომ მივიჩნევ ადამიანის თანდაყოლილ თვისებად და სამოქალაქო უფლებად, რადგან მას კანონი ესაძირკვლება.

ყვავილიც გაცემს თავის სურნელებას და არაფერს ითხოვს სანაცვლოდ. უნამუსობა იქნებოდა ყვავილისთვის სურნელების გაცემის უფლების ჩამორთმევა, მისთვის ამ საოცარი იდეის მოპარვა. არცერთი ქვა არ აკეთებს ამას, რომელიც სურნელოვანი ყვავილის გვერდით გდია. ის ამ სურნელებას თავზე არ მიიწერს და თავისად არ ასაღებს. შემძლია ვთქვა, რომ ქვაც კი იცავს კანონს საკუთრების შესახებ, რადგან ის თავის ბუნებრივ თვისებებს სჯერდება და არასდროს ეტანება სხვისას. რამდენად უფრო მნიშვნელოვანია ადამიანი?

**თანამედროვე ლიტერატურა  
ინტერნეტის ზოგის ეპოქაში ისეა  
გამიშვლავული და დაუსველი,  
როგორც არასდროს. ნებისმიერი  
ტექსტი, ნებისმიერი ადამიანისთვის  
წადმიად ლია.**

თანამედროვე ლიტერატურა ინტერნეტის ზოგის ეპოქაში ისეა გამიშვლავებული და დაუსველი, როგორც არასდროს. ნებისმიერი ტექსტი, ნებისმიერი ადამიანისთვის წადმიად ლია. ჩემ ვებგვერდზე ყოველ კვირა ვაქვეყნებ ჩემივე ნაწარმოებებს და პლაგიატისგან და ქურდობისგან ჩემი რწმენა მიცავს. მჯერა, რომ სხვებს სინდისი ეყოფათ და ფორმებსა და მიგნებებს, იდეებსა და გნებავთ აზრებს არ მომპარავენ, რადგან ის უკვე გამოქვეყნებულია და ამ ყველაფერს ჩემი სახელი ახლავს. ახლავს თარიღიც და რაც არ უნდა უცნაურად გეჩვენოთ, ბევრი მათ ციტატებადაც ხმარობს. ვფიქრობ, ეს რწმენა და ადამიანებისადმი ჩემი ნდობა, მიზეზი ჩემი ლია სივრცისა იგივე კანონია, დაუნერული კანონი, რომელიც დაწერილ კანონზე გაცილებით ადრე გაჩნდა და სინდისით დამტკიცდა, უსინდისობით კი დაირღვა.

ადრე, საავტორო უფლებების შესახებ სანამ რამეს გავიგებდი, ინსტინქტურად ვმოქმედებდი. ლოგიკურად მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩემი ნაწარმოები, გნებავთ რაიმე ჩემი იდეა, სავაჭრო ნიშნად მორგებული რაიმე სიტყვა, სლოგანი თუნდაც, ან გაზეთში უნდა გამოქვეყნებინა, რომელსაც გამოცემის თარიღი ედო – კონკრეტული წელი, რიცხვი და თვე, ან ჩემივე თავისთვის ფოსტით გამეგზავნა და ეს წერილი არასდროს გამეხსნა, სანამ ამის საჭიროება არ დადგებოდა. საჭიროებაში კი სასამართლო პროცესს ვგულისხმობ, როცა ვინმე რაიმეს მიითვისებდა და მე მასთან სასამართლოში მომიწევდა საქმის გარკვევა. საბედნიეროდ, ჯერ ასეთი რამ არ დამჭირებია და ისევ სინდისის იმედი მაქვს, რომ არც არასდროს დამჭირდება. ახლა ჩემ ინტუიციას, გნებავთ წინდახედულობას კანონი იცავს. რაც გავეცი ის ჩემია კანონით. გარდა ამისა, არსებობს საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოების

erature is as exposed and vulnerable as never before. Any text is too accessible for any individual. Having only my own faith to protect me from plagiarism and theft, I publish my works on my webpage on a weekly basis. I have a faith that others will have enough conscience to keep them away from stealing my forms and finds, ideas or opinions, as they have already been published bearing my name and the date. However unusual it may sound, a lot of people cite my works. I believe that my faith and trust in people – the reason for me to have an open space - is same as law. It is an unwritten law that was created long before a written law, enacted with honesty but violated with dishonesty.

Earlier, before I knew anything about copyrights, I was acting instinctively. Through logical reasoning I concluded that I should have published my works – whether it was my idea or any word or even a slogan used as a trademark – in a newspaper that had a date of publication on it - the day, the month and the year, or should have sent them to myself by e-mail and should have never opened it, not before I needed to open, i.e. if I needed to litigate against someone who had taken illegal ownership of my work. Fortunately, there has been no need for me to resort to such measure and having my faith in conscience of individuals, I hope that there will be no need to. Now my intuition or forward-lookingness is protected by law. What I give away remains my own by law. Furthermore, there is a well-known phenomenon of someone's work and no one can publish a work about a mad knight who fights against windmills and name it *Don Quixote* again; what's more, he won't be able to make a single step without defenders of the rights of this author. On the other hand, there are commercials on TV shamelessly featuring well-known music by Depeche Mode or Pink Floyd. If Roger Waters learns about it, Georgia will be in trouble.

You, my friends, continue to create and always remember the flower.

Ignorance is another issue, and I mean ignorance, not the lack of knowledge. It must be very difficult to be igno-



ფენომენიც და ვერავინ გამოაქვეყნებს ნაწარმოებს გაგიჟებულ რაინდზე, რომელიც ქარის ნისკვილებს ებრძვის და მას ისევ დონ კიხოტს უწოდებს, ან მეტიც, ამ ავტორის უფლებების დამცველების გარეშე ნაბიჯსაც ვერ გადადგამს. მეორე მხრივ კი ტელევიზიით მაინც ვაწყდები ისეთ სარეკლამო რგოლებს, სადაც, „დეპემოდის“ ან „პინკ ფლოიდის“ საყოველთაოდ ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებები, ასევე, უნამუსოდ ჟღერს. არა მგონია ეს ამბავი თუ როგერ უოტერსის ყურამდე მივა, საქართველო დიდ შარში არ გაეხვიოს.

თქვენი შექმენით, მეგობრებო, და ყოველთვის გახსოვდეთ ის ყვავილი!

სხვა საქმეა უმეცრება. არა რაიმეს არცოდნა, არამედ უმეცრება. დღეს, ასეთ ღია სამყაროში, ალბათ ძალიან ძნელია უმეცარი იყო, თუმცა უმეცარი კაცი ყოველთვის თავითკმაყოფილი ჩანს, არასდროს მიისწრაფვის უკეთესისკენ და თავხედურად ლახავს ადამიანის უფლებას გასცეს რაიმე და გასცეს თავის საკუთრებად. ზედმეტად ფილოსოფიურია? მაშინ, გოეთეს მოვუსმინოთ. გოეთემ თქვა, – „არაფერია იმაზე უფრო საშინელი, ვიდრე ამოქმედებული უმეცრება“. უტიფრობაა არ დაეთანხმო. უმეცარი, თავისი უმეცრებით, ხომ შემეცნების კანონს არღვევს, ინტელექტის მოქმედების კანონს, რომლის ფლობა მხოლოდ მას ძალუძს, ვინც მასვე გასცემს.

არსებობს ხალხური ლექსის ფენომენიც. ხალხური ლექსის ავტორის ვინაობა არავინ იცის. ქართველების გარდა იაპონელებიც ამ ტრადიციისანი არიან და არსად, ჯერ არავის უკადრებია არც თავისთვის და არც ქვეყნისთვის ხალხური სიბრძნე თავისად გაესაღებინა. ვფიქრობ, აქაც ის კანონი მოქმედებს, თანდაყოლილი ყველა სინდისიერ ადამიანში და ზოგადად საზოგადოებაში.

როცა „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ შეიქმნა, მისმა ავტორმა ტექსტის ბოლოს თავისი სახელი არ დაწერა. არავინ იცის, რა მოხდა. შემიძლია ვივარაუდო, ან ფიქრობდა – ხალხი ამას თვითონ იტყვისო, ან საგანგებოდ არ მიუთითა თავისი ვინაობა, ლექსი სამყაროს აჩუქა და დღეს იგი ყოველი ჩვენგანისაა, ქვეყნისაა. ამ ლექსს დღეს ძეგლი უდგას. თავმდაბლობა, პოეტიკა და ფილოსოფია ერთია, მაგრამ ვფიქრობ ლექსის ავტორის შთამომავლები ბედნიერები იქნებოდნენ, მათი წინაპრის ვინაობა და საავტორო უფლება დღეს დაცული რომ ყოფილიყო. ბედნიერებიც და მეტ-ნაკლებად მდიდრებიც. მაგრამ, ახლა ვერაფერს ვიზამთ. რაც მოხდა, მოხდა. პოეტი სამყაროს ენდო და ამ ნდობამ გაამართლა.

მაგრამ, როცა ამკარა ქურდობასთან გვაქვს საქმე?

სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ ხომ საყოველთაოდ ცნობილი წიგნია? მეტიც, ის საკაცობრიო ბესტსელერია. დიახ, სწორედ ამ, საკაცობრიო ბესტსელერის ავტორი, თავის დროზე, ერთ კაცს სასამართლოში საავტორო უფლებაზე ედავებოდა, რომელიც ამტკიცებდა (რალაც სულელური წიგნი დაწერა, ა-ლა სელინჯერის ჭვავის ყანა), რომ ჯერომ დევიდ სელინჯერის რომანთან საერთო



rant in today's open world. However, an ignorant person is always self-content, never seeking to improve, rudely violating one's right to give something away as his own property. Is it too philosophical? Let's hear what Goethe has to say. He once said: "Nothing is more terrible than ignorance in action". It would be an insolence not to agree. With his ignorance, an ignorant person violates the law of knowledge and the law of intellect which says that it can be owned by those who provide it.

Another phenomenon is that of a folk poem. Authors of folk poems are unknown. Japanese have the same tradition but no one has ever taken the liberty of taking credit for folk wisdom. I think that same law applies here – the law that's congenital for every honest person and public in general.

The poem of a panther and a night was never signed by the author. No one knows what happened. I can only assume that he thought people would give him the credit anyways or he did it intentionally as he wanted to bestow the poem to the whole world and now it belongs to all of us, to the country. They have built a statue to commemorate the poem. Modesty, poetics and philosophy is one thing but I believe that the author's descendants would have been happy if the identity and copyright of their ancestor were protected; happy and more or less wealthy. But there's nothing we can do or change now. The poet had a faith in the world and his faith proved right.

But what if we are dealing with downright theft?

Salinger's *Catcher in the Rye* is a well-known book; moreover, it's a perennial bestseller. It was the author of this perennial bestseller who was brought copyrights litigation in court against a person (author of some stupid book, à la Salinger's *Catcher in the Rye*) who maintained that his work had nothing to do with Salinger's novel. In terms of its content and narration, his book was very much like the prominent novel of the 20<sup>th</sup> century. He had copied the whole synopsis of Salinger's novel, general picture, characters. He lost the dispute... and you know why? Not only because the very first edition of Salinger's novel was





არაფერი აქვს. მისი წიგნი, შინაარსით და თხრობით, ძალიან გავდა მეოცე საუკუნის ცნობილ რომანს. წიგნში გადმოტანილი იყო სელინჯერის რომანის მთლიანი ქარგა, საერთო სურათი, ხასიათები. მან სასამართლო წააგო... და იცით რატომ? არა მხოლოდ იმიტომ, რომ სელინჯერის პირველივე გამოცემას საავტორო უფლებების დამცველი ტექსტი და ნიშანი ახლდა, არამედ იმიტომ, რომ მან უნამუსოდ მოიპარა ყველა ის სიკეთე, რაც ამ რომანს ბევრი სხვა რომანისგან გამოარჩევს. ვილაცამ მაშინ ასეც იხუმრა, – ერთი უნიჭო მუსიკის მასწავლებელი, თავისი დაწერილი მუსიკით ამაყობდა და სანამ მისი ნაწარმოები ფირსაკრავზე შემთხვევით უკულმა არ დაფატრიალე და შოპენი არ გაისმა, გაოგნებას ვერ ვმაღავდიო.

მნამს, თუ კაცი თავის მოტყუებას შეეშვება, წამში იპოვნის იმას, ვისაც უსიტყვოდ ენდობა, საკუთარ თავს.

როგორც ჩანს, ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა, საკუთარი თავის არცოდნითა და თავის აღმოჩენის შიშითაა გამყარებული. წარმატების მისაღწევად ადამიანს, ასეთ მოკლე და ბინძურ გზაზე, ვფიქრობ, ეს შიშიც მართავს.

თუ ვინმე ჩემ იდეას მიითვისებს, გამომხატველობისა და აზრის ჩემულ საშუალებებს და ფორმებს, სლოგანებს, სათაურებს, ლექსსა თუ მთლიანად რომანს, სიტყვებსა თუ სიტყვების კომბინაციებს (მაგ., უკვე საყოველთაოდ ცნობილი ჩემი სიტყვა „სიახLOVE“)

copyrighted but because he shamelessly stole all remarkable features that distinguish *Catcher in the Rye* from many other novels. Back then someone made a joke of this saying: *one untalented music teacher was very proud of the music that he wrote until I played his work backwards on a turntable by chance and it started playing Chopin. I could hardly contain my astonishment.*

I am a firm believer that as soon as a person stops lying to himself, he will be able to find someone he can trust unconditionally. And this someone is his own self.

Apparently, theft of intellectual property is reinforced by one's own ignorance and fear to discover his true self. I think that this fear also gets the best of a person on his short and dirty way to success.

If someone wrongfully acquires my idea, my own means and forms of expressing my opinion, slogans, titles, poems or a novel, words or combination of words (for instance, the well-known word by me „სიახLOVE“<sup>1</sup>), takes credit for it, he has violated the rules. He is acting dishonestly.

Being inspired from something else - from some other author, for instance - is a completely different matter. In such cases, they usually put quotation marks around the text that inspired them or make reference to the author, having found spiritual or professional bond with him.

For instance,

This year my book *Before the End* was published in New York and in the USA, as well as in all European capitals. The book was published within the series of the *Best European*

1. T.N.: Partial transliteration of a Georgian word სიახლოვე (which means closeness) by substituting some of Georgian letters for Latin ones.

თავის საკუთრებად გაასაღებს, ის წესებს არღვევს. ის უწესოა.

სხვა საქმეა, როცა ავტორი შთაგონებას საიდანადაც იღებს. მაგალითად, სხვა ავტორისგან და ის თავის შთაგონების წყაროდ მოტანილ ტექსტს ბრჭყალებში სვამს ან საგანგებოდ ეხმიანება და მასთან სულიერ ან პროფესიულ კავშირს პოულობს.

მაგალითად ასე:

ნიუ-იორკში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის ყველა დედაქალაქშიც, წელს გამოიცა ჩემი ნაწარმოები „დასასრულამდე“. ნიგნი ევროპის საუკეთესო ნაწარმოების სახელით გამოვიდა და ერთ-ერთი ნიუ-იორკელი ჟურნალისტისგან წერილი მივიღე. ის მწერდა, რომ სახელწოდება Before The End by David Dephy (დავით დეფი „დასასრულამდე“) და ნაწარმოების შინაარსი მისი სტატიისთვის ზედგამოჭრილი იყო და თუ შეიძლება, ციტატებისა თუ სათაურის ბრჭყალებში ჩასმით და ჩემი სახელის მითითებით ის ამ ინფორმაციას თავისი სტატიისთვის გამოიყენებდა. ამას განსაკუთრებული სიფრთხილითა და საოცარი მონივნებით ამბობდა და, რა თქმა უნდა, ნება დავრთე. შემდეგ, მისგან მაღლობაც მივიღე, წერილის ბოლოს ამბობდა, ღმერთმა დამიფაროს შენი საავტორო უფლება თუნდაც ერთი უმნიშვნელო სასვენი ნიშნით დამერღვიაო, ამას არც საკუთარი სინდისი და არც ამერიკის კანონი არ მაპატიებდაო.

ჰო, ასე თქვა, არც საკუთარი სინდისი და არც ამერიკის კანონი არ მაპატიებდაო.

*Fiction.* I received a letter from one of the journalists in New York, saying that the title and the content of my book *Before the End by David Dephy* very much suited his article and therefore, he was asking for a permission to use the information for the article by putting quotation marks around all quotes and the book title and making reference the author's name. He was asking me with a particular caution and an incredible reverence and I certainly said yes. Afterwards, I received a thank-you note from him. At the end of the letter he was saying that he would never think of violating my copyrights even by a minor punctuation mark as neither his own conscience nor the US law would have forgiven it to him.

Yes, that's what he said, that neither his own conscience nor the US law would have forgiven it to him.



## საავტორო უფლება

საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს. საავტორო უფლება ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს, ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დეპონირება განახორციელოს საქპატენტიში. დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული პირი მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად/საავტორო უფლების მფლობელად, თუ არ არსებობს სანინა-აღმდეგო დასაბუთება.

### COPYRIGHT

**Copyright shall apply to scientific, literary and artistic works which are the result of the intellectual and creative activity. Copyright is commenced upon their creation. The author or other copyright owner may deposit the original or a copy of a work with SAKPATENTI. Person indicated in a Deposition Certificate shall be deemed to be the author of the work, unless otherwise proved.**



# ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვები პატენტის შესახებ

## FAQ - FREQUENTLY ASKED QUESTIONS ABOUT PATENT

### რა არის პატენტი ?

პატენტი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საკუთრების უფლებას გამოგონებაზე.

### რა სახის სიახლე შეიძლება დაპატენტდეს?

სიახლე დაპატენტებადია, თუ პატენტზე განაცხადის წარდგენის მომენტისთვის იგი არ არის ცნობილი ტექნიკის არსებული დონით.

შეიძლება დაპატენტდეს ყველა სიახლე, რომელსაც ტექნიკური შედეგი აქვს და არ შედის საქართველოს საპატენტო კანონით განსაზღვრულ გამოწაკლისებში. ასეთი შეიძლება იყოს:

- მონყობილობა, აღწერილი სტატიკაში ან/და დინამიკაში;
- ხერხი, მისი ჩატარების პირობების, პარამეტრებისა და რეჟიმის მითითებით;
- ნივთიერება მიღებული ფიზიკო-ქიმიური ან კომპონენტების მექანიკური შერევით;
- ნივთიერება, მიღებული ქიმიური გზით, მისი მიღების ხერხი, გამოყენების სფეროები და გამოყენების განხორციელების მონაცემები;
- პროდუქტი და მისი გამოყენება;
- სამედიცინო პროდუქტი ან/და მისი მიღების ხერხი და სხვა.

### რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს გამოგონება, რომ შესაძლებელი იყოს მისი დაპატენტება?

საპატენტო დაცვისათვის გამოგონება უნდა აკმაყოფილებდეს პატენტუნარიანობის სამ ძირითად კრიტერიუმს: სიახლეს, საგამომგონებლო დონესა და სამრეწველო გამოყენებადობას.

### What is a patent?

A patent is a document that certifies title rights to an invention by an applicant.

### What are the conditions for patentability of a novelty?

A novelty can be patentable if, for the date of establishing priority, it is not known at current state of the art.

Any novelty with a state of the art outcome, not listed in the exceptions laid out by the “Patent Law of Georgia”, can be patented. These are the following novelties:

- A device, described in statistics and/or dynamics;
- A method, by indicating conditions for its use, parameters and regimes;
- Substance received from physical and chemical or mechanic mixture of components;
- Chemical substance, method for receiving the substance, fields of application and information about realization of its use;
- Product and its use;
- Medical products and/or methods for making it, etc.

### What are the criteria to be fulfilled by an invention for it to be patentable?

In order for an invention to be patentable, it should meet the criteria of patentability - novelty, inventive step and industrial applicability.

## შეიძლება თუ არა იდეის დაპატენტება?

მხოლოდ იდეის დაპატენტება შეუძლებელია. გამოგონება, რომელზეც შეიძლება გაიცეს პატენტი, აღწერილი უნდა იყოს ისეთი სისრულით, რომ დარგის საშუალო დონის სპეციალისტმა შეძლოს მისი განხორციელება. ასევე, გამოგონების აღწერილობიდან ნათლად უნდა ჩანდეს და დადასტურებული იყოს, რომ გადაჭრილია გამოგონებით დასახული ტექნიკური ამოცანა.

## რა უფლებები აქვს პატენტის მფლობელს?

პატენტი მის მფლობელს ანიჭებს საკუთრების უფლებას. ეს იგივე უფლებაა, როგორც ნებისმიერი სხვა უფლება. მაგალითად, მინის ან ავტომობილის საკუთრების უფლება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, პატენტის შემთხვევაში, ნივთის მფლობელის ნაცვლად გვევლინება პატენტმფლობელი, ხოლო ნივთის ნაცვლად – გამოგონება.

ფაქტობრივად, პატენტი არის სახელმწიფოს მიერ იმ ფაქტის დადასტურება, რომ პირი (პატენტმფლობელი) კონკრეტულ გამოგონებაზე ექსკლუზიური უფლებების მფლობელია, ანუ მხოლოდ პატენტმფლობელს აქვს პატენტით დაცული გამოგონების დამზადების, გაყიდვის, გასაყიდად შეთავაზების, გამოყენების, იმპორტის ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვის უფლება და მას თავისუფლად შეუძლია ამ უფლების სხვისთვის გადაცემა ისევე, როგორც შესაძლებელია საკუთრებაში არსებული ავტომობილის ან ბინის გაყიდვა, გაქირავება და ა.შ.

## ვინ და როგორ გასცემს პატენტს?

საქართველოში პატენტი გაიცემა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ.

საქართველოში გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე პატენტის მისაღებად საჭიროა განაცხადის წარდგენა საქპატენტში, სადაც განაცხადს უტარდება ექსპერტიზა, რომლის შედეგადაც მიიღება გადანყვეტილება პატენტის გაცემის ან პატენტის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

დადებითი გადანყვეტილების შემთხვევაში, საქპატენტი „საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში“ აქვეყნებს განაცხადის მონაცემებს, რეფერატსა და გამოფენს საგანაცხადო მასალებს გასაცნობად. თუ გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში საქპატენტის სააპელაციო პალატაში არ შევა პატენტუნარიანობის კრიტერიუმების უარყოფასთან დაკავშირებული მესამე პირის დასაბუთებული შედავა, საქპატენტი არეგისტრირებს პატენტს და გასცემს საპატენტო სიგელს.

## რა ვადით გაიცემა პატენტი?

გამოგონებაზე პატენტის მოქმედების ვადა არის 20 წელი საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღიდან. სასარგებლო მოდელზე კი – 10 წელი საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღიდან.

## რას შეადგენს გამოგონების დაპატენტების საფასური?

იმის მიხედვით, თუ რა მოცულობის არის გამოგონება, დაპატენტების საფასური შეიძლება შეიცვალოს, თუმცა საშუალოდ საფასური შეადგენს 600 ლარის



## Is an idea patentable?

It is impossible to patent only an idea. A patentable invention should be described to the degree that makes its realization possible by an average expert. Description of an invention should also clearly demonstrate and confirm that the problem (a technical problem) that the invention aims to resolve has been resolved.

## What are the rights of a patent owner?

A patent provides title rights to its owner, which is like any other rights – e.g. property right to a land plot or a vehicle. The only difference is that patent involves a patent owner instead of an owner of an item and an invention instead of an item.

Basically a patent is certification by the state of the fact that a person (a patent owner) holds exclusive rights to an invention, i.e. only the patent owner has the right to prepare, sell, offer for sale, use, and import patented invention, and the right to any other market use of it, similar to being able to sell, rent out, etc. a automobile or an apartment as an owner.

## Who grants a patent and how is it granted?

Patents in Georgia are granted by the National Intellectual Property Center of Georgia *Sakpatenti*.

In order to receive a patent for an invention or a utility model, it is necessary to file an application with Sakpatenti, where the application is examined and based on the examination, Sakpatenti makes decisions to grant or refuse to grant a patent.

If Sakpatenti decides in favor of an applicant, it publishes the data of application and abstract of an invention in the Official Bulletin of Industrial Property,

ექვივალენტს ლარში (პატენტის რეგისტრაციისა და პირველი ორი წლით ძალაში შენარჩუნების საფასურის ჩათვლით). აღნიშნული საფასურები დამტკიცებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამავე დადგენილებით განსაზღვრულია გარკვეული გამო-ნაკლისები – დაპატენტების საფასური განმცხადებელ გამომგონებლებისათვის 70%-ით ნაკლებია, ხოლო პენსიონერების, სკოლის მოსწავლეებისა და სტუ-დენტებისათვის 90%-ით ნაკლები.

### **რისთვის არის პატენტი საჭირო?**

პატენტის მფლობელს პატენტი აძლევს უფლებას თავად განკარგოს გამოგონება და აუკრძალოს სხვებს მისი ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი არა-სანქცირებული გამოყენება.

### **არსებობს თუ არა საერთაშორისო პატენტი?**

საერთაშორისო პატენტი არ არსებობს. პატენტის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყნის ტე-რიტორიაზე, რომლის საპატენტო უწყებამაც გასცა პატენტი.

### **როგორ შეიძლება პატენტის მიღება საზღვარგარეთ?**

დაპატენტება საზღვარგარეთ შეიძლება განხორ-ციელდეს ორი გზით:

პირველი გზა ითვალისწინებს, საქართველოში წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, განაცხადების შეტანას პირვანდელი პრიორიტეტის შენარჩუნებით ყველა იმ ქვეყანაში, რომლებსაც განმცხადებელი მიიჩნევს პერსპექტიულად გამოგონების გამოყენების თვალსაზრისით. ეს პროცედურა დაკავშირებულია ხარჯებთან, ვინაიდან განაცხადების შეტანა, როგორც წესი, ხორციელდება მითითებულ ქვეყნებში რეგის-ტრირებული პატენტრწმუნებულების მეშვეობით, რო-მელთა ჰონორარები საკმაოდ მაღალია.

მეორე გზა ითვალისწინებს საერთაშორისო გა-ნაცხადის წარდგენას საპატენტო კოოპერაციის ხელ-შეკრულების (PCT) პროცედურის გამოყენებით, რომ-ლის მიხედვითაც საერთაშორისო განაცხადს აქვს ყველა აღნიშნულ სახელმწიფოს საპატენტო უწყებაში უშუალოდ შეტანილი ეროვნული განაცხადის ძალა. საქართველოს მოქალაქეთათვის ან საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე პირთათვის საქპატენტი მოქმედებს, როგორც საერთაშორისო განაცხადების „მიმღები უწყება“.

### **რას ნიშნავს პატენტზე უფლებების დარღვევა?**

ზოგადად, პატენტზე უფლებების დარღვევა ნიშნავს პატენტით დაცული გამოგონების ან სასარგებლო მოდელის მესამე პირების მიერ არასანქცირებულ გა-მოყენებას.

საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად, პატენტზე უფლებების დარღვევად მიიჩნევა პატენტით დაცული პროდუქტის, მათ შორის დაცული ხერხის მეშვეობით უშუალოდ მიღებული პროდუქტის მესამე პირების მიერ უკანონოდ გამოყენება, დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარად ჩართვა.

and exhibits materials of application. If, within the term of three months, a substantiated appeal challenging fulfillment a patentability criterion is not filed by a interested party with the Chamber of appeal established at Sakpatenti the latter registers a patent and issues a patent certificate.

### **What is the term of a patent?**

The term for patent protection of an invention is 20 years from the date of application to Sakpatenti. The patent validity term for utility model is 10 years from the day of application to Sakpatenti.

### **How much does it cost to patent?**

Patent fee depends on the volume of invention but the average price of a patent is USD 600 payable in Georgian laris (including the price of patent registration and yearly fee for extension of patent protection for the first two years). The fees have been adopted under the decree of the Government of Georgia. Under the very same decree, inventor applicants get 70% discount of patent fee, while pensioners, pupils and students get 90% discount.

### **What is the patent needed for?**

A patent enables the patent owner to dispose of the invention himself/herself and prohibit others from any unsanctioned use of his/her intellectual property.

### **Is there an international patent?**

There is no international patent. Patent is affective on the territory of the country of the patent granting patent agency.

### **How can I acquire a patent abroad?**

There are two ways to acquire a patent abroad:

The first way envisages filing an application by maintaining the initial priority in all countries that an applicant views as prospective in terms of use of the invention. The application is filed on the basis of the application filed in Georgia. It can be costly since applications are generally filed by means of patent attorneys registered in target countries, whose fees are quite high.

The second way envisages filing an international application by using the Patent Cooperation Treaty procedure. According to the PCT, all international applications directly filed with patent agencies of member states have equal force. For citizens of Georgia or people permanently residing in Georgia, Sakpatenti acts as a "Receiving Office" for international applications.

### **What does violation of patent rights mean?**

In general terms, violation of patent rights means unsanctioned use of a patented invention or utility model by a third party.

"Patent Law of Georgia" deems illegal use, production, sale, offer for sale, use, import or other market use of a patented product, including a product made by the use of a patented method as violation of patent rights.



## უნიკალური სამხედრო ხიდი

## THE UNIQUE MILITARY BRIDGE

ლიკა ბერაია  
LIKA BERAIA


მეცნიერი, რომელსაც დროის არ ეშინია, ვინც იცის შრომის და თავდადების ფასი და იცის მთავარი-ალმოჩენით, ახლის პოვნით და უნივერსალური გამოგონებით მიღებულ სიხარულს ვერაფერი შეედრება. ადამიანი, ვისაც ყველაზე ცოტა თავისუფალი დრო ჰქონდა, მაგრამ ყველაზე მეტი დააგროვა.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი მისი მთავარი გამოგონებაა. ამბობს, რომ ახლა, მსოფლიოს ახალი უნიკალური საიერიშო ხიდით გააოცებს. სამხედრო ხიდებზე მუშაობა 70-იან წლებში დაიწყო. ეს იყო გასაშლელი საიერიშო სამხედრო ხიდები – ყველაზე საპასუხისმგებლო ხიდები სამხედრო საქმეში. საიერიშო ხიდის გაბარიტები, როგორც წესი, ასეთია: სიგრძე – 12-13 მეტრი, სიმაღლე და სიგანე – 4 მეტრი. ასეთი ხიდებით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა სარგებლობს, მათ შორის: აშშ, ინგლისი, რუსეთი, გერმანია და იტალია. ზოგიერთი მას აწარმოებს, ბევრიც ყიდულობს. მაგრამ ამ ხიდებს ერთი ნაკლი აქვს – მათი სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში მხოლოდ 24-26 მეტრია. ქართველი მეცნიერი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელგუჯა მეძმარიაშვილი ახალი საიერიშო ხიდის გამოგონებაზე ბოლო 7 წელია მუშაობს. საბოლოოდ, უნიკალური სამხედრო გასაშლელი საიერიშო ხიდი შექმნა, რომელსაც შეუძლია 7 წუთში ადგილზე გაიშალოს. მისი სიგრძე კი დღემდე არსებულ მოდელებზე 2-ჯერ მეტია. 48 მეტრის სიგრძის უნივერსალური, სწრაფად დასაგები, მრავალჯერადი გამოყენების ხიდი იკეცება,

A scientist who is not afraid of time, who knows the value of hard work and commitment, is aware of the most important thing that there is **nothing like a joy of discovery, finding something new and coming up with a universal invention**; a person, who had the least of free time but gained the most.

The first Georgian space object is his main invention. He says that this time he will astonish the world with his unique assault bridge. He started working on military bridges in the 70s. These were deployable assault bridges, the most important bridge in the military work. Usual measurements of the bridge are as follows: 12-





თავსდება ტანკზე, წონა კი თითქმის იგივე აქვს, რაც 24 მეტრიან ხიდს. ქართველი მეცნიერი ამბობს, რომ მისი გამოგონების ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს.

„ეს არის უნიკალური ტექნიკა, რომელიც 2-ჯერ აჭარბებს არსებული ხიდების სიგრძეს. თქვენ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს ეს მონინალმდეგისთვის, როდესაც, ვთქვათ, ის იერიშს ელოდება?! თუ 24 მეტრიანი ხიდით შეიძლებოდა არსებული წინააღმდეგობის მხოლოდ 54%-ის გადალახვა, ჩემს მიერ შექმნილი 48 მეტრიანი ხიდი წინააღმდეგობების 95%-ს სძლევს. გარდა ამისა, მონინალმდეგე ვალდებულია, რომ თავისი ფრონტი 2-ჯერ გაზარდოს, რადგან უკვე იძულებულია, დაიკავოს 48 მეტრის სიდიდის წინააღმდეგობებიც კი. ამდენად, ეს უმნიშვნელოვანესია.“

ახალი გამოგონება სამხედრო მეცნიერებათა დოქტორმა მეცნიერებათა აკადემიაში უკვე წარადგინა. აკადემიური საბჭოს სხდომაზე მეცნიერთა ფართო წრემ გამოგონება მოიწონა, ამიტომ გამომგონებელი ამბობს, რომ დადგა დრო პროექტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარუდგინოს. ქართველ გამომგონებელს თურქი ბიზნესმენები უკვე დაუკავშირდნენ და სთხოვეს ხიდი ეჩვენებინა, შემდეგ კი თურქეთში წასვლა და ხიდის იქ შექმნა შესთავაზეს.

„მიმაჩნია, და ასეც უნდა იყოს, რომ რადგან საქართველოს მოქალაქე და, გარდა ამისა, ქართველი ვარ, პირველ რიგში, ეს გამოგონება უნდა წარუდგინო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. და თუ საქართველო დაამზადებს ამ ხიდს, ამით გახდება ერთ-ერთი ძლიერი მოთამაშე სამხედრო ტექნიკის საერთაშორისო ბაზარზე, რადგან ასეთი ხიდი ძალიან ძვირადღირებული სიახლოვანება.“ – ამბობს ელგუჯა მეძმარიასვილი.

თუმცა, ამ ხიდის სამოქალაქო მიზნებისთვის გამოყენებაც შეიძლება. ექსტრემალური სიტუაციების ან კატასტროფების დროს ეს ნაგებობა დროებით

13 meters long, 4 meters high and 4 meters wide. Such bridges are used by almost all countries throughout the world, including U.S., England, Russia, Germany and Italy, some producing and some buying these bridges. The only drawback of the bridge is that its length is only 24-26 meters, when deployed. Georgian scientist, Doctor of Military Science, Professor Elguja Medzmariashvili had been working to invent a new assault bridge for 7 years. Eventually, he created a military deployable assault bridge that can be deployed in 7 minutes on the spot. Its length is twice as much as the length of the existing model. 48-meter long, universal, multiple-use bridge can be deployed and easily constructed, can be placed on a tank, it weights almost the same as the 24-meter long bridge. According to the Georgian scientist nothing like this has ever been invented in the whole world.

**“This is a unique system with length twice as much as the length of existing bridges. Can you imagine what this means for an opponent when, say, they are expecting an attack?! If the 24-meter long bridge allows overcoming 54% of obstacle, the 48-meter long bridge that I have created can overcome 95% of obstacle. Furthermore, an opponent will have to increase its front two times as he is now forced to occupy obstacles even as long as 48 meters. Therefore, this is of utmost importance.”**

DScMil Medzmariashvili has already presented the invention to the Academy of Sciences. Broad circle of scientists approved the invention at the meeting of the academic council. Therefore, the author says that it is now time to present the project to the Ministry of Defense of Georgia. Turkish businessmen have already contacted the Georgian inventor with a request to see the bridge. They have offered him to go to Turkey and start building the bridge there.

**“I believe and this is how it should be that this invention should first be presented to the Ministry of Defense of Georgia because I am a Georgian citizen, a Georgian in the first place. And if**


ნებისმიერ ადგილას აიგება.

ეს არ არის პირველი ხიდი, რომელიც მან გამოიგონა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, ამჯერად იგი უნიკალურია. სამხედრო ხიდის ავტორს გამოგონების დაპატენტების პროცესი საქპატენტში უკვე დაწყებული აქვს. ამბობს, რომ ტექნიკის დაპატენტების პროცესი ბევრი თავისებურებით ხასიათდება. საკმარისია გამოგონება საერთაშორისო არენაზე ფართო საზოგადოების წინაშე გაიტანო, ნაკეთობა საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, ამიტომ სურს, რომ ახალი გამოგონება საქართველოს საკუთრება იყოს.

ელგუჯა მეძმარიაშვილი 85 გამოგონების ავტორია, რომელთაგან ნახევარი საქართველოში აქვს დაპატენტებული, ნახევარი კი – უცხოეთში. კოსმოსურ რეფლექტორებზე ამჟამად ევროპის სტრუქტურებთან ერთად მუშაობს, თუმცა სურს, რომ ახალი მნიშვნელოვანი გამოგონება საკუთარ ქვეყანაში ააგოს. „ბოლო პერიოდში ძალიან კვალიფიციურად და უმოკლეს დროში ხდება ყველაფერი. გარდა ამისა, საპატენტო უწყება თავად შედის კონტაქტში გამომგონებელთან და გამომგონებლის ღირსებასა და მის წარდგენაზე ზრუნავს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. გამომგონებელსა და საპატენტო სამსახურებს შორის ასეთი ურთიერთობა უთუოდ აღსანიშნავია.“

ოცდაშვიდი წლის იყო, როცა პირველი გამოგონება შექმნა. 1973 წელს პეტერბურგის სპორტის სასახლის „იუბილენის“ გადახურვის პროექტზე გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა. მისი პირველი გამოგონება ამ სტადიონის გადახურვის კონსტრუქცია იყო. მეცნიერი ამბობს, რომ როგორც კი ეს გამოგონება გამოჩნდა, იმდროინდელ საბჭოთა კავშირის ქალაქების საპროექტო ორგანიზაციებიდან მოდიოდა მოთხოვნა დოკუმენტაციის მიღებაზე. პირველი გამოგონებაც მაშინვე დააპატენტა. თუმცა, პირველ დიდ მიღწევასთან ერთად პირველი ყველაზე უსიამოვნო ისტორიაც ახსენდება: 80-იანი წლების ბოლოს სეულში, ოლიმპიადაზე აიგო 2 სპორტული მოედანი – ერთი 90 მეტრიანი, მეორე კი – 120 მეტრიანი გუმბათით. არ იცის როგორ, მაგრამ ეს სწორედ მისი გამოგონების ზუსტი ანალოგები იყო. „ამიტომ, მე აღარ მქონდა უფლება ეს გამოგონება გამეგრძელებინა. საქმეში ჩაერია „კგბ“, მაგრამ არაფერი გაირკვა. არ ვიცი ეს ჩვენგან წასული ინფორმაცია იყო, თუ მათ დამოუკიდებლად გამოიგონეს, მაგრამ წარმოუდგენელია ერთი-ერთზე როგორ შეიძლება აზროვნებდნენ ადამიანები.“

ქართველი მეცნიერის მთავარი გამოგონება კი მხოლოდ მის სახელს უკავშირდება. ელგუჯა მეძმარიაშვილი ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორია. ის ორბიტაზე 1999 წლის 23 ივლისს გავიდა და მისი გაშლისა და გამოცდის შემდეგ გადავიდა დამოუკიდებელ ორბიტაზე. ელგუჯა მეძმარიაშვილმა საქართველოში ჩამოაყალიბა და განავითარა კოსმოსური ტექნიკის და სამხედრო-საინჟინრო და-



**Georgia builds the bridge, it will become one of the strongest players on the international market of military equipments. It is quite expansive to build this bridge” – says Elguja Medzmariashvili.**

The bridge can also be used for civilian purposes. In extreme emergency situations or during disasters it can be temporarily deployed anywhere.


It is not the first bridge that was invented by Elguja Medzmariashvili but it is the first unique one. He has already commenced the patenting process at Sakpatenti. He says that the process has a number of specificities. As soon as one presents an invention on international arena, it no longer constitutes a secret. Therefore, he wants the new invention to be owned by Georgia.

Elguja Medzmariashvili is the author of 85 inventions. Half of his inventions have been patented in Georgia, another half – abroad. He is working with European agencies on space reflectors. But he wants to build his most recent important invention in his country. **“Recently everything is done in a much qualified manner and the shortest time possible. Furthermore, the patent agency is in contact with the inventor and cares for his dignity, his presentation, which is quite important. Such relations between an inventor and patent agencies are worth highlighting”.**

He created his very first invention at the age of 27. In 1973 he participated in a competition announced for the project of closing Yubileyny Sports Palace and he won. The construction for closing the stadium was his first invention. He says that having learned about the invention, design organizations from cities throughout the Soviet Union started sending him requests for the documents. This was when he patented his first invention. The first big achievement for him is also associated with the most unpleasant memory of his life: in late 80s there were 2 sports domes built at the Olympiad in Seoul; one was 90 meters high, another – 120 m. They were the exact analogue of his invention. **“Therefore,**




რგების სამეცნიერო, აკადემიური და პრაქტიკული მიმართულებები. საქართველოში კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის განვითარებისთვის და პირველი ქართული კოსმოსური თანამგზავრული სისტემის შექმნისთვის უმაღლესი სახელმწიფო სამხედრო ჯილდო – ვახტანგ გორგასალის პირველი ხარისხის ორდენი მიიღო. „ღირსების ორდენი“ კი საქართველოში კოსმოსური სისტემების მინის ზედა სასტენდო კომპლექსის შექმნისთვის გადასცეს. მან ჩამოაყალიბა საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტები. 12 წლის წინ გენერალ-მაიორმა მექმარიაშვილმა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია დააარსა, მისი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალური სისტემების ინსტიტუტიც, სადაც დღემდე იკავებს გენერალური კონსტრუქტორის და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობებს. ელგუჯა მექმარიაშვილმა შექმნა ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორია და ტრანსფორმირებადი გასაშლელი სამხედრო და სამოქალაქო კოსმოსური და მინისზედა კომპლექსები, რომლებსაც ანალოგი არ გააჩნიათ. თუმცა, არ აპირებს მიღწეულს დასჯერდეს. 85 გამოგონების ავტორი ამბობს: „როცა რაღაცას დააპატენტებ, უნდა იფიქრო ახალზე თუ გინდა, რომ წარმატებული იყო.“



***I no longer had the right to continue with my invention. KGB and the All-Union got involved in the case but nothing could be determined. I don't know whether they used the information from us or came up with the invention on their own; all I know is that it is impossible for two men to think exactly alike.***

The Georgian scientist's main invention is associated only with his name. Elguja Medzmariashvili is a general constructor of the first ever Georgian space object. It was launched into Orbit on July 23, 1999 and shifted to an independent orbit after it was deployed and tested. Elguja Medzmariashvili created and developed scientific, academic and applied areas of space technology and military engineering in Georgia. He was awarded the highest state military award - Vakhtang Gorgasali I degree Order for developing space and military engineering technologies in Georgia and designing the first Georgian space satellite system. He was awarded the Order of Honor for creating terrestrial test bench complex for space systems in Georgia. He established Georgian Institute of Space Constructions. 12 years ago Major General Medzmariashvili established Military Engineering Academy of the general staff of the Georgian armed forces, Special Systems and Engineering Maintenance of Georgian Technical University was established on his own initiative where he is still holding the posts of the general constructor and president of the scientific council. Elguja Medzmariashvili created the transformable engineering systems theory and unique transformable military and civil, space and terrestrial deployable complexes, and he does not intend to stop. The author of 85 inventions says: ***“when you have patented something, you should start thinking about a new one if you want to be successful”.***





ნინო რამიშვილი და  
ილიკო სუხიშვილი  
მოცეკვავეები,  
ქორეოგრაფები,  
ქართული ცეკვის  
სახელმწიფო  
აკადემიური ანსამბლის  
დამაარსებლები.

**Nino Ramishvili and  
Iliko Sukhishvili**  
dancers, choreogra-  
phers, founders of the  
Georgian State  
Academic Dancing  
Ensemble

# ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი

## NINO RAMISHVILI AND ILIKO SUKHISHVILI

**ილიკო სუხიშვილი** – დაიბადა 1907 წლის 4 აპრილს, თბილისში.

**ქართული ხალხური ცეკვების სტუდია** 1926 წელს დაასრულა, ამავე წლიდან ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ქართული ცეკვების შემსრულებელი, 1928 წლიდან კი ქართული ბალეტის სოლისტი გახდა.

**მოსკოვის დიდ თეატრში** სტაჟირებაზე იმყოფებოდა 1932-1935 წლებში.

**სამშობლოში დაბრუნების შემდეგ** თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი და ბალეტმეისტერი, საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი, აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი და მოცეკვავე იყო.

**ნინო რამიშვილი** – დაიბადა 1910 წლის 19 იანვარს, თბილისში.

**მ. პერინის საბალეტო სტუდიაში** 1922-1927 წლებში სწავლობდა. მისი დასრულების შემდეგ მიიღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის კორდებალეტში. ასრულებდა სოლო საცეკვაო პარტიებს ქართულ ოპერებში: „აბესალომ და ეთერი“, „დარეჯან ცბიერი“, „ცისანა“, „თქმულეა შოთა რუსთაველზე“.

ნამყვანი მოცეკვავე იყო საქართველოს ფილარმონიის ხალხური ცეკვის ანსამბლში, 1939 წლიდან.

**ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი** ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა 1945 წელს დააარსეს. მათ აღადგინეს, თანამედროვე სახე მისცეს, ფაქტობრივად თავიდან შექმნეს და მსოფლიოს აჩვენეს ათობით ქართული ხალხური ცეკვა. „ხორუმი“, „ნარნარი“, „სამაია“, „ფარცა“, „ქართული“, „ყაზბეგური“, „ხანჯლური“, „ხევსურული“ ეს იმ ცეკვების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც აუდიტორიას საქართველოსა და მთელ მსოფლიოში სუხიშვილებმა გააცნეს.

**პირველი კონცერტი** 1945 წლის ივნისში გაიმართა. 1948 წელს ანსამბლი პირველად გასცდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს, რის შემდეგაც 88 ქვეყანაში ორასზე მეტი ტურნე გამართა. ანსამბლის ქორეოგრაფიულ ხელოვნებას 60 მილიონზე მეტი მაყურებელი ეზიარა. 1967 წელს საქართველოს ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი პირველი და დღემდე ერთადერთი ფოლკლორული დასი გახდა, რომელსაც ლა-სკალამ საკუთარი სცენა დაუთმო.

**ილიკო სუხიშვილი** გარდაიცვალა 1985 წლის 24 მარტს.

**ნინო რამიშვილი** გარდაიცვალა 2000 წლის 6 სექტემბერს.

**დაკრძალულები არიან** დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დღეს საქართველოს ნაციონალურ ბალეტს სუხიშვილების უკვე მესამე თაობა ხელმძღვანელობს.

**Iliko Sukhishvili** was born on April 4, 1907 in Tbilisi.

**He completed the studio of Georgian folk dances** in 1926. The same year he became a performer of Georgian dances at the State Theatre of Opera and Ballet. Later he became a soloist of the Georgian Ballet in 1928.

**He interned at the Great Theatre** of Moscow in 1932-1935.

**Upon his return to Georgia** he became a soloist and a ballet master of Tbilisi Theatre of Opera and Ballet, a soloist of the Singing and Dancing Ensemble of the Soviet Army and a dancer and choreographer of the Singing and Dancing Ensemble of Eastern Georgia.

**Nino Ramishvili** was born on January 19, 1910 in Tbilisi.

**She went to M. Perin Ballet Studio** in 1922-1927. Having completed her studies at the studio, she was admitted to the Chor de Ballet of Tbilisi Opera and Ballet. She danced solo in Georgian operas *Abesalom and Eteri*, *Darejan the Wily*, *Tsisana*, *A Legend about Shota Rustaveli*.

In 1939 she became a leading dancer of the Georgian Philharmonic Folk Dancing Ensemble.

**The Georgian State Academic Dancing Ensemble** was founded by Iliko Sukhishvili and Nino Ramishvili in 1945. They restored, modernized, basically recreated and introduced to the world thousands of Georgian folk dances. *Khorumi*, *Narnari*, *Samaia*, *Partsa*, *Georgian*, *Kazbeguri*, *Khanjluri*, *Khevsuruli*... this is an incomplete list of the dances that were introduced to the audience in Georgian and throughout the world by the Sukhishvils.

**The first concert** was held in 1945. In 1948 the Ensemble had its very first tour outside the Soviet Union, which was followed by more than 200 tours in 88 countries. The choreographic art of the ensemble was experienced by the audience of more than 60 million. In 1967 the Georgian State Academic Dancing Ensemble became the first and only folklore ensemble to ever perform at La Scala.

**Iliko Sukhishvili died** on March 24, 1985.

**Nino Ramishvili died** on September 6, 2000.

**They have been buried** at the Didube Pantheon of Public Figures.

Today the Georgian National Ballet is led by the third generation of the Sukhishvils.



# ილიკოსა და ნინოს დიდი მისტიფიკაცია

## GREAT MYSTIFICATION OF ILIKO AND NINO

კოტე ჯანდიერი  
KOTE JANDIERI

„მე უნდა გავაგრძელო იქიდან, სადაც წინაპრების ნაკვალევი წყდება! მე თვითონ უნდა გავიკვლიო გზა, იმის ნაცვლად, რომ უკან გავბრუნდე და ჩემი წინაპრების ნაკვალევს მოვარგო ჩემი ნაბიჯები.“

კრისტინა მაკ-ბრაიდი

ტრადიციისა და ნოვატორობის მუდმივი ოპოზიცია, როგორც ზოგადად კულტურის, ისე კონკრეტული შემოქმედებითი პროცესის თანმდევი მოვლენაა. ნებისმიერ სერიოზულ შემოქმედს, ამა თუ იმ ფორმით, უნევს საკუთარი თავის პოზიციონირება ტრადიციულ კულტურულ სტერეოტიპებთან მიმართებაში. ზოგი ამ სტერეოტიპების სრულ უარყოფაში ხედავს გამოსავალს, ზოგი კი – მათ ახლებურ გააზრებასა და ინტერპრეტირებაში. ერთი კი ცხადია, მიმბაძველობა, ერთხელ უკვე განცდილის, დადგენილისა და წესად ქცეულის, გაუთავებელი, ბრმა გამეორება კლავს შემოქმედებას, განვითარების იმპულსს, კულტურის სულს.

„ქართულ ნაციონალურ ბალეტს“, დღეს, ცოტა ვინმე თუ აღიქვამს ფოლკლორულ ანსამბლად. მაგრამ, საბჭოთა ეპოქაში, ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის მიერ შეთავაზებულ ქორეოგრაფიულ სანახაობას მაყურებელი ხალხურ ცეკვად მიიჩნევდა. მართალია, იყვნენ ერთეულები, რომლებიც ამკარად ხედავდნენ ძირეულ სხვაობას ქართულ საცეკვაო ფოლკლორსა და ამ ქორეოგრაფიულ ნოვაციას შორის, მაგრამ რაკი მათი რიცხვი დიდი არ იყო და, რადგან, მათი აზრი არ ემთხვეოდა ოფიციალურ შეხედულებას, საზოგადოებას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ამიტომაც, საყოველთაო აღიარების მიუხედავად, სათანადოდ შეუფასებელი დარჩა ის რადიკალური ტრანსფორმაცია, რაც ილიკოსა და ნინოს მეშვეობით განიცადა ხალხურმა ცეკვამ და, ზოგადად, მხატვრულმა აზროვნებამ საქართველოში.

“I have to continue from the point where the footprints of my ancestors stop! I have to move forward on my own, instead of going back to fit in the footprints of my ancestors.”

Christian McBride

Culture in general as well as an individual process of creativity is frequently characterized with a constant opposition of traditions and innovations. Any earnest creator has to position himself against traditional cultural stereotypes. Some deal with it by completely rejecting the stereotypes, while some offer their novel understanding and interpretation. One thing is clear – copying and repeating endlessly and blindly what has already been experienced, established and routinely practiced, destroys creativity, the impulse of development, the spirit of culture.

The Georgian National Ballet is rarely viewed as a folk ensemble today, whereas the choreographic performance





offered by Iliko Sukhishvili and Nino Ramishvili was considered as a folk dance by the audience. Of course there were some who clearly saw a fundamental difference between Georgian dance folklore and the choreographic innovation but since there was only a few of such people and their opinion differed from the official point of view, public never paid attention to it. Therefore, despite the universal recognition, the radical transformation that the folk dance and artistic thinking in Georgia had undergone owing to Iliko and Nino was never duly noted.

The secret language of dance safeguards what nation's consciousness has sometimes deliberately forgotten or lost throughout the difficult times in its history. Hints about Georgian spiritual formation, cataclysms that have occurred in the depth of the collective spirit, their individual



perception of the world, hidden in entrails of the Georgian folk dance has been brilliantly read, deciphered and boldly highlighted in Sukhishvili and Ramishvili's ballet.

The Georgian National Ballet was born in the epoch of modernist art. Its founders had to revive the past that had remained in the national dance folklore and "translate" it in the language of modernism, in order to turn the Georgian choreography into a universally understandable live work of creation. However, under the supremacy of social realism in the Soviet Union, this modernist phantasmagoria would have been allowed to exist only if the authors declared it as folklore and managed to persuade the communist authorities that it was a Georgian traditional dance as opposed to a contemporary, professional ballet. Iliko managed to do so...

Going back to the past is in fact nothing more than seeking a creative impulse to continue going down the road. It empowers us to face the reality, systematize sporadic new emotions and finalize unfinished thoughts, constantly triggered by the past in our soul and mind. This is the precondition for constant evolution and revitalization.

ცეკვის იდუმალი ენა ინახავს იმას, რასაც ხანდახან შეგნებულად ივიწყებს, ან ისტორიულ ქარტეხილებში კარგავს ერის ცნობიერება. ხალხური ცეკვის ნიაღში შემონახული ფარული მინიშნებები ქართველთა სულიერი წყობის, კოლექტიური სულის სიღრმეში მომხდარი კატაკლიზმების, სამყაროს აღქმის სპეციფიკური თავისებურებების შესახებ, შესანიშნავად იქნა ამოკითხული, გამოიფრული და რელიეფურად გამკვეთრებული სუბიშვილისა და რამიშვილის ბალეტში.

„ქართული ნაციონალური ბალეტი“ მოდერნიზტული ხელოვნების ეპოქაში დაიბადა. მის დამაარსებლებს ეროვნულ საცეკვაო ფოლკლორში შემორჩენილი წარსულის გაცოცხლება და მოდერნიზმის ენაზე „თარგმნა“ დასჭირდათ, რათა ქართული ქორეოგრაფია ცოცხალ შემოქმედებად ექციათ, ევოლუციის გზაზე დაეყენებინათ და მსოფლიოსათვის გასაგები გაეხადათ.

მაგრამ, საბჭოთა კავშირში, სოცრეალიზმის ბატონობის პირობებში, მთელ ამ მოდერნიზტულ ფანტასმაგორიას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემოდა არსებობის უფლება, თუკი ავტორები მას ფოლკლორად გამოაცხადებდნენ და კომუნისტურ ხელმძღვანელობასაც დააჯერებდნენ, რომ ეს ხალხური შემოქმედებაა და არა თანამედროვე, პროფესიული ბალეტი. ილიკომ ეს შეძლო...

სინამდვილეში, წარსულთან დაბრუნება სხვა არაფერია, თუ არა შემოქმედებითი იმპულსის ძიება გზის გასაგრძელებლად. ეს ჩვენ ძალას გვაძლევს თვალი გაფუსნორით რეალობას და სისტემაში მოვიყვანოთ სპორადულად გაჩენილი ახალი ემოციები და ბოლომდე დაუმთავრებელი აზრის ნაგლეჯები, რასაც ანმყო გამუდმებით ბადებს ჩვენს სულსა და გონებაში. სწორედ ეს არის მუდმივი ევოლუციისა და განახლების წინაპირობა.



## აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო პროექტ „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ საშუალებით საქართველოში ინოვაციების მხარდაჭერას ახორციელებს

### USAID PROMOTES INNOVATION THROUGH ITS EPI PROJECT IN GEORGIA

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ (EPI) განხორციელება 2010 წელს დაიწყო და მის მიზანს საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება წარმოადგენს. ოთხნობიანი პროექტის ამოცანაა სოფლის მეურნეობის და საექსპორტო პოტენციალის მქონე წარმოებისა და მომსახურების სხვადასხვა სექტორში გაზარდოს ადგილობრივი ფინანსების ხელმისაწვდომობა და ამ სექტორებში ინვესტიციების, დასაქმებისა და პროდუქტიულობის ზრდის კუთხით კატალიზატორის როლი შეასრულოს. პროექტი მუშაობს ისეთ სექტორებზე, როგორცაა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ტურიზმი, ტანსაცმლის წარმოება, შეფუთვა. სამენარმეო გარემოს შემდგომი სრულყოფის მიზნით პროექტი საქართველოში ეკონომიკური მმართველობის გაღრმავებასაც ითვალისწინებს.

ინტელექტუალური საკუთრება ინოვაციისა და მენარმეობის მამოძრავებელი ძალაა და იგი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში. ინტელექტუალური საკუთრება ხშირად ამა თუ იმ ბიზნესის ძირითად კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს. ამ კონკურენტულ უპირატესობას, ისევე, როგორც ბიზნესის განვითარების მხარდაჭერასა და ინვესტიციების ზრდის ხელშეწყობას კი მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების დაცული უფლებები უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ, ინტელექტუალური საკუთრების მხარდასაჭერად და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განსამტკიცებლად პროექტ EPI-ს ფარგლებში ხორციელდება მუშაობა რამდენიმე მმართველობით.

USAID's Economic Prosperity Initiative (EPI) started in 2010 with the goal to improve Georgia's competitiveness. The four-year project serves as a catalyst to spur investments, increased employment, productivity and access to local finance in agriculture and high-export manufacturing and service sectors, such as information and communication technologies (ICT), transport & logistics, tourism, apparel and packaging. The project also strives to enhance Georgia's economic governance to further improve the business enabling environment.

Intellectual property drives innovation and entrepreneurship, contributing to any country's economic growth. And robust intellectual property rights (IPR) play an im-



portant role across all sectors of Georgia's economy. Intellectual property is often a key competitive advantage for a business; while strong IPR can secure this competitive advantage, support overall business development, and attract increased investments. That is why EPI has been working in a number of different areas to encourage intellectual property and the strengthening of IPR.

EPI, together with Microsoft and the Ministry of Education and Science of Georgia encouraged innovation and creativity in the ICT sector by bringing Microsoft's annual Imagine Cup to Georgia for the first time. The student technology competition encourages young innovators to use their imagination and passion to develop technology-based solutions that address the Imagine Cup 2012 theme: *Imagine a world where technology helps solve*

კომპანია Microsoft-ის მიერ ყოველწლიურად ორგანიზებული საერთაშორისო კონკურსის Imagine Cup-ის საქართველოში პირველად ჩატარების გზით, პროექტი EPI კომპანია Microsoft-თან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ხელს უწყობს ინოვაციასა და შემოქმედებას ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში. სტუდენტური IT კონკურსი ახალგაზრდა ინოვატორებს მოუწოდებს, თავიანთი წარმოსახვისა და მონდომების გამოყენებით მოახდინონ პრობლემის ტექნოლოგიური გადაჭრის ისეთი გზის შემუშავება, რომელიც შეესაბამება კონკურსის წლებგანდელ თემას „წარმოიდგინე სამყარო, რომელშიც ტექნოლოგია ურთულესი პრობლემის გადაჭრას უწყობს ხელს“. კონკურსი აქცენტს არა მხოლოდ კონკრეტული ტექნოლოგიის შესახებ ცოდნის გაღრმავებაზე, არამედ ინოვაციური და პრობლემაზე ორიენტირებული გადაჭრის გზების მოძიებაზეც აკეთებს. EPI-ის მხარდაჭერით, კონკურსის გამარჯვებული მსოფლიო ფინალში მონაწილეობის მისაღებად ავსტრალიაში გაემგზავრება.

გარდა ამისა, პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში ინოვაციური იდეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, EPI მუშაობს საქართველოში „ინოვაციური ცენტრის“ შექმნაზე. „ინოვაციური ცენტრი“ უზრუნველყოფს პლატფორმას IT პრობლემების გადაჭრის ისეთი ინოვაციური გზების მოსაძიებლად, როგორებიცაა ონლაინ აპლიკაციები, E-ID აპლიკაციები, მობილური აპლიკაციები და თამაშები.

ტრენინგებისა და მედია საშუალებების გამოყენების გზით პროექტი EPI-ის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა დაინტერესებული პირებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის შესახებ. ამასთან, პროექტი ადგილობრივ პროგრამისტებსა და კომპიუტერული პროგრამირების გლობალურ კომპანიებს ეხმარება თავიანთი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვაში ერთის მხრივ საზოგადოების ცნობადობის ზრდაზე მიმართული კამპანიის წარმოების, ხოლო მეორეს მხრივ საქპატენტთან თანამშრომლობის გზით, რაც საქპატენტის მიერ მზარდი ოდენობის განაცხადთა დამუშავებას შეუწყობს ხელს. ამჟამად EPI საქპატენტს სასაქონლო ნიშნის, საავტორო უფლებებისა და პატენტის სარეგისტრაციო განაცხადების ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნაში ეხმარება.

პროექტი EPI ინტელექტუალურ საკუთრებას ბიზნესის ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს. პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მხარს დაუჭერს ინტელექტუალური საკუთრების კიდევ უფრო განვითარებასა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განმტკიცებას.

**imagine cup | GEORGIA 2012**  
by Microsoft

**გამოწვევის ყვირა აპიკაუს**

მოიღეთ მონაწილეობა კომპანია Microsoft - ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სტუდენტურ IT კონკურსში - Imagine Cup!

**ჩივირით ფართოდ და მსოფლიოადა**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად:

- შექმნეთ მუშაობა 4 წუთისა და მეტი ხანის განმავლობაში.
- წარმოადგინეთ კონკურსისთვის მსაჯულთაგან შემდგომი ჟიური-სთვის მუშა პროტოტიპი.

ჭივირის მიერ გამოვლენილი 10 საუკეთესო ჯგუფი მონაწილეობს მოიღებს რეგიონალურ ფინალში.

ფინალში გამოვლინდება 3 გამარჯვებული ჯგუფი, რომელთაც გადაეცემათ ფასიანი პრიზები.

პირველ ადგილზე გასული ჯგუფი გაემგზავრება სიდნეიში (ავსტრალია) მსოფლიო ფინალში მონაწილეობის მისაღებად.

**საღას თქვენ ზეიცი: მსოფლიო ალიკაუსა და 25 000\$**

დაამატეთ იმპორტაციის ვიდეო: [www.fb.com/imaginecupgeorgia](http://www.fb.com/imaginecupgeorgia)

*the toughest problems.* It focuses not only on increasing knowledge around specific technology, but also on developing innovative and problem-oriented solutions. The competition winner will travel to the international finals in Australia with EPI's support.

Furthermore, to promote innovative ideas in software development, EPI has initiated and is working on the establishment of an Innovation Center in Georgia. The center will provide a platform for IT innovative solutions, such as online applications, E-ID applications, mobile applications and gaming.

EPI has been educating different stakeholders, as well as the general public about IPR through training and media outreach activities. The project also encourages local software developers and global software vendors to protect their IPR through various public awareness campaigns on one hand, and working with Sakpatenti to strengthen its capacity to process increased IPR registrations on the other. EPI is currently helping Sakpatenti to create an electronic filing system for its trademark, copyright, and patent applications.

EPI believes that intellectual property is a key driver for business growth. The activities undertaken by the project will support further development of intellectual property and strengthening IPR.



მელიტონ  
ბალანჩივაძე  
კომპოზიტორი  
და საზოგადო  
მოღვაწე, ქართული  
საოპერო მუსიკის  
ფუძემდებელი

**Meliton  
Balanchivadze**  
a composer, public  
figure, founder of  
Georgian opera music



# მელიტონ ბალანჩივაძე MELITON BALANCHIVADZE

**მელიტონ ბალანჩივაძე** – კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი.

**დაიბადა** 1862 წლის 24 დეკემბერს.

**განათლება** მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ კი ეგზარქოსის მგალობელთა გუნდში ჩაირიცხა. 1880 წლიდან ცნობილმა მომღერალმა და ლოტბარმა ფილიმონ ქორიძემ ოპერის თეატრის გუნდში მიიწვია.

**ქართული ხალხური სიმღერის გუნდი** 1882 წელს ჩამოაყალიბა, 1883 წელს კი თბილისში კონცერტი გამართა. ეს ქართული ხალხური სიმღერების ასეთი სახით შესრულების პირველი შემთხვევა იყო. ფილიმონ ქორიძესთან ერთად ხალხური სიმღერისა და გალობის შეგროვებისა და ჩანერის მიზნით მთელი ქვეყნის მასშტაბით იმოგზაურა.

**„ნანა“, „შენ გეტრფი მარად“, „ოდესაც გიცქერ“** – ქართულ მუსიკაში რომანსის ჟანრის პირველი კლასიკური ნიმუშებია. საჯაროდ ისინი 1889 წელს შესრულდა.

**პეტერბურგის კონსერვატორიაში** სასწავლებლად 1895 წელს გაემგზავრა. იქ ყოფნის განმავლობაში პოპულარიზაციას უწევდა ქართულ მუსიკას, სათავეში ედგა „ქართული საღამოების“ მოწყობას.

**პირველი ქართული ოპერის** „თამარ ცბიერის“ ნაწყვეტები პირველად სწორედ პეტერბურგში, „ქართულ საღამოებზე“ აჟღერდა.

**საქართველოში დაბრუნების შემდეგ** დააარსა ქუთაისის მუსიკალური სასწავლებელი, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის კონსერვატორიის რეორგანიზაციაში; ხელმძღვანელობდა „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოებას“ „საქართველოს სამუსიკო საზოგადოებას“ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხალხური სიმღერების გუნდების დაარსებაში; ხელმძღვანელობდა ხალხური მუსიკის შემკრებ და შემსწავლელ კომისიას.

**თბილისის ოპერის თეატრში** 1926 წელს პირველად დაიდგა „თამარ ცბიერი“.

**გარდაიცვალა** 1937 წლის 21 დეკემბერს.

**დაკრძალულია** ქუთაისში, ბაგრატიის ტაძრის ეზოში.

**Meliton Balanchivadze** – a composer, public figure, founder of Georgian opera music.

**He was born** on December 24, 1862.

**Education** – he graduated from the Theological School of Kutaisi. Having moved to Tbilisi, he joined the Choir of Kiezkarkosi.

**He was invited** to join the opera theatre chorus by a famous singer and bandmaster Pilimon Koridze in 1880.

**He established a Georgian folk song ensemble** in 1882 and held a concert in Tbilisi in 1883. This was the first time Georgian folk songs were performed this way. Together with Pilimon Koridze he traveled throughout the country to collect folk songs and chants.

**“Nana”, “I Will Always Love You” and “When I Look at You”** are the first classical pieces of romance in Georgian music. They were publicly performed in 1889.

**He left for St. Petersburg** to study at the Conservatory in 1895. During his tenure there, he was promoting Georgian music and spearheaded series of events of Georgian Evenings.

**Excerpts from the first Georgian opera Tamar the Wily** were performed for the first time during the Georgian Evenings in St. Petersburg.

**Upon his return to Georgia**, he established Kutaisi School of Music which has been named after him. He was actively involved in reorganization of Tbilisi Conservatory. He led the *Society of Young Georgian Musicians*, *Music Society of Georgia* and contributed to the establishment of folk song ensembles. He also led the commission for studying and collecting Georgian folk music.

**Tamar the Wily** was performed at Tbilisi Opera Theatre in 1926.

**Died** on December 21, 1937.

**Buried** in the yard of Bagrati Temple in Kutaisi.

# მელიტონ ბალანჩივაძე

## MELITON BALANCHIVADZE

დავით საყვარელიძე  
DAVID SAKVARELIDZE



1880 წელს, უდიდესი ქართველი მომღერლის ფილიმონ ქორიძის მოწვევით, თბილისის სახელმწიფო ოპერის დასს შეემატა ახალგაზრდა მომღერალი მელიტონ ბალანჩივაძე.

18 წლის ყმანვილს ახასიათებდა საოცარი მუსიკალურობა, დახვეწილი გემოვნება და ამით გამოირჩეოდა თანატოლებიგან.

ძალიან ბევრს მუშაობდა. ქართული ხალხური მუსიკის მიმართ დიდ სიყვარულს ამჟღავნებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, სასწავლებლად სანქტ-პეტერბურგში გაემგზავრა. იქ ვოკალურთან ერთად საკომპოზიტორო ფაკულტეტზეც სწავლობდა. სანქტ-პეტერბურგში, სწავლის პერიოდშიც დიდ დროს ქართულ ხალხურ მუსიკას უთმობდა. რუსეთში მას ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვი ასწავლიდა.

მისი ასეთი ინტერესი ხალხური სიმღერების მიმართ მხოლოდ მშობლიური ქვეყნის სიყვარულით არ იყო განპირობებული. იგი თითქოს რაღაცას ეძებდა.

თითქმის 30 წელი იცხოვრა რუსეთში (მოსკოვში) და იქ ქართული ვოკალური გუნდიც კი დააარსა.

1894 წელს დაიწყო საოპერო თხზულების წერა, რომლის ნაწყვეტებიც 1896 წელს შესრულდა სანქტ-პეტერბურგში.

საფუძვლიანად შეისწავლა ევროპული კლასიკური

At the invitation of a great Georgian singer Piliomon Koridze, young singer Meliton Balanchivadze joined the State Opera of Tbilisi in 1880.

An 18-year old young man demonstrated amazing talent in music and a refined taste, which distinguished him from rest of his peers. He worked hard and was deeply in love with Georgian folk music. Later he left for St. Petersburg, where he studied music composition and vocals. While in St. Petersburg, he spent a lot of time on Georgian music. He was taught by Nikolai Rimsky-Korsakov in Russia. His interest in Georgian folk songs did not stem only from his love of the motherland as it seemed that he was in a constant search for something. He spent almost 30 years living in Moscow, Russia, where he established a Georgian vocal ensemble. In 1894 he started writing operas. He even performed excerpts from some of his works in St. Petersburg in 1896. He mastered the European method for teaching classical music.

Upon his return from Russia he started living in Kutaisi and established a music school there. He opened another music school in Batumi. The key theme of his work was a perfect combination of European and Georgian folk music.

Georgia is a country with vocal arts tradition, which served as a starting point for Meliton Balanchivadze. He founded Georgian classical music, discovered and intuitively foresaw the function and the form of the Georgian opera art. He created Georgian classical romance - a romance in European sense but on Georgian motives. He

მუსიკის სწავლების მეთოდოლოგია. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ქუთაისში დასახლდა და ქუთაისშივე დააარსა მუსიკალური სასწავლებელი. შემდეგ ბათუმში გახსნა მუსიკალური სკოლა. სწორედ ევროპული და ქართული ხალხური მუსიკის შეზავება გახდა მისი შემოქმედების მთავარი თემა. საქართველო ვოკალური ხელოვნების ტრადიციის მქონე ქვეყანაა და ამოსავალი წერტილიც სწორედ ეს გახდა ბალანჩივაძისთვის, რომელმაც ქართულ კლასიკურ მუსიკას ჩაუყარა საფუძველი.

აღმოაჩინა და ინტუიციურად განჭვრიტა ქართული საოპერო ხელოვნების დანიშნულება და ფორმა. შექმნა ქართული კლასიკური რომანსი – რომანსი, ევროპული გაგებით, რომელიც ქართულ მოტივებზე აღმოაცენა. ქართულ კლასიკურ ვოკალურ ჟანრს ლირიკულ-რომანტიკული ფორმა შესძინა, რაც გახდა კიდევ ქართული ოპერის მუსიკალური ფორმის განმსაზღვრელი.

„თამარ ცბიერი“ – ასე ეწოდება პირველ ქართულ ოპერას, რომელიც მელიტონ ბალანჩივაძემ შექმნა. ამ ოპერას შემდგომში „დარეჯან ცბიერი“ უწოდა თავადვე ავტორმა, რაც, ალბათ, იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციით გამოწვეული აუცილებლობით აიხსნება.


ასე განჭვრიტა და დასაბამიც დაუდო ქართულ საოპერო ჟანრს მელიტონ ბალანჩივაძემ, რომელსაც ბედმა პირველობა არგუნა ქართველ კომპოზიტორთა შორის. ის 1937 წელს გარდაიცვალა.

საოცარია ბალანჩივაძეების გვარის ბედ-ილბალი...

მელიტონ ბალანჩივაძეს ორი ვაჟიშვილი ჰყავდა – ანდრეა და გიორგი. მოგეხსენებათ, ანდრეაც დიდი ქართველი კომპოზიტორი გახლდათ, ხოლო გიორგი ანუ ჯორჯ ბალანჩინი (ასე იცნობს მას მთელი მსოფლიო) – უდიდესი ქორეოგრაფი, საბალეტო ხელოვნებაში, ასევე, მომავლის განმჭვრეტი და თანამედროვე ცეკვის ფუძემდებელი.

ბალანჩივაძეების გვარს პირველობა თითქოს განგებამ არგუნა. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ქუთაისის სახელმწიფო ოპერის თეატრს „ბალანჩივაძეების სახელობის მუსიკალური ცენტრის“ სახელი მიანიჭა.

ამით, სიმბოლურად გაერთიანდა სამი სხვადასხვა ბედის მქონე, თუმცა კი ერთი ოჯახის, ერთი გვარის ადამიანი – მამა და ორი შვილი ბალანჩივაძე. ეს გვარი დღესაც უაღრესად დიდ საქმეს უკეთებს თავის ქვეყანას.



gave a lyrical and romantic flare to Georgian classical vocal genre, which later defined the musical form of Georgian opera.

The first Georgian opera *Tamar the Wily* was created by Meliton Balanchivadze. Later the opera was renamed as *Darejan the Wily* by the author himself, as necessitated by the political situation at that time.

This is how Meliton Balanchivadze foresaw and originated Georgian opera genre. He is number one among Georgian composers. He died in 1937.

The destiny of the Balanchivadzes' is rather fascinating. Meliton Balanchivadze had 2 sons – Andrea and Giorgi. Andrea became a great Georgian composer, while Giorgi known as George Balanchine for the whole world became a great choreographer, who also foresaw the future of Georgian ballet art and founded contemporary dance.

It was the destiny of the Balanchivadzes' to be number ones. It is with pleasure that I note that the President of Georgia named Kutaisi State Opera Theatre after the Balanchivadzes, which symbolically united three persons who had different destinies but shared the family and the surname: the father and two sons. Their surname still does great things for the country.



## ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობა ევროკავშირისათვის

### IMPORTANCE OF INTELLECTUAL PROPERTY RIGHTS ISSUES FOR THE EUROPEAN UNION (EU)

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს ევროკავშირისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს უკანასკნელი ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს ინვესტიციების, შემოქმედებისა და ტექნოლოგიური პროგრესის მხარდაჭერის საქმეში აუცილებელ მექანიზმად მიიჩნევს. ვინაიდან ევროპული კონკურენტუნარიანობა ეფუძნება ინოვაციასა და პროდუქციის დამატებით ღირებულებას, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ევროკავშირის მისივე კონკურენტუნარიანობის ძირითად შემადგენელ ნაწილად მიაჩნია. გასული ათწლეულის მანძილზე ევროკავშირში შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების უმეტესობა ცოდნაზე დამყარებულ მრეწველობას უკავშირდება.

იდეების დაცვის გარეშე, ბიზნესი საკუთარი ინოვაციისაგან სრულ სარგებელს ვერ მიიღებს, ხოლო ხელოვანებს საკუთარი შემოქმედება სრულად არ აუნაზღაურდებათ. და მართლაც, რატომ უნდა შევექმნათ რაიმე, ან განვახორციელოთ კვლევა, თუ ვიცით, რომ გამოქვეყნების ან ბაზარზე გატანის შემდგომ მათ ვიღაც „მოიპარავს“?

ამავდროულად, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლება მომხმარებლისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებსაც უკავშირდება. ფალსიფიცირებულმა პროდუქციამ შესაძლოა მოქალაქეთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას და მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს.

სწორედ ამიტომ, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მყარ დაცვასა და განხორციელებას ევროკავშირისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამას კი ევროკავშირი სხვადასხვა გზებით ახორციელებს:

- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების

IPR is of great importance for the EU, which considers it as an essential tool to promote investment, creativity, employment and technological progress. Because European competitiveness is built on innovation and value added to products, it considers IPR as a key element of EU competitiveness. Most of the new jobs across the EU created over the past decade arose in the knowledge-based industries.

Without protection of ideas, business would not get the full benefits of their inventions and artists would not be fully compensated for their creation. Indeed, why should we create something or invest in research if I know that, once published or put on the market, somebody will 'steal' it?

Furthermore, one should not forget that IPR is also a matter of consumer and health protection. Counterfeited products may put at risk citizen's safety and health, while at the same time misleading them on products they buy.

Solid protection and enforcement of IPR is therefore very important for the EU. This high level of protection is being pursued in different ways:

- the EU works at multilateral level to improve respect of IPR (WTO, ACTA);
- the EU negotiates IPR provisions in its bilateral trade agreements and works closely with its trade partners on IPR issues;
- with some countries, the EU runs "political dialogues" on IPR issues and/or runs technical cooperation programmes.

The EU and Georgia have entered an interesting process of deepening their relations, through political association and economic integration, under the Eastern Partnership initiative. In this context, negotiations of a Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) have started and IPR issues will be an important component of the agreement. In addition to strengthening the legal

პატივისცემის განმტკიცება მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობით (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია – WTO, ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის სავაჭრო შეთანხმება – ACTA);

- ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებებში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ დებულებების შეტანა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე სავაჭრო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ზოგიერთ ქვეყანასთან „პოლიტიკური დიალოგის“ წარმოება და/ან ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამების განხორციელება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში პოლიტიკური ასოციაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გზით, ევროკავშირი და საქართველო ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საინტერესო ეტაპზე გადავიდნენ. აღნიშნულ კონტექსტში, დაიწყო მოლაპარაკებები ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებასთან (DCFTA) დაკავშირებით, ხოლო ინტელექტუალური საკუთრების უფლება ამ შეთანხმების მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება. საკანონმდებლო ბაზის განმტკიცებასთან ერთად, შეთანხმება ფოკუსირებას მოახდენს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასა და აღსრულებაზე. ჩვენ ვესწრაფვით ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის მაღალ დონესა და იმის უზრუნველყოფას, რომ აღნიშნული უფლებების ეფექტურად აღსრულებისათვის მოქმედებს შესაბამისი ღონისძიებები, პროცედურები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები. აღნიშნულ კონტექსტში გაიზრდება ინფორმაციის გაცვლა, გამოცდილების გაზიარება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობები.

ვინაიდან ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ევროკავშირისათვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს, ევროკავშირი საქართველოს დაეხმარება ამ კუთხით არსებული ვითარების გაუმჯობესებაში. ამ მიზნით, ევროკავშირის დელეგაცია მჭიდროდ თანამშრომლობს საქპატენტთან და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციასთან და აღნიშნულ უწყებებთან ძალიან კარგი ურთიერთობები აკავშირებს. რეგულარულად იმართება ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები, ხოლო ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყებებისათვის უახლოეს მომავალში იგეგმება ტრენინგების გამართვა.




ფოტო: I See Studio/აკო ხარისთვალაშვილი  
Photo: I See Studio/Ako Kharistvalashvili

framework, the agreement will focus upon protection and enforcement of IPR. We will indeed seek for a high level of IPR protection and ensure that mechanisms to effectively enforce those rights, through adequate measures, procedures and remedies, are in place. In that context, exchange of information, experience-sharing and capacity-building activities will be increased.

IPR issues being a priority, the EU is committed to assist Georgia to improve the situation. For this purpose, the EU Delegation closely cooperates with Sakpatenti and the Georgian Copyright Association and has established a very good relation with these agencies. Regular awareness-raising events are being and a series of trainings for enforcement bodies will soon take place.

**Article drafted by Virginie Cossoul,  
Trade Attaché at the EU Delegation to Georgia**

**სტატია მოამზადა  
საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის  
ატაშემ ვაჭრობის საკითხებში  
ვირჯინი კოსულმა**



## მიტროფანე ლაღიძის ნოუ-ჰაუ

## KNOW-HOW OF MITROPHANE LAGIDZE

სოფო კვინტრაძე  
SOPHIE KVINTRADZE

1883 წელს ქუთაისში, იმ დროისათვის ახლადგახსნილ და ერთადერთ აფთიაქში 14 წლის ბიჭი მივიდა სამუშაოდ. ბიჭი აფთიაქის მეპატრონეებს – კოკოჩაშვილსა და ივანოვსკის წამლების და ხილის ნაყენების დამზადებასა და გაყიდვაში ეხმარებოდა. პარალელურად, ივანოვსკის კუთვნილ ლიმონათის პატარა ქარხანაშიც მუშაობდა და, რადგან ეს საქმე უფრო მეტად მოსწონდა, გულმოდგინედ სწავლობდა ხილისგან ნატურალური წვენების მიღების ტექნოლოგიას. ის ბიჭი მიტროფანე ლაღიძე იყო და უკვე 18 წლიდან, 1887 წელს, თავად ჩაუდგა სათავეში ამ ქარხანას. ეს თარიღი ლაღიძის ლიმონათის ეტიკეტს დღემდე ამშვენებს, როგორც სიმბოლო საქართველოში ნატურალური, უალკოჰოლო სასმელების წარმოების დასაწყისისა.

ლაღიძის ლიმონათი წელს 125 წლის გახდა. ეს იყო წარმატებული ბიზნესის მაგალითი, რომელიც გასაბჭოებამდელ საქართველოში დაიწყო. მისი სულისჩამდგმელი ერთი ადამიანი, მიტროფანე ლაღიძე გახლდათ. ეს საქმე იმდენად მოსწონდა, რომ მუდამ ახლის ძიებაში იყო და ექსპერიმენტებს აწარმოებდა. როდესაც ივანოვსკის ქარხანას ჩაუდგა სათავეში, უკვე საკუთარი რეცეპტურით ამზადებდა ნატურალურ, უალკოჰოლო სასმელებს. 1902 წელს კი ევროპაში გაემგზავრა ცოდნის გასაღრმავებლად. საფრანგეთსა

In 1883 in Kutaisi, a 14-year old boy started working at a newly opened drugstore which was the only drugstore in Kutaisi at that time. He was helping the drugstore owners – Kokochashvili and Ivanovski – prepare and sell drugs and fruit teas. He was also working at a small lemonade factory owned by Ivanovski. As he liked working at the factory better, he was eagerly learning about the technology of making natural fruit juice. The boy's name was Mitrophan Lagidze who headed the factory in 1887, when he was only 18 years old. The date is still featured on labels of Lagidze Lemonade, commemorating the time when production of natural, alcohol-free soft drinks was started in Georgia.

Lagidze Lemonade turned 125 years old in 2012. This was an example of a successful business that was started in a pre-soviet Georgia. The business was spearheaded by a man named Mitrophan Lagidze. He loved his job so much that he was in a constant search for something new, conducting experiments. When he headed the Yanovsky Factory, he was already producing natural, alcohol-free soft drinks according to his own recipes. In 1902 he left for Europe to pursue further education. He studied fruit processing technologies in France and Germany.

He returned in Georgia in 1906 and opened his own factory in Tbilisi together with a small shop of natural juice. The shop café Lagidze Waters became one of the most colorful places on Rustaveli Avenue. Despite the fact that private businesses no longer existed in the Soviet period, the brand Lagidze was created and became

და გერმანიაში მიტროფანემ იმ დროისათვის არსებული ბილუელის დამზადების ტექნოლოგია შეისწავლა.

1906 წელს სამშობლოში დაბრუნდა და თბილისში საკუთარი ქარხანა და ნატურალური წველების პატარა მაღაზია გახსნა. მაღაზია-კაფე „ლალიძის წყლები“ რუსთაველის გამზირზე ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ ადგილად იქცა. მართალია, საბჭოთა პერიოდში ეს აღარ იყო კერძო ბიზნესი, მაგრამ ფაქტია, რომ ბრენდი „ლალიძე“ შეიქმნა და ის ძალიან პოპულარული გახდა.

მიტროფანე ლალიძე იყო ნოვატორი და ამავე დროს ბიზნესმენი, რომელმაც ეს საქმე საკუთარი ნიჭისა და ძალების იმედად წამოიწყო. 14 წლიდან მუშაობდა, საქმისადმი ინტერესი იმდენად დიდი ჰქონდა, რომ თავადაც ცდილობდა ახლის შექმნას, შემდეგ განათლება დასავლეთში მიიღო, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისევ საქართველოში დაბრუნებულიყო და კვლავ გაეგრძელებინა წარმოება.

სამშობლოში მას ბიზნესის დაწყებაში ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე ეხმარებოდნენ. მათაც კარგად ესმოდათ კერძო ბიზნესის განვითარების აუცილებლობა იმ დროის საქართველოში. მიტროფანემ საკუთარი ქარხნის და მაღაზიის გახსნა ბანკისგან მიღებული კრედიტით შეძლო.

ეს იყო გასაბჭოებამდე. 1921 წელს საქართველოში მმართველობაც შეიცვალა და იმჟამინდელ გოლოვინის პროსპექტზე მიტროფანე ლალიძის ლიმონათების ქარხანაც დაინვა. ამ ხანძრის ჩაქრობას, როგორც ამბობენ, მთელი თბილისის ცდილობდა, მათ შორის, ცისფერყანწელი პოეტები საკუთარი ხელებით ებრძოდნენ ცეცხლს. შენობა ვერ გადაარჩინეს და მიტროფანემ დიდი ზარალი ნახა. თუმცა წარმოება არ შეუჩერებია და გრიბოედოვის ქუჩაზე საკუთარი სახლის სარდაფში გადაიტანა.

1927 წელს მან კლარა ცეტკინის ქუჩაზე (ამჟამად, წინამძღვრიშვილის ქუჩა) ქარხნისთვის შენობა შეიძინა. „ლალიძე“ დღემდე ამ შენობაშია.

როცა საბჭოთა ხელისუფლებამ ფეხი მყარად მოიკიდა საქართველოში, ლალიძის ბიზნესის დროც დადგა. მაგრამ, კრემლში მარტო ბიზნესი როდი აინტერესებდათ. ყველაზე ხშირად მიტროფანეს იმ საიდუმლოს შესახებ ეკითხებოდნენ, რომლის მიხედვითაც უგემრიელეს სასმელებს ამზადებდა. ყველას აინტერესებდა მისი ნოუ-ჰაუ. მიტროფანე მოსკოვში დაიბარეს, ბერიამ და მიქოიანმა მას საიდუმლოს გამჟღავნება მოსთხოვეს. მიტროფანემ მათ იქვე შესთავაზა ნატურალური წვენის დამზადება, თუ ყველა იმ ინგრედიენტს მიუტანდნენ, რაც სჭირდებოდა. ამით ისინი დაარწმუნა, რომ არანაირ საიდუმლოს არ ფლობდა და ლიმონათს მხოლოდ ნატურალური ინგრედიენტების გამოყენებით ამზადებდა.

ლალიძის შთამომავლებს ამ კითხვაზე დღესაც იგივე პასუხი აქვთ. მიტროფანეს შვილიშვილი, თორნიკე



მიტროფანე ლალიძე კარიერის დასაწყისში  
Mitrophan Lagidze at the beginning of his career

very popular.

Mitrophan Lagidze was an innovator as well as a businessman who started the business on his own, relying on his talent. His road to success is rather interesting. He worked from the age of 14. He was so enthusiastic about his work that he was trying to create something new. He pursued his education in the West, in order to return to Georgia afterwards and continue the production.

Ilya Chavchavadze, Akaki Tsereteli and Kirile Lortkipanidze helped him start his own business in Georgia. They were well aware of the necessity of development of private business in the country. Mitrophan opened his own factory and a shop with a bank loan.

It was in pre-Soviet times. In 1921 when the government was changed in Georgia, Lagidze's lemonade factory at Golovani Avenue burned down. They say that the whole Tbilisi was trying to extinguish the fire, including



იმოს მიერ გაცემული დამცავი დოკუმენტი  
Protection document issued by WIPO

ლალიძე, რომელიც ამჟამად ქარხნის დირექტორია, ამბობს, რომ საიდუმლო არის ნატურალურობაში. ლალიძის წყლები არ შეიცავს ესენციებს და კონსერვანტებს. დღეს ლალიძის ქარხანაში შუშის ბოთლში ჩამოსხმული ლიმონათის შენახვის ვადა მხოლოდ 1 თვეა, მიტროფანე ლალიძის შთამომავლის თქმით, სწორედ იმიტომ, რომ ის მთლიანად ნატურალური პროდუქციაა და ხელოვნურ დანამატებს არ შეიცავს.

თუმცა მაინც არის ერთი საიდუმლო – რომელიც დაცული და შენახულია ლალიძის ქარხანაში და რომლის მიხედვითაც დღემდე მზადდება ლიმონათი. ეს არის ხილისგან წვენი მიღების ტექნოლოგია. როგორ მივიღოთ ალუბლისგან ისეთი ნაყენი, რომლისგანაც შემდეგ უგემრიელეს ლიმონათს დავამზადებთ, მხოლოდ ლალიძეში იციან. ამას ნატურალური წვენებით დამზადებული კომპოზიცია ეწოდება, ის კომერციული საიდუმლოა და არავისთვისაა ხელმისაწვდომი, გარდა ქარხნის ადმინისტრაციისა.

ეს არის მიტროფანე ლალიძის ნოუ-ჰაუ, რომელიც 100 წელიწადზე მეტია საიდუმლოდ ინახება. თუმცა ისტორიულად შემონახული კომერციული საიდუმლოს დაცვის პარალელურად ლალიძის შთამომავლებს თანამედროვე სამყაროში საკუთარი სასაქონლო ნიშნის

members of the Blue Horns<sup>1</sup> who were fighting against the fire with their own hands. The building could not be saved. Mitropane suffered a great loss. Nevertheless, he did not give up and continued production in the basement of his own house at Griboedov Street.

In 1927 he bought a building at Klara Tsetkin Street for his factory (currently named Tsinamdzgvrishvili Street). The building still houses “Lagidze Waters”.

After the Soviet authority gained a strong foothold in Georgia, they focused their attention on Lagidze’s business. Kremlin was interested not only in the business but also in the secret of Mitropane which allowed him to produce delicious soft drinks. Everyone was interested to learn about his know-how. Mitropane was summoned in Moscow, where Beria and Mikoyan demanded him to disclose his secret. Mitropane offered them to make natural juice right then and there if they provided him with all the ingredients he needed. Thus he made them believe that he was not keeping any secret as his lemonade was produced only by natural ingredients.

Lagidze’s descendants answer the question the same way. Mitropane’s grandson Tornike Lagidze, who is the director of the factory, says that the secret of Lagidze’s water is natural juice as they do not contain any flavor additives or preservatives. It should also be considered that shelf-life of lemonade produced at Lagidze Factory and bottled in glass is only a month. According to the grandson of Mitropane Lagidze, the short shelf-life indicates that the product is natural and does not contain any artificial additives.

However, there is one secret, protected and kept at Lagidze Factory and used for production of lemonade - the secret technology of making the fruit juice. How to make a cherry juice for producing delicious lemonade is something known only at Lagidze’s. It is called a composition and is made from various kinds of natural juice, constituting a commercial secret that no one but the factory administration has access to.

This is the know-how of Mitropane Lagidze, which has been kept as a secret for more than 100 years. However, in addition to the importance of protecting historically preserved commercial secret, Lagidze’s descendants are well aware of the significance of protecting their trademark in a contemporary world.

CITRO Ltd signed a 10-year agreement with Lagidze Factory in 2010. Based on the agreement, CITRO Ltd buys the composition, i.e. the natural juice from the factory and produces three types of lemonade. The production is available on Georgian market.

The lemonade Lagidze Waters, including the well-known cream, chocolate and tarragon lemonades are only available at restaurants, which the factory administration explains by lack of distribution and financial problems. However, in the nearest future they plan to distribute Lagidze Waters among retailers.

Lagidze’s juice used for making lemonade is the exception, exported to the Russian market despite the embargo. It’s important that the trademark “MITROPHANE LAGIDZE 1887 მიტროფანე ლალიძე 1887 МИТРОФАН ЛАГИДЗЕ 1887” was granted the protection in Russian Federation under the Madrid Agreement and Protocol in 2004 by WIPO (World Intellectual Property Organisation).

1. T.N.: a group of symbolist poets and writers.



დაცვის მნიშვნელობაც კარგად ესმით.

2010 წელს შპს „სიტრომ“ ლალიძის ქარხანასთან 10 წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, „სიტრო“ ლალიძისგან კომპოზიციას, ანუ ნატურალურ ნაყენებს ყიდულობს და შემდეგ სამი სახეობის ლიმონათს ამზადებს. ეს პროდუქცია საქართველოს ბაზარზე ხელმისაწვდომია.

თავად ლიმონათი „ლალიძის წყლები“, მათ შორის ცნობილი „ნაღები“, „შოკოლადი“ და „ტარხუნა“, მხოლოდ რესტორნებში შეგიძლიათ მოიკითხოთ. ქარხნის ადმინისტრაცია ამას დისტრიბუციის არარსებობით და ფინანსური პრობლემებით ხსნის, თუმცა მათ უახლოეს გეგმებში სწორედ „ლალიძის წყლების“ სავაჭრო ობიექტებში გამოჩენა შედის.

ლალიძის ნაყენი, რომლისგანაც შემდეგ ლიმონათი მზადდება, ის გამონაკლისია, რომელიც ემზარგოს მიუხედავად, რუსულ ბაზარზე შედის და მნიშვნელოვანია, რომ ლალიძის სასაქონლო ნიშანს „მიტროფან ლაღიძე 1887 МИТРОФАН ЛАГИДЗЕ 1887 MITROFAN LAGIDZE 1887“ „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან არსებული პროტოკოლით“ დადგენილი წესით 2004 წელს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) მეშვეობით მიენიჭა საერთაშორისო დაცვა რუსეთის ფედერაციაში.

ამჟამად ლალიძის ქარხანას სანქტ-პეტერბურგის ტიხვინის ქარხანასთან 10 წლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. საქართველოდან რუსეთში ნატურალური წვენების ექსპორტი ხორციელდება, ლიმონათს კი ტიხვინის ქარხანაში ასხამენ.

„ლალიძის“ ექსპორტი უკრაინასა და ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაშიც ხორციელდება, თუმცა არა დიდი რაოდენობით. ქვეყანას, რომელსაც ვერ აკონტროლებენ, ლალიძის სახელს ვერ ანდობენ, რადგან ხშირია ფალსიფიკაცია. როგორც დირექტორის მოადგილე ნანა ჩახია ამბობს, გაყალბების ფაქტები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია ცნობილი, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპის ქვეყნებში. სწორედ ამიტომ, მათთვის რთულია ექსპორტის ხელშეკრულებების გაფორმება ისეთ სახელმწიფოების წარმომადგენლებთან, რომლებსაც ვერ აკონტროლებენ. ქალბატონი ნანას კაბინეტი სავსეა ასეთი ყალბი ლალიძის ლიმონათებით, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებშია გამოშვებული.

ფალსიფიკაცია ლალიძის ისტორიის ნაწილია. ეს პრობლემა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში, ბრენდის ჩამოყალიბების პერიოდშიც აქტუალური იყო. ამაზე ის ფაქტი მოწმობს, რომ ეტიკეტი, რომელიც ლალიძემ თავის პირველ ლიმონათებზე გამოიყენა, ატარებს წარწერას „ერიდეთ სიყალბეს“.

ლალიძის ლიმონათს დღემდე აქვს მიტროფან ლალიძის დროინდელი ეტიკეტი XIX საუკუნის ყაიდაზე ჩაცმული ქართველი ქალის გამოსახულებით. სიყალბესთან ბრძოლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყველაფერი რეგისტრაციის გზით უნდა დაეცვათ,



„ლალიძის“ თანამედროვე ეტიკეტი  
Modern label of “Lagidze”



„ლალიძის“ ეტიკეტი, მე-19 საუკუნის ბოლო  
Label of “Lagidze”, end of 19<sup>th</sup> century

Lagidze Factory has concluded a ten-year contract with Tikhvin Factory in St. Petersburg, exporting natural juice from Georgia to Russia. Lemonades are bottled in Tikhvin Factory.

The same scheme is used to export Lagidze in Ukraine and some European countries but not in large volumes. According to the factory administration, they can't trust their name to a country that's beyond their control, as counterfeiting products is a common practice. According to the deputy director of the factory, Nana Chakhia, their products have been counterfeited in a number of countries, including in the US and European countries. Therefore, it is rather difficult for them to sign an export agreement with representatives of countries that are beyond their control. The office of Ms. Chakhia is filled with counterfeited Lagidze lemonades that have been produced in various countries at various times.

Counterfeiting has long been a part of Lagidze's history. The problem proved to be pressing as early as in the 19<sup>th</sup> century, when the brand of Lagidze was being created. It is confirmed by the fact that labels that were

სასაქონლო ნიშანი სამ ენაზე, ეტიკეტი, ბოთლი და რა თქმა უნდა, სახელი „ლალიდის წყლები“. საინტერესოა, რომ ლალიძე ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იყო დარეგისტრირებული. 1989 წელს ქარხანას ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთობლივი წარმოება ჰქონდა, ნიუ-იორკში ლალიდის ლიმონათს ასხამდნენ. სწორედ ამერიკელებმა მოსთხოვეს ქარხნის ადმინისტრაციას, რომ სასაქონლო ნიშანი დაერეგისტრირებინათ. პირველად ეს 1989 წელს მოხდა, 1994 წელს კი სასაქონლო ნიშანი „მიტროფანე ლალიძე 1887“ საქპატენტში (საქართველოში) დარეგისტრირდა.

ლალიდის წყლები ყოველთვის იზიდავდა ფალსიფიკატორებს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ბოლოს, ყველაზე გახმაურებული სკანდალი 2008 წელს რუსეთში, კერძოდ, სმოლენსკში გურამ აბსანძეს და რამაზ ლალიძეს უკავშირდება. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ მიტროფანე ლალიდის შთამომავალია. ისინი ლალიდის ლიმონათს აბსანძის კუთვნილ არყის ქარხანაში და არყისვე ბოთლებში ასხამდნენ. ქართულმა მხარემ 2009 წელს სასამართლოში იჩივლა. წელიწადნახევრის შემდეგ სმოლენსკის სასამართლომ გადაწყვეტილება ლალიდის ქარხნის სასარგებლოდ გამოიტანა. გურამ აბსანძე და რამაზ ლალიძე ფალსიფიკაციაში ცნეს დამნაშავედ, მათ ლიმონათის წარმოება აეკრძალათ და ჯარიმა დაეკისრათ.

used by Lagidze on his very first lemonades featured the warning “beware of counterfeit product”.

Lagidze’s lemonade still bears the initial label used by Mitrophan Lagidze, featuring a Georgian woman dressed in a 19<sup>th</sup> century style. The practice of combating counterfeit goods has led them to believe that it is necessary to register everything – their trademark in three languages, the label, the bottle and certainly the name Lagidze Waters. Lagidze Waters was registered as early as in the Soviet era. In 1989 the factory produced cooperation with the USA and lemonades were bottled in New York. It was the Americans who asked the factory administration to register their trademark. The trademark was first registered in 1989 and later in 1994 the trademark “Mitrophan Lagidze 1887” was registered at Sakpatenti, in Georgia.

Nevertheless, Lagidze Waters always attracted counterfeiters both in Georgia and abroad. The latest notorious scandal occurred in 2008 in Smolensk, Russia and was related to the names of Guram Absandze and Ramaz Lagidze. The latter maintained that he was a descendant of Mitrophan Lagidze. They bottled Lagidze lemonade in vodka bottles at a vodka distillery owned by Absandze. The Georgians filed in court in 2009. After a year and a half long litigation, the Court of Smolensk ruled in favor of Lagidze Factory. Guram Avsandze and Ramaz Lagidze were found guilty in counterfeiting. The court prohibited them from production of lemonade and imposed a fine.



დეკონირობა

დეკონი

INTELLECT

რეგისტრაცია

სასაქონლო ნიშანი

კატეგორია

სასაქონლო ნიშანი

BUSINESS

INNOVATION

კატეგორია

DESIGN

COPYRIGHT

კანონი

DESIGN

COPYRIGHT

დეკონირობა

დეკონი

PROPERTY

უფლება

INNOVATION

INTELLECT

რეგისტრაცია

BUSINESS

კანონი

PROPERTY

უფლება

უფლება

დეკონი

INTELLECT

რეგისტრაცია

COPYRIGHT

კატეგორია

სასაქონლო ნიშანი

PROPERTY

INNOVATION

INNOVATION

DESIGN

COPYRIGHT

კანონი

DESIGN

რეგისტრაცია

დეკონირობა

დეკონი

PROPERTY

უფლება

კატეგორია

INTELLECT

სასაქონლო ნიშანი

BUSINESS

კანონი

BUSINESS

დეკონირობა

# IP საკონსულტაციო

დაგეგმილია საქართველოს პოლიგრაფიაში  
მის.: 0179 თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31  
ტელ.: (+995 32) 291-71-83

PUBLISHED AT SAKPATENTI PRINTING OFFICE  
ADDRESS: №31, NINO RAMISHVILI STR., 0179 TBILISI, GEORGIA  
TEL.: (+995 32) 291-71-83

[www.sakpatenti.org.ge](http://www.sakpatenti.org.ge)  
[info@sakpatenti.org.ge](mailto:info@sakpatenti.org.ge)

